პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 აპრილი **ხუთშაბათი** 2011

№097 (13394) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

0 2

ღვთიური მესიჯი: ფეხბურთი თამაშია!

ტორერომ ხარი მოკლა. გვარდიოლეე!

9

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	გატანილი გაგ	გაშ	ქ
1	ზესტაფონი	31	20	6	5	57	16	66
2	დინამო	31	17	9	5	45	17	60
3	ოლიმპი	31	17	6	8	43	26	57
4	ვიტ ჯორჯია	31	13	4	14	31	34	43
5	ტორპედო	31	10	12	9	22	19	42
6	გაია	31	11	5	15	28	41	38
7	სიონი	31	9	9	13	24	35	36
8	ქოლხეთი	31	8	9	14	19	38	33
9	სპარტაკი	31	6	9	16	28	38	27
10	სამგორდია	31	6	7	18	23	56	25

ანგარიში ვახტანგ ფანცხავამ გახსნა

განსაკუთრებული დამოკიდებულება

...დრო გადის, გუნდში მწვრთნელებიც იცვლებიან და ფეხბურთელებიც, მაგრამ არასდროს იცვლება „ვიტ ჯორჯიას“ მართლაც განსაკუთრებულ-გამორჩეული „დამოკიდებულება“ ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბის მიმართ; იგივეს თქმა შეიძლება გუშინდელ მატჩზეც: **ზურაბ ბერიძის** შეგირდებმა სეზონის ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და იმის მიუხედავად, რომ წყვილში აშკარა ფავორიტად „დინამო“ მიიჩნეოდა, „ვიტ ჯორჯიამ“ სრულიად დამსახურებული ქულა მოიპოვა.

სხვათა შორის, პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, „ვეტერინართა“ აშკარად თამამი და, რაც მთავარია, შეტევაზე ორიენტირებული თამაშის სტილი იყო. ანუ, „ვიტ ჯორჯია“ ყრუ დაცვაში კი არ „ჩამჯდარა“ და მთელი მატჩი „დინამოს“ შეტევებს კი არ იგერიებდა, არამედ როგორც კი საშუალება მიეცემოდა, სწრაფ და გამიზნულ იერიშებს იწყებდა. თანაც, ყოველივე ამის „სიგნალი“ მატჩის პირველსავე წუთზე გაისმა: **გიგა ბეჭვაიას** (გაუუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ „ვეტერინართა“ მარჯვენაფლანგელი უალრესად აქტიური გახლდათ გუშინდელ შეხვედრაში) პასით **ბესიკ ჩიმაკაძე** ბურთს თავით გზავნიდა მასპინძელთა კარში, მაგრამ „დინამო“ **გიორგი ლორიამ** გადაარჩინა. საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს“ მეკარემ თავის ოსტატობა იმ ეპიზოდშიც გამოავლინა, როცა ბეჭვაიას საჯარიმო დარტყმა მოიგერია. პირველ ტაიმში მეტი სახიფათო მომენტი სტუმრებს არ შეუქმნიათ, ვერც „დინამოზე“ ვიტყოდით, რომ მეტოქის საჯარიმოს „ალყა შემოარტყაო“, თუმცა ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა. მასპინძლებმა ერთი-ორჯერ საშუალო მანძილიდან სცადეს გოლის გატანა, მაგრამ **ალექსანდრე კოშკაძისა** და **გიორგი კახელიშვილის** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, დინამოელთა ერთ-ერთი ეფექტური კომბინაცია მართლაც ლამაზი გოლით დამთავრდა: **ლევან ხმალაძის** შორეული პასის მერე **ვახტანგ ფანცხავამ** საჰაერო „დუელი“ მოუგო მეტოქის მეკარეს და ზუსტი თავური დარტყმით საქართველოს ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა. ტაიმის ბოლო წუთზე „დინამოს“ გოლის გატანის კიდევ ერთი შანსი ჰქონდა: კახელიშვილმა გარღვევაზე ხმალაძე გაიყვანა, მაგრამ **გიორგი ძაძამიამ** კარი დროულად დატოვა და ეს სახიფათო მომენტიც განმუხტა.

... მეორე ტაიმი სტუმართა აქტიურობით დაიწყო: „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და ისიც ლოგიკური იყო, ანგარიში რომ გაათანაბრეს. თუმცა, ვიდრე **გურამ ადამაძე** მასპინძელთა მცველების პოზიციური შეცდომით ისარგებლებდა და გოლს გაიტანდა, აუცილებლად უნდა აღვწეროთ ის ეპიზოდი, რაც ამ საგოლე შეტევას წინ უძღოდა. „ვეტერინარებმა“ სწრაფი იერიში წამოიწყეს და დაახლოებით 20 მეტრიდან გიორგი ბეჭვაია ძლიერად და ზუსტად ურტყამდა, მაგრამ გიორგი ლორიამ ჩინებული რეაქცია გამოავლინა და ბურთი მოიგერია. თუმცა, ამ მოგერიებულ ბურთზე ყველაზე ადრე ბესიკ ჩიმაკაძე გაჩნდა და 4-5 მეტრიდან, ერთი შეხედვით, აუღებელი „თავურიც“ დაარტყა, მაგრამ ლორიამ აქაც ბრწყინვალედ ითამაშა და ეფექტური ნახტომით ბურთი კუთხურზე მოიგერია; ჰოდა, სწორედ ამ კუთხურს მოჰყვა კიდეც ადამაძის გოლი...

ამის შემდეგ თამაშის ტემპი მცირე ხნით შენელდა, თუმცა სულ მალე ორივე კართან სახიფათო მომენტებმა მოიმატა და მართლაც უცნაური იყო, შეხვედრაში მეტი გოლი რომ ვერ ვიხილეთ. ჯერ, **დონალდ ჯუისს** შეეძლო თავისი გუნდის წინ გაეყვანა, მაგრამ კომკაძის ჩინებული პასი ვერ შეიშნო; თუმცა ამ ეპიზოდში ძაძამიას გარჯაც უნდა აღვნიშნოთ, ისე როგორც „დინამოს“ მორიგი იერიშისას, — „ვიტ ჯორჯიას“ მეკარემ კოშკაძის შორეული დარტყმა რომ მოიგერია. ამ ეპიზოდს კუთხური მოჰყვა და „ვიტ ჯორჯიას“ იღბალმაც გადმოხედა: **გივი კვარაცხელიას** თავური დარტყმა ხარისხას მოხვდა!

მატჩის დასრულებამდე დრო საკმარისზე მეტი იყო დარჩენილი, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ უფრო შეეძლო გოლის გატანა, ვიდრე მასპინძლებს; სხვათა შორის, სტუმრებმა გოლი კი გაიტანეს, მაგრამ არბიტრმა არ ჩათვალა (ალბათ, სამართლიანადაც): „ვიტ ჯორჯიამ“ საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღო და ვიდრე დინამოელები „ცოცხალ კედელს“ დააყენებდნენ, გურამ ადამაძემ საკმაოდ შორი მანძილიდან, ფაქტობრივად ცარიელ კარში ზუსტად დაარტყა. თუმცა, არბიტრს ამ სტანდარტულის შესასრულებლად სასტვენი არ ჰქონდა მიცემული და ეფექტური გოლის აღნიშვნის ნაცვლად, ადამაძე... გაფრთხილებას გამორჩა!

... ბოლო წუთებზე კი „დინამოს“ შტურმიც ვიხილეთ, აშკარად დაგვიანებული რომ იყო; თუმცა, მასპინძლებმა ერთი-მეორეზე უკეთესი ორი მომენტის შექმნა მაინც მოასწრეს, მაგრამ ფატალურად არ გაუმართლათ. პირველ ჯერზე ვახტანგ ფანცხავას თავური დარტყმა ჩინებულ ნახტომში ძაძამიამ მოიგერია, სულ ბოლო წამებზე კი **დიმიტრი ტატანაშვილი** ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ შეცვლაზე შემოსული ფორვარდის თავური დარტყმის მერე ბურთი მეტოქის კარის ხარისხას მოხვდა...

გია ტუხაშვილი

27.04. თბილისი. ბ. პაიჭაძე.
700 მაყურებელი

დინამო	1
ვიტ ჯორჯია	1

1:0 ფანცხავა (33, ხმალაძის პასით)7
1:1 ადამაძე (50)

დინამო	ვიტ ჯორჯია
4-2-3-1	4-2-3-1
ლორია	ქაქაშია
თომაშვილი	ხურცილავა
კაკუბავა	ალამაძე
ჰომოლა	კასრაძე
ხმალაძე	ღანიაშვილი
გ. კვარაცხელია	ვასაძე
არზიანი	გურ. გურეშიძე
ჯუისი	გეჭვაია
კოშკაძე	ჯანელიძე
კახელიშვილი	კორიფაძე
ფანცხავა	ჩიმაკაძე
მწვრთნელი:	მწვრთნელი:
ქ. ქაქარავა	ზ. ბერიძე

დინამო

53. არზიანი - **თეძეთურმანიძე**
66. ჯუისი - **კვეკვესკირი**
87. კვარაცხელია - **ტატანაშვილი**
სათადარიგოები: ზარქუა, ლონღაძე, მაროვიჩი, ფირცხალავა.

ვიტ ჯორჯია

66. კორიფაძე - **ზაქრაძე**
79. გეჭვაია - **როსტიაშვილი**
88. ვასაძე - **გოგიაშვილი**
სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, ჭანკვეტაძე, გაბრიჭიძე, გიორ. გურეშიძე

გაფრთხილება: **კასრაძე (32), კახელიშვილი (54), ჰომოლა (82), ადამაძე (84), ხმალაძე (85)**
არბიტრი: **ჯ. ხორავა**

● ლეგიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი ფეხბურთის ჯიდევ ერთი ჭირი:

იდაყვი ანგრევს!

მუსლინმა ამისულაშვილის დამშავებელი ბარბაროსს შეადარა

ალეკოს ტრავმამ თემურ ქეცბაიას თავსატეხი გაუჩინა

20 აპრილს რუსეთის თასის მეოთხედფინალში მოსკოვის “სპარტაკთან” წაგებული (1:2) შეხვედრა “კრასნოდარის” კაპიტანმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** ვერ დაასრულა, რადგან რუსების “სახალხო გუნდის” მცველმა **ფიოდორ კუდრიაშოვმა** სახეში იდაყვი ჩაარტყა და მოედანი ნაადრევად დატოვა. ალეკო მოსკოვის საავადმყოფოში გადაიყვანეს. თავიდან ტრავმა მძიმე არ ეგონათ და იმედოვნებდნენ, რომ საავადმყოფოში ღამე გაჩერდებოდა და კრასნოდარში მეორე დღეს გადაფრინდებოდა.

სამწუხაროდ, ამისულაშვილი მოსკოვიდან არა კრასნოდარში, არამედ გერმანიაში გადაფრინდა. ალეკოს ყბასახის მოტეხილობები დაუდგინეს და გუშინ გერმანიაში ოპერაცია გაუკეთეს.

„ეწუხვართ, რომ გუნდის ნამყვანი ფეხბურთელი გარკვეული პერიოდი ვერ ითამაშებს. სათასო შეხვედრის მთავარ მსაჯს წესის დარღვევის ეპიზოდი რომ დაენახა და „სპარტაკის“ ფეხბურთელი ნითელი ბარათით დაესაჯა, მატჩი სხვაგვარად წარიმართებოდა. თუმცა ჩვენს კლუბს არ აქვს პრეტენზია არც ფეხბურთელთან და არც რეფერისთან“ - განაცხადა „კრასნოდარის“ გენერალურმა დირექტორმა **ვლადიმერ ხაშიგმა** „სპორტ-ექსპრესთან“.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და სამწუხაროა - საუკეთესო შემთხვევაში, ამისულაშვილი მოედანს ივნისის დასაწყისში დაუბრუნდება, ანუ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კიდევ ერთი საკვანძო ფეხბურთელი გამოაკლდა.

ასე რომ, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **თემურ ქეცბაიას** მორიგი საფიქრალი გაუჩნდა, რადგან ციკლის დაწყების შემდეგ დაცვის ცენტრში ჯერ **მალხაზ ასათიანი** გამოაკლდა (უთამაშებლობის გამო), შემდეგ ტრავმის გამო მარჯვენაფლანგელი **უჩა ლობჟანიძე,** ახლა კი ალეკო ამისულაშვილის პრობლემა გაჩნდა.

29 წლის მცველი საქართველოს ნაკრებისთვისაც დიდი ძალაა და კლუბისთვისაც. ეს ალეკოს თურქეთიდან წამოსვლის შემდეგაც გამოჩნდა, ლიდერებში მყოფი **შოთა არველაძის** “ქაისერის” საქმეები უცებ აირია.

სხვათა შორის, “კრასნოდარის” მთავარი მწვრთნელი **სლავოლიუბ მუსლინი** კაპიტნის ტრავმამ ისე გააბრაზა, “სოვეტსკი სპორტთან” ინტერვიუში სპარტაკელი კუდრიაშოვი ბარბაროსს შეადარა: ”ასე გამეტებით ხულიგნები ბნელ შესახვევებშიც არ ურტყამენ. ეს ბარბაროსული საქციელი იყო”.

გაზეთს იმდენად მოეწონა კომენტარი, რომ ყველაზე ხმაურიანი გამონათქვამების ნომინაციაში მუსლინს პირველობა მიაკუთვნა. რუბრიკის ფრაზების კომენტარს კი გაზეთში სპორტის, ხელოვნებისა და შოუბიზნესის წარმომადგენლები აკეთებენ. მუსლინის სიტყვების კომენტარი მომღერალ **ვლადიმერ პრესნიაკოვ-უფროსს** სთხოვეს.

“მე არ დავიწყებ კუდრიაშოვის ეპიზოდის განხილვას, რადგან არ მინახავს. თუმცა ფეხბურთელებს მოვუწოდებ, გაუფრთხილდით, ბიჭებო, ერთმანეთს, ჯანმრთელობას ვერ იყიდით!” – თქვა პრესნიაკოვმა.

მერაბ მამულაშვილი

● U17

მარცხი და შენარჩუნებული შანსი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ყაზახეთში, “პრეზიდენტის თასის” მეორე ტურში წარუმატებლად იასპარეზა. შეგახსენებთ, **ვასილ მაისურაძის** გუნდმა სასტარტო მატჩში სომხეთს 5:3 სძლია, გუშინ კი დაძაბულ ბრძოლაში თურქეთთან 1:2 დამარცხდა.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და თურქებმა 29-ე წუთზე ანგარიში ქართველთა უხეში შეცდომის წყალობით გახსნეს. ამის შემდეგ მაისურაძის შეგირდებს ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოუყენებიათ, 52-ე წუთზე კი მეტოქემ მეორე ბურთიც გაგვიტანა. პრესტიჟის გოლი 66-ე წუთზე **ალეკო მზევაშვილმა** გაიტანა.

საქართველოს ნაკრები თურქეთს ამ შემადგენლობით დაუპირისპირდა: **ადამია, გაბაძე, გ. გურეშიძე, მელიქიძე, აბურჯანია, ჭყონელაშვილი, ახვლედიანი, კაკაბაძე, როსტიაშვილი, წილოსანი (ნიკურაძე 72), მაკარაძე (მზევაშვილი 63).**

ხვალ კი ჩვენი გუნდი, რომელსაც ჯგუფში გამარჯვებისა და ფინალში გასვლის შანსი ჯერაც არ დაუკარგავს, უკრაინის ნაკრებს შეხვდება. ორი ტურის შემდეგ ჯგუფში ოთხივე გუნდს 3-3 ქულა აქვს. ფინალში მოსახვედრად კი საჭიროა, უკრაინას ვძლიოთ და მეორე შეხვედრაში თურქეთმა სომხეთს ვერ მოუგოს.

ცნობისთვის, ტურნირის საპრიზო ფონდი 20 ათასი დოლარია. გამარჯვებული გუნდი 10 ათას დოლარს მიიღებს, მეორე და მესამეადგილოსნები კი, შესაბამისად – 6 და 4 ათასს.

ლევან ჯანეზაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართველები რუსეთში

გოჩა ხოჯავა

საქათინაურო

ვოლგა ცეკვავს, ხოჯავას კი პასს უძებენ, ზინედინოზსო

პოპულარულმა რუსულმა ინტერნეტ-გაზეთმა "სპორტდეილიმ" (გაზეთ "ფუტბოლის" ინტერნეტ-ვერსია) გამოაქვეყნა წერილი "ეს გასაოცარი ახალწვეულები"რუსეთის პრემიერლიგის დებიუტანტ გუნდებზე.

ცხადია, ჩვენთვის საინტერესოა წერილის ის ნაწილი, რომელიც ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ეძღვნება.

პრემიერლიგის პირველი ტურების მთავარი სიურპრიზი დებიუტანტების დამაჯერებელი სტარტი იყო. შეძლებენ თუ არა "ვოლგა", "კრასნოდარი" და "ყუბანი" აღებული ტემპის შენარჩუნებას, პირველი წრის ბოლოს გამოჩნდება. ახლა კი ამ კლუბების ძლიერი მხარეების წარმოჩენას შევეცდებით.

თეთრაძის გუნდის ხეკვა

რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ექვს ტურში "ვოლგას" ფრედ არ უთამაშია. პრემიერლიგაში მეორე ასეთი უკომპრომისო გუნდი არ მოიძებნება. ომარ თეთრაძის გაწვრთნილები მაშინ გრძნობენ თავს კარგად, როდესაც თამაშს თავად აკონტროლებენ. ამის მიზეზი შეტევაში ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტების სიმრავლეა, რაც პრემიერლიგაში იშვიათი ამბავია - გოჩა ხოჯავა, სამჯერ ტურსუნოვი, გოგიტა გოგუა, ოთარ მარცვალაძე და "ბარსელონას" აღზრდილი საყრდენი მარკ კროსასი. თითოეული მათგანი ბურთს კარგად ფლობს. ხოჯავა კი სულაც გვაიძულებს, პარალელები ზინედინ ზიდანთან გავავლოთ – მას გენიალური გადაცემები აქვს!

ბრძოლაში, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზენოლისას კი ნიჟეგოროდელი შემოქმედები, ნაკლებად პროდუქტიულები არიან, რაც ლოგიკურიც არის. ეს ბოლო ტურში "ყუბანთან" შეხვედრაშიც გამოჩნდა. თუმცა, გარკვეულწილად, მასპინძლებს არც გაუმართლათ.

ალბათ, ომარ თეთრაძის გუნდის ფეხბურთი ცეკვას ან ილუზიონისტის გამოსვლას უნდა შევადაროთ. "ვოლგა" სასიამოვნო პაემანია, თუმცა არ იცი, ის როგორ დასრულდება.

კლუბის ფეხბურთელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადრე პრემიერლიგის კლუბების სათადარიგოებში იკარგებოდა, ან პირველ ლიგაში გამოდიოდა. თუმცა, ახლა ცხადია, რომ მწვრთნელის არჩევანმა გაამართლა".

"ვოლგას" კარგი სტარტი იმის დამსახურებაც არის, რომ მეგობრული გუნდია. ამაზე "ვოლგას" რუმინელმა თავდამსხმელმა **მიხაიტა პლეშანმა** კლუბის ოფიციალურ ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში ილაპარაკა. როგორც გაირკვა, მას ჩვენებურმა თანაგუნდელებმა ქართულიც ასწავლეს.

"ჩემი საუკეთესო მეგობარი თბილისის "დინამოში" წასული პეტარ ელიჩი იყო. ახლა ბევრთან ვმეგობრობ და ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ. მაგალითად, ოთარ მარცვალაძეს სხვადასხვა ენის ნაზავით ველაპარაკები – ცოტას რუსულ-ინგლისურად და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულადაც კი" – ამბობს პლეშანი.

■ ■ ■

"სპორტ-ექსპრესმა" კი **ომარ თეთრაძეს** მე-6 ტურში "ყუბანთან" წაგებული (0:1) შეხვედრის შეფასება სთხოვა. მან აღიარა, რომ მეორე ნახევრის დასაწყისში **გოჩა ხოჯავას** ტრავმა მისი გუნდის თამაშს ძალიან დაეტყო:

- წაგებას არ ვიმსახურებდით, კანონზომიერი შედეგი ფრე იქნებოდა. მაგრამ ეს ფეხბურთია და მეტოქემ ჩვენი შეცდომებით ისარგებლა. ჩვენ კი შექმნილი მომენტებით ვერ ვიხეირეთ. გუნდის მიმართ პრეტენზიები არ მაქვს, მაგრამ პრობლემები აშკარად გამოჩნდა.

- რამდენად სერიოზულია ხოჯავას ტრავმა?

- ექიმები აზუსტებენ, რა სჭირს. იმედია, მალე უფრო ზუსტი ინფორმაცია გვექნება.

- შეაფასეთ მათე ვანაძის თამაში.

- ის თამაშში ურიგოდ არ ჩაერთო, ხუთიდან ოთხი ორთაბრძოლა მოიგო, მაგრამ სათამაში პრაქტიკის ნაკლებობა ეტყობა. მთლიანობაში ღირსეულად გამოიყურებოდა.

- შეიძლება ვთქვათ, რომ ხოჯავას იძულებითმა შეცვლამ გუნდის შეტევაზე გავლენა იქონია? და რამდენად სამართლიანია მტკიცება, რომ "ვოლგას" შემოქმედებითი თამაში ერთ კაცზეა დამოკიდებული?

- მე ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი ერთ ფეხბურთელზეა დამოკიდებული. მაგრამ ხოჯავას გამოცვლის შემდეგ იძულებული გავხდით, თამაშის სტილი შეგვეცვალა. მას შეუძლია ბურთის დაჭერა, თამაშის საკუთარ თავზე აღება, ძალიან გამოუცნობი ფეხბურთელია. თუმცა სასურველია, რომ ღირსეული კონკურენტი ჰყავდეს. ახლა კი ხოჯავაზე მართლაც ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ

ბაჩანა არაბული: რეალის ქომაგი ინგლისური ოცნებით

შარშან, შემოდგომაზე თბილისში ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართა, სადაც ქართველმა ქომაგმა კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავი გაიცნო. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა ბაჩანა არაბულმა სამივე მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ეფექტური თამაშითა და გოლებით ჩვენი გუნდის ელიტრაუნდში გასვლაში ლომის წილი დაიდო.

საფრანგეთში მარტში გამართულ ელიტრაუნდში კი კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა არაბულის გარეშე ითამაშა – ნანტში გამგზავრებამდე ორიოდე დღით ადრე იგი ვარჯიშისას დაშავდა და ნაკრებს გამოაკლდა. მის გარეშე ქართველმა 17-წლამდელებმა ელიტრაუნდში უსახურად ითამაშეს – სამივე მატჩი ისე წააგეს, ერთი გოლიც არ გაუტანიათ.

არაბულს ჯერ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დავევკითხეთ, შემდეგ კი სამომავლო პერსპექტივებზე ველაპარაკეთ.

- დიაგნოზი როგორი იყო?

- ჯვარედინი იოგები 70-80 პროცენტით გამინყდა. ბენჭზე ვარ გადარჩენილი. იოგების სრულად განყვეტის შემთხვევაში ოპერაცია დამჭირდებოდა და მოედანს საუკეთესო შემთხვევაში ექვსი თვის შემდეგ დავუბრუნდებოდი. მერე კი, კაცმა არ იცის, როდის აღვიდგენდი ფორმას. ნაკრებსმიღმა დარჩენამ გული ძალიან კი დამწყვიტა, მაგრამ, მეორე მხრივ, მიხარია, რომ ბედმა არ გამწირა და თამაშს უახლოეს პერიოდში შევძლებ.

- კონკრეტულად როდისთვის ვარაუდობ თამაშის განახლებას?

- სეზონი დასასრულს უახლოვდება, სანაკრებო თამაშებიც ჯერ არ მელის, ასე რომ, საჩქარო არაფერია. აჩქარებას ბევრი ფეხბურთელისთვის გაუფუჭებია საქმე და არ მინდა, მეც ასე დამემართოს. ვარჯიშს დაახლოებით ორ კვირაში შევუდგები, თამაშს კი - ცოტა მოგვიანებით. ძველ ფორმასაც მალე აღვიდგენ და ახალ სეზონს სრული მზადყოფნით შევხვდები. ამჟამად კი თბილისში ინტენსიურ სამედიცინო პროცედურებს გავდივარ და სატრენაჟორო დარბაზსაც ხშირად ვაკითხავ, რათა ორგანიზმი არ მოდუნდეს და წონის პრობლემები არ შემექმნას. ტკივილები ჯერ კიდევ მანუხებს, მაგრამ ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის.

- მოედანზე დაბრუნების შემდეგ ფსიქოლოგიური პრობლემები ან ტრავმის განმეორების შიში ხომ არ გექნება?

- თამაშს მაშინ განვაახლებ, როცა ზუსტად მეცოდინება, რომ ფეხი სრულად მოვირჩინე. ასაკის მიუხედავად, საკმაოდ მყარი ფსიქიკა მაქვს და ძველებურად ვითამაშებ, მოედანზე ბოლომდე დავიხარჯები და არც ორთაბრძოლებს მოვერიდები. თან ეს ტრავმა ჩემთვის პირველი არ არის და ამგვარ სიტუაციებს მიჩვეული ვარ.

- ტრავმის პერიოდში მკურნალობის გარდა რით ხარ დაკავებული?

- განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, ტელევიზორში ვუყურებ ფეხბურთს და მიხარია მადრიდის "რეალის" ბოლოდროინდელი წარმატებები. სამეფო კლუბის დიდი ქომაგი ვარ. ფეხბურთის გარდა, ძალიან მიყვარს კალათბურთი და ხშირად ვუყურებ NBA-ს მატჩებს.

- განათლებისთვის თუ გრჩება დრო?

- სკოლაში შეძლებისდაგვარად დავდივარ, მაგრამ სწავლისთვის ბევრი დრო არ მაქვს. დროს მხოლოდ უცხო ენებს ვუთმობ, რადგან აუცილებლად დამჭირდება. ვცდილობ, რაც შეიძლება საფუძვლიანად დავეუფლო ინგლისურს. ახლა ვერა, მაგრამ მომავალში აუცილებლად ვიფიქრებ უმაღლესი განათლების მიღებაზე.

- ელიტრაუნდში ნაკრების წარუმატებლობის მიზეზი მხოლოდ შენი არყოფნაა თუ ცუდი შედეგი სხვა ფაქტორებმაც განაპირობა?

- ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ გუნდს თავდასხმაში ძალიან გაუჭირდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ელიტრაუნდში ერთი გოლიც ვერ გაიტანა, თუმცა მომხდარს მხოლოდ ჩემს არყოფნასაც ვერ დავაბრალებდი, რადგან კარგად ვერც სხვა რგოლებმა ითამაშეს. გუნდთან ერთად არ ვიყავი და ამიტომ მიზეზების დასახელება გამიჭირდება, ფაქტია, რომ ნაკრებს ჩემ გარეშეც შეეძლო ფინალური ეტაპისთვის ბრძოლა. საფრანგეთში გამგზავრებამდე გუნდი შესანიშნავად გამოიყურებოდა, საკონტროლო მატჩებიც მაღალ დონეზე ჩაატარა, ამიტომ ვერაფრით წარმოვიდგენდი, ყველაფერი ასე ცუდად თუ დასრულდებოდა.

- დღეს უკვე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატი ხარ, არც ის არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში ახალგაზრდულშიც მიგიწვიონ.

- ახალგაზრდული ნაკრებისთვის ჯერ მოუმწიფებელი ვარ, 19-წლამდელებში მოხვედრის იმედი კი ნამდვილად მაქვს. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი ჩემს შესაძლებლობებს კარგად იცნობს, მისი ხელმძღვანელობით აქამდეც მითამაშია და თუ დავიმსახურე, ალბათ, ნაკრებში დამკვიდრების შანსსაც მომცემს. შემოდგომაზე 19-წლამდელებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელით და დიდი იმედი მაქვს, რომ მასში მეც მივიღებ მონაწილეობას.

- ცოტა ხნის წინ "მანჩესტერ სიტიში" სინჯებზე იყავი. ხომ არ არის ცნობილი, რა გადაწყვეტილება მიიღეს ამ გუნდის მწვრთნელებმა?

- როგორც ვიცი, "სიტიში" მოხვედრის საკმაოდ რეალური შანსი მაქვს, მაგრამ არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო. ვიცი, რომ ინგლისელებს მოვეწონე და ახლა მხარეებს შორის აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ბუნებრივია, "სიტიში" გადასვლის უდიდესი სურვილი მაქვს, ეს ჩემს კარიერაში უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ბუნებრივია, "სიტის" ასაკობრივი გუნდიდან დიდ ფეხბურთამდე კიდევ დიდი გზა მექნება გასავლელი, მაგრამ მზად ვარ, საკუთარი შესაძლებლობები მაღალ დონეზე დავამტკიცო, დაუღალავი შრომით საფეხბურთო ოცნებები ავისრულო და ქართველი გულშემატკივრები გავახარო.

ლევან ჯანეზაშვილი

დიდი სპორტის კარიბჭესთან

ლუკა გოგთელიანი

დაიბადება 1997 წლის 5 იანვარს, თბილისში

სწავლობს №122 საჯარო სკოლაში

საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" აღსაზრდელი, ნახევარმცველი

პირველი და ამჟამინდელი მწვრთნელი: ნოდარ ჭელიძე

ნარმატებები: არის საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების წევრი

ჰობი: მუსიკის მოსმენა

საყვარელი ფეხბურთელი: ლეონელ მესი

ოცნება: ბავშვობიდან "ბარსელონას" გულშემატკივარია და სურს ამ გუნდთან ერთად მოიგოს ტურნირები, ითამაშოს დიდი ფეხბურთი.

რასაკვირველია, არსაკვირველია

ჩვენი ჩემპიონატიდან წასულისთვის ცივ ფინეთშიც კი თბილა და ტკბილა

გიორგი ხიდეშელი

ფინეთის სხვადასხვა ლიგაში არაერთი ქართველია, აქედან უმაღლესში მხოლოდ თითო-ოროლა თუ თამაშობს. წლეულს "იაროში", რომელმაც წინა სეზონი მეხუთე ადგილზე დაასრულა, ზუგდიდის "ბაიას" ყოფილი ნახევარმცველი გიორგი ხიდეშელი ჩაირიცხა. დღეს ფინეთში სეზონი იწყება და, ცხადია, 25 წლის ქართველი შემტევი ნახევარმცველის ამბებით დავინტერესდით.

- ჯერ ის გვითხარი, როგორ მოხვდი ფინეთში?

- გიორგი ნიკურაძის დახმარებით, რომელსაც ფინეთში კარგი კავშირები აქვს და ბევრი ჩვენებური წაიყვანა. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი რომ დასრულდა, გიორგიმ "იაროში" გასინჯვა შემომთავაზა. მეც დავთანხმდი, რადგან დასაკარგი არაფერი მქონდა, დიდი ხანია, უცხოეთში წასვლაზე ვფიქრობდი და, რაც მთავარია, ფინეთის ჩემპიონატის ცხრილს გადავხედე და გავარკვიე, რომ "იარო" საკმაოდ კარგი გუნდი იყო, დასრულებული ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა. შანსი გამომიჩნდა, ჩავედი, გამსინჯეს, მთავარ მწვრთნელს მოვეწონე და დავრჩი.

- რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?

- ორწლიანი, მისაღები პირობები შემომთავაზეს და ბევრი არც მიფიქრია.

- როგორც ჩანს, ახალი გუნდით კმაყოფილი ხარ.

- რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ და არა მგონია, საქართველოს ჩემპიონატიდან წასული ფეხბურთელისგან ამის მოსმენა გასაკვირი იყოს. მშვენიერ ევროპულ ქვეყანაში და საკმაოდ სოლიდურ კლუბში მოვხვდი. მინდა დავამატო ისიც, რომ ძალიან კარგი მთავარი მწვრთნელი შემხვდა – რუსი ალექსეი ერიომენკო. ადრე ცნობილი ფეხბურთელი იყო, დიდი ხანია, ფინეთში ცხოვრობს, ბოლო რამდენიმე წელი კი მწვრთნელობა დაიწყო. სხვათა შორის, მისი შვილი, რომანი ახლა კიევის "დინამოში" თამაშობს. ასეთ მწვრთნელთან მოხვედრას ნებისმიერი ფეხბურთელი ინატრებდა, კარგად დამხვდა და არ არსებობს პრობლემა, რომლის მოგვარებაშიც არ დამეხმაროს. ის არა მარტო კარგი მწვრთნელი, კარგი პიროვნებაა.

- შენ საქართველოში სხვადასხვა პოზიციაზე გათამაშებდნენ, "იაროში"?

- უფრო ხშირად წინ მათამაშებენ, ზოგჯერ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზეც.

- ფინეთში ბევრი ქართველი თამაშობს. ეტყობა, ამ ქვეყანას ადვილად ეგუებით.

- აქ მართლაც, ბევრი ჩვენებურია. შეიძლება იმიტომაც, რომ ჩვენებს თავის დამკვიდრება არ უჭირთ. ფინელები კარგი ხალხია და თავსაც კარგად ვგრძნობთ.

- "იაროს" რა მიზნები აქვს?

- სამეულში გვინდა მოხვედრა.

- პირობებზე არაფერს გკითხავ, არც სავარჯიშოსა და არც ფინანსურზე.

- საქართველოსთან შედარებით, ცხადია, უდიდესი სხვაობაა. "იარო" ამბიციური კლუბია და ძალიან კარგი სავარჯიშო პირობებიც გააჩნია. საერთოდ, ფინეთში ყველაფერია, რაც ფეხბურთელს სჭირდება - არა მხოლოდ უმაღლეს ლიგაში, დაბალი ლიგის კლუბებშიც.

- ფინური კლუბები ჩვენებს პირობებით კი აღემატებიან, მაგრამ, მგონია, რომ კლასით ბევრით არ გვჯობნიან.

- აქ უფრო ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ და ძალიან ბევრს დარბიან. ჩვენთან ფიზიკურად ასე კარგად მომზადებული ფეხბურთელები და კლუბები არ არიან. მაგრამ მიჭირს თქმა, ქართული გუნდები აქაურებს ბევრით ჩამორჩებიან თუ არა.



ნუკრი რევიშვილი და რობერტო კარლოსი

ქართველების პოზიციები რუსეთში: არცთუ ურიგო

რევიშვილმა ჩვენებურ მეკარეებს ფასი დაადო

რუსული პრემიერლიგის რამდენიმე საინტერესო ამბავი: "კრასნოდარის" კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი** დღემდე ინარჩუნებს პრემიერლიგის მარჯვენა ცენტრალურ მცველებში საუკეთესო რეიტინგს. 5-ბალიანი სისტემით მისი საშუალო მაჩვენებელი 4.0 ქულაა და მოსკოვის "ლოკომოტივის" სლოვაკ **იან დურიცას** (3.8) და ამქარელ **ალექსეი პოპოვს** (3.8) უსწრებს. ალეკო საუკეთესოა თავის კლუბშიც.

ჩვენებური პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულშიც იყო, მაგრამ ახლა ვეღარ მოხვდა მიუხედავად იმისა, რომ მისნაირი რეიტინგის (4.0) მქონენი დასახელეს. საქმე ისაა, რომ ქულების თანაბრობის შემთხვევაში გაზეთი უპირატესობას მეტი შეხვედრის ჩამტარებელს ანიჭებს, ამისულაშვილს კი ბოლო ტური ტრავმის გამო გაუცდა.

მიუხედავად კრასნოდარის "ყუბანთან" წაგებისა, ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ფეხბურთელმა **გოჩა ხოჯავამ** "სოვსპორტისგან" კარგი შეფასება დაიმსახურა, რეიტინგიც გაიუმჯობესა, 3.67-ის ნაცვლად ახლა 3.8 აქვს, საუკეთესო საყრდენ ნახევარმცველებში კვლავ მეორე ადგილზეა და პეტერბურგის "ზენიტის" ლიდერ **რომან შიროკოვს** ჩამორჩება (4.25), რომელმაც ჩემპიონატი ძალიან კარგად დაიწყო. ხოჯავა "ვოლგაში" რეიტინგით მესამეა.

მოსკოვში "დინამომ" მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხა მახაჩყალის "ანჟისთან" ანგარიშის გათანაბრება – 2:2. **ნუკრი რევიშვილმა** უკრაინელ თავდამსხმელ **ანდრეი ვორონინს** ერთი-ორი „ტკბილი" სიტყვა უთხრა. საქმე ისაა, რომ მოსკოველებმა პირველი გოლი ფეირ პლეის პრინციპების უგულებელყოფით გაიტანეს. "ანჟის" კაპიტან **რობერტო კარლოსს** ბურთი მოხვდა და წაიქცა. მახაჩყალელები თამაშის გაჩერებას ელოდნენ, მაგრამ ვორონინმა ფეირ პლეი დაივიწყა, შეტევა გააგრძელა და გოლიც გაიდა.

პენალტისას კი ნუკრის **რობერტო კარლოსის** რჩევამაც ვერ უშველა, რომელიც დარტყმამდე ლამის ერთი წუთი ეთათბირებოდა ქართველ მეკარეს. საერთოდ, რევიშვილმა თავისიანები რამენაირმე აშკარა გოლისგან იხსნა.

"მოსკოველებს ან სიზუსტე არ ჰყოფნიდათ, ან რევიშვილი თამაშობდა ბრწყინვალედ" – წერს "სოვეტსკი სპორტი".

„ანჟის" ოფიციალურ ვებგვერდზე გულშემატკივართა გამოკითხვა ჩაატარეს. მათ უნდა ეპასუხათ კითხვაზე, ვინ იყო "დინამოსთან" საუკეთესო – რევიშვილი 7 პროცენტით მეოთხეზე გავიდა.

აღსანიშნავია, რომ რევიშვილის სატრანსფერო ფასი გაორმაგდა: შარშან მას გერმანული სააგენტო "ტრანსფერმაკტი" 400 ათას ევროდ აფასებდა, ახლა კი 800 ათასად აფასებს. ლოგიკურია, რადგან 23 წლის ქართველმა მეკარემ რუსეთის პრემიერლიგის გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და ისევე, როგორც ეროვნულ ნაკრებში, "ანჟიშიც" დამაჯერებლად გამოიყურება. გერმანულ სააგენტოს ქართველი მეკარე ასე ძვირად არასოდეს შეუფასებია.

კაცი გურბანოვი ყოფილა!

კახა ცხადაძემ აზერბაიჯანში კეთილი სიტყვა პირველად გაიგო

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ტურში **კახა ცხადაძის** გაწვრთნილმა ბაქოს "ინტერმა" "ყარაბახთან" 0:1 ნააგო.

მატჩამდე "ყარაბახის" მთავარმა მწვრთნელმა **გურბან გურბანოვმა** "ინტერი" და მისი მწვრთნელი შეაქო: *"რთული შეხვედრა გველის, რადგან ბოლო დროს "ინტერი" ცუდად არ თამაშობს და პროგრესი აშკარად ეტყობა. ამას გარდა, კახა ცხადაძის სახით გუნდს ნიჭიერი მწვრთნელი ჰყავს"*.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ცხადაძემ კოლეგას მადლობა გადაუხადა: *"მადლობა გურბანოვს ინტერვიუში ნათქვამი თბილი სიტყვებისთვის. ორი წელია, აზერბაიჯანში ვმუშაობ და ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩემზე კარგი თქვეს"*.

გუშინ კი აზერბაიჯანის თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში „ინტერმა" აზალ-ს უმასპინძლა და 0:0 დაუზავდა.

კახა ცხადაძე

ავსტრიული ზიგზაგი კანდელაკის რე-შტურმი

ილია კანდელაკი

ინტერნეტსააგენტო "ცისოკერის" ცნობით, შესაძლოა, ბაქოს „ინტერი" **ილია კანდელაკმა** დატოვოს.

"ავსტრიული "შტურმის" ხელმძღვანელობა ქართველი მცველის, ილია კანდელაკის დაბრუნების შესაძლებლობას განიხილავს" – იუწყება სააგენტო.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის კანდელაკი აზერბაიჯანამდე თამაშობდა თბილისის "დინამოში", ოდესის "ჩერნომორეცში", გერმანულ "კარლ ცაისსა" და ავსტრიულ "შტურმში", საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კი 13 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

ფლორამ და ზაქარიამ სახელს მოუგეს

ტალინის „ფლორას" ქართველმა ლეგიონერმა **ზაქარია ბეგლარიშვილმა** საგოლე მონაგარს ერთიც მიამატა. მისი კლუბი ესტონეთის თასის ნახევარფინალში ლასმანაეს „აიაქსს" შეხვდა და შავი დღეც აყარა - 6:0. მეხუთე გოლი 59-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ქართველმა მე-80 წუთზე გაიტანა.

„ფლორას" მეტოქე ფინალში ნარვას „ტრანსი" იქნება

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

● სატრანსფერო ამბავი

ჟვირი სათადარიგო

„არსენალი“ **სესკ ფაბრეგასს** ზაფხულში გაყიდის. მართალია, „მეთოფეთა“ მწვრთნელი **არსენ ვენგერი** ამას სიხარულით ნამდვილად არ გააკეთებს, მაგრამ შარშან მან ძალად დატოვა ფეხბურთელი ლონდონში და იმავეს ვეღარ გაიმეორებს - ფაბრეგასს მშობლიურ „ბარსელონაში“ უნდა გადასვლა. ჩრდილოლონდონელთა კლუბის თანამშრომლებმა ინგლისურ ტაბლოიდებს დაუდასტურეს, რომ მართალია, 23 წლის ესპანელს კონტრაქტის თანახმად „ემირეიტ სთედიუმზე“ კიდევ ოთხი წელიწადი აქვს გასატარებელი, სინამდვილეში ის აქ ბოლო შეხვედრებს ატარებს. ფაბრეგასი „არსენალში“ კვირაში 120 ათას ფუნტს იღებს.

ბოლო დროს „ბარსელონას“ აღზრდილი ვარსკვლავი არ მალავს, რომ „მეთოფეთა“ გუნდში თამაშზე გული აუცრუდა. „არსენალს“ 2005 წლის მერე ერთ შეჯიბრებაშიც კი არ გაუმარჯვია. ვენგერმაც კარგად იცის, რომ კაპიტნის კიდევ ერთხელ დარწმუნება, თითქოს „ბარსელონაში“ გადასვლას ლონდონში დარჩენა სჯობს, დროის და ძალის ტყუილი ხარჯვა იქნება. შარშან, როდესაც ფრანგმა „ბარსელონას“ 29 მილიონ ფუნტზე (32,6 მილიონი ევრო) უარი უთხრა, ფეხბურთელი ნაწყენი დარჩა, თუმცა მენტორს ვეღარაფერი შეჰკადრა. მაშინ ვენგერმა ფაბრეგასს კიდევ ერთი სეზონით დარჩენა და ყმაწვილი თანაგუნდელების ტიტულამდე მიყვანა სთხოვა. დღეს ის სეზონიც მთავრდება და ვენგერი, ფაბრეგასი და ყმაწვილი თანაგუნდელები კვლავ ტიტულის გარეშე არიან.

„ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ როგორც კი შანსი მიეცემა, ფაბრეგასი „არსენალიდან“ გაიქცევა და თან რაც შეიძლება შორს. ის ჩვენთან რვა წელიწადია თამაშობს და დარწმუნებულია, რომ საკმარის ზე მეტი ერთგულება გამოამჟღავნა. ფაქტია, რომ გუნდი სეზონს კვლავ ხელცარიელი ასრულებს და სესკი ეჭვობს, რომ მომავალშიც იგივე გაგრძელდება“ — თქვა კლუბის ერთერთმა თანამშრომელმა.

ერთი სიტყვით, ფაბრეგასს „არსენალი“ ვეღარ დაიტოვებს, მაგრამ ფულს კი იშონის - ლონდონელები მის სანაცვლოდ 35 მილიონ ფუნტს (39,5 მილიონ ევროს) ითხოვენ. შეგახსენებთ, რომ ვენგერმა ფაბრეგასი 2003 წელს „ბარსელონას“ აკადემიიდან 500 ათას ფუნტად იყიდა.

როგორც ამბობენ, „ბარსელონა“ არ არის წინააღმდეგი გადაიხადოს ასეთი დიდი თანხა ნახევარმცველში, რომელიც... ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი ვერ იქნება. სწორედ ამასვე ამბობდა ცოტა ხნის წინ „ჩელსის“ ფორვარდი **ფერნანდო ტორესიც.** ის და ფაბრეგასი ესპანეთის ნაკრებში თამაშობენ ერთად. ტორესი მიიჩნევს, რომ ფაბრეგასს „კამპ ნოუზე“ გადასვლა სათადარიგოთა სკამზე ჯდომის მეტს ვერაფერს მოუტანს.

● ამბები

ულიეს ექიმთა აზრით

„ასტონ ვილას“ ფრანგ მწვრთნელ **ჟერარ ულიეს** უხლოესი სამ-ოთხი დღის განმავლობაში საავადმყოფოდან გამოუშვებენ, მაგრამ სამსახურში დაბრუნების ნება შეიძლება არ მისცენ. როგორც ცნობილი გახდა 63 წლის სპეციალისტს უახლოეს პერიოდში საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ მისი მდგომარეობა ძალიან ჰგავს ათი წლის წინანდელს, როდესაც მას 11 საათიანი ოპერაცია დასჭირდა. სიმპტომებიც იგივე იყო — ძლიერი ტკივილები მკერდის არეში.

ექიმმა **დარკ უოლერმა**, რომელიც ულიეს „ლივერპულში“ მუშაობის წლებში მეთვალყურეობდა და დღეს, „ასტონ ვილაში“ იმავე საქმით არის დაკავებული, თქვა: *„ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჟერარის გული შესანიშნავად მუშაობს“.*

თუმცა, მთლად ასე არ ფიქრობენ ის ექიმები, რომელთაც „დეილი მეილი“ ელაპარაკა. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: *„მთელი პრობლემა ის არის, რომ მისტერ ულიეს ოპერაციით ვერ ვუშველით და მას ხანგრძლივი მედიკამენტური მკურნალობა დასჭირდება. ძნელი წარმოსადგენია მისმა ექიმმა ისეთ სამსახურში დარჩენის ნება დართოს, სადაც სტრესი ხშირია“.*

ჟურნალისტებმა თავად ულიესთან დაკავშირებაც შეძლებს. მან უპასუხა: *„ჩემი მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. ბედნიერი ვარ, რომ ძალიან ბევრმა ადამიანმა გამომიგზავნა მესიჯი, რომლითაც მხარდაჭერა მაგრძნობინა“.*

მსაჯი დაისაჯა

მსაჯი **მაიკლ ოლივერი** ამ შაბათ-კვირას პრემიერლიგის თამაშს ვერ მოემსახურება - დასჯილია და ჩემპიონატში გადაისროლეს. მიზეზი: ბოლო ტურში, „ფულჰემის“ და „ვულვერჰემპტონის“ შეხვედრის შემდეგ ლონდონელთა განრისხებულმა მწვრთნელმა, 47 წლის **მარკ ჰიუზმა** თქვა, რომ არბიტრმა ბევრი შეცდომა დაუშვა და მისმა გუნდმა ამიტომაც ვერ მოიგო. ოლივერი ახალგაზრდა არბიტრია, მხოლოდ და მხოლოდ 26 წლისა გახლავთ. მომავალ ტურში ის „მილუოლისა“ და „სუონსის“ მატჩს განსჯის.

რეინა რჩება

„ლივერპულის“ მეკარე **პეპე რეინამ** პირობა დადო, რომ ზაფხულში მერსისაიდიდან არსად წავა. ცოტა ხნის წინ 28 წლის ესპანელს წამოსცდა, რომ „ლივერპული“ მის ამბიციებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა დამოკიდებულება შეიცვალა. რეინამ თქვა:

„ლივერპულში თავს ბედნიერად, მშვიდად და კომფორტულად ვგრძნობ. დღეს, როდესაც მომავალზე ვფიქრობ, ვატყობ, რომ წარმატებებიც „ენფილდ როუდ ზე“ უფრო მოვა, ვიდრე სხვაგან. ჩვენი კლუბის ახალ ამერიკელ მეპატრონეებს კონკრეტული პროექტი აქვთ და, ვფიქრობ, ის გაამართლებს. ვგრძნობ, ზაფხულში გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მოვა და ეს პროგრესის საწინდარი იქნება. ერთ ან ორ წელიწადში აუცილებლად ვიბრძოლებთ ტიტულისთვის“.

ესიენი შესაძლებელია

„ჩელსის“ 28 წლის განელი ნახევარმცველი **მიკაელ ესიენი** „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ შეხვედრაში შეიძლება კვლავ მოედანზე იყოს. ეს შეხვედრა შაბათს, „სტემფორდ ბრიჯზე“, საქართველოს დროით 20 საათსა და 30 წუთზე გაიმართება.

ესიენს წინა ტურში, „ვესტ ჰემთან“ მყესი დაუზიანდა. ეს თამაშის მე-60 წუთზე მოხდა. ნახევარმცველს მოედანზე ექიმთა დახმარებაც დასჭირდა. თავიდან ყველას ეგონა, რომ ის მომდევნო შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. უნდა ითქვას, რომ ესიენისთვის მუხლის მყესები მტკივნეული ადგილია. ბოლო ორი წლის განმავლობაში მან სწორედ ასეთი ტრავმების გამო დიდი ხანი გაატარა. „ჩელსის“ თავკაც **კარლო ანჩელოტის** საბედნიეროდ, მალე გაირკვა, რომ განელის ტრავმა უწინდელზე გაცილებით მსუბუქია.

„მაიკლს მუხლის სიახლოვეს, მყესის მცირე პრობლემა აქვს. სკანირებამ სერიოზული დარღვევა ვერ აღმოაჩინა. ჩვენი გუნდის ექიმები მას კიდევ დაკვირდებიან, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ თამაშისთვის ის მზად იქნება“ - ეწერა „ჩელსის“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

„ჩელსისა“ და „ტოტენჰემის“ დაპირისპირება ძალიან მნიშვნელოვანია. „სპურზი“, მოგეხსენებათ, მეოთხე ადგილისთვის იბრძვის და „მანჩესტერ სიტის“ ოთხი ქულით ჩამორჩება. „ჩელსი“ ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მისდევს - სეზონის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე მათ შორის სხვაობა ექვსქულიანია. შეგახსენებთ იმასაც, რომ ამ ტურში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლონდონში „არსენალს“ ხვდება.

მეტით ნაკლები

„სტოკ სითის“ 29 წლის მარცხენა ნახევარმცველმა, **მეტიუ ეზერინგტონმა** ორთავა კუნთი იტკინა და შეიძლება ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი გამოსტოვოს. სტოკელთა თავკაცმა **ტონი პულისმა** თქვა: *„ჩვენ ვლოცულობთ, რომ „მანჩესტერ სიტისთან“ დაპირისპირებისთვის ის გამოჯანმრთელდეს. ზუსტად ჯერ ვერაფერს ვამბობთ. ყველაფერი სკანირების შემდეგ გაირკვევა. იქამდე ჯერ ორ კვირაზე მეტია და პირველ კვირას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ რიკარდო ფულერი და დენი გიგინბოტემი უკვე დავკარგეთ, ასე რომ, ეზერინგტონის გამოკლება ახლა დიდი დარტყმა იქნება. ჩვენ ხომ არ გვყავს იმდენი ფეხბურთელი, რამდენიც „მანჩესტერ სიტის“, არადა უძლიერესი შემადგენლობით თამაში უმნიშვნელოვანესია“.*

სამშაბათს, ტონი პულისის გუნდმა **კინუეინ ჯონსის, რაიან შოუკროსის** და **ჯერმაინ პენანტის** გოლებით „ვულვერჰემპტონს“ 3:0 მოუგო და სახიფათო ზონას დაშორდა. რაც შეეხება „ვულვზს“, ეს გუნდი ისევ გასავარდნთა შორის არის და ამ უქმეებზე „ბირმინგემს“ უნდა ჩააკითხოს. გუნდის მწვრთნელმა **მიკ მაკართიმ** თქვა:

„საშინელ გუნებაზე ვარ, მაგრამ სხვა გზა არ არის. რამენაირად უნდა მოვიფიქრო, როგორ ვითამაშოთ კვირას უკეთესად. გულწრფელად გეტყვით, ასე ცუდად ჯერ არ გვითამაშია. ძალიან ცუდია, როდესაც ცხრილის ბოლო სამ გუნდს შორის ხარ. ვფიქრობ კრიზისის დაძლევას ნებისყოფა და მოტივაცია უნდა, ხოლო იმაზე კარგი მოტივაცია, ვიდრე პრემიერლიგაში დარჩენაა, არ არსებობს. ვცდილობ, მომზდარში დადებითიც დავინახო. მაგალითად, უილიამ ჰენსიმ დღეს ძალიან კარგად ითამაშა“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● კომენტარი

ჯეკო ბორესმა შთააგონა

ბოსნიელმა თავდამსხმელმა **ედინ ჯეკომ** თქვა, რომ ორშაბათს, „ბლექბერნის“ კარში გოლის გატანა „ჩელსის“ ესპანელმა თავდამსხმელმა **ფერნანდო ტორესმა** შთააგონა. 25 ნლის ფორვარდს, იანვარში, „ვოლფსბურგიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლის შემდეგ გოლი არ ჰქონდა გატანილი. მოთამაშეს, რომელშიც კლუბი 27 მილიონ ფუნტს იხდის, ასეთ რამეს, რასაკვირველია, არავინ აპატიებდა და ამიტომაც დაიწყეს ლაპარაკი მის გაყიდვაზე. ერთი სიტყვით, ჯეკოს გოლმა სულზე მიუსწრო.

ჯეკომდე კი ნავსი ტორესმა გატეხა. მოგეხსენებათ, ისიც იანვარში გადავიდა ახალ გუნდში - „ჩელსიდან“ „ლივერპულს“ მის სანაცვლოდ 50 მილიონი ფუნტი გადაუხადა. თუმცა, ვერც ტორესს გაჰქონდა გოლი და სწორედ ბოლო ტურში, ოლონდ ჯეკომდე ორი დღით ადრე გაუტანა „ვესტ ჰემს“.

ჯეკომ თქვა: *„მე ვნახე, როგორ გაიტანა ტორესმა და ძალიან გამიხარდა. კარგად ვიცი რას ნიშნავს თავდამსხმელისთვის უგოლო პერიოდი. ტორესი „ჩელსიმდე“ „ლივერპულში“ თამაშობდა და ამ გუნდის მაისურით ოთხი წლის განმავლობაში უამრავი გოლი ჰქონდა გატანილი. მას ხელი გუნდის შუა სეზონში გამოცვლის გამო მოეცარა. ფეხბურთის ამბავი კარგად ვიცი — პირველი გოლი ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.*

რაც შემეხება მე, ფეხბურთის ასოციაციის თასსა და ევროლიგაში თითოჯერ კი მქონდა გატანილი, მაგრამ გაზეთებში ყოველდღე ვკითხულობდი, რომ პრემიერლიგაში ბურთს ბადეში ვერ ვაგდებდი და ეს ძალიან მოქმედებდა. ასეთ დროს საშინელი ზეწოლის ქვეშ ექცევი. თუმცა, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემპარვია, რადგან კარგად ვიცი, რომ გოლების გატანა ჩემი საქმეა. ერთადერთი, რაც მჭირდება, დაუღალავი შრომაა, დანარჩენს კი ეშველება.

როდესაც ბუნდესლიგაში გადავედი, მძიმედ დავიწყე. ერთი სიტყვით, ახალ გარემოში მძიმედ დაწყება ჩემთვის სიახლე არ არის. შემდგომი სეზონი უკვე სულ სხვანაირი იქნება. „სიტის“ შემადგენლობაში პირველი გოლი „ნოთს ქაუნთის“ გავუტანე და მაშინაც იგივე ვიგრძენი, რაც ორშაბათს, „ბლექბერნთან“ გატანილი გოლის მერე — ჩემი გოლი მნიშვნელოვანი იყო. დიახ, ჩემს ახალ გუნდში ბევრი არ გამიტანია, მაგრამ ყველა გოლი გადამწყვეტი იყო“.

ისტლენდელთა თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ** თქვა, რომ ბოსნიელი ბოლოხანს მართლაც გულდამძიმებული დადიოდა. ფორვარდს ყველაზე მეტად ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში მოუწყენია, როდესაც **კარლოს ტევესის** ტრავმის მიუხედავად მაინც სათადარიგოთა სკამზე მოუხდა ჯდომა.

ჯეკომ დასძინა: *„რასაკვირველია, ეს ძალიან ძნელი გადასატანი იყო. თასის ნახევარფინალში, მით უმეტეს ასეთ შეხვედრაში (ეს გახლდათ მანჩესტერული დერბი) მონაწილეობა ყველას უნდა, მაგრამ იმედი მაქვს თავის გამოჩენის შანსი ფინალში მომეცემა. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არავის უყვარს, თუმცა ვფიქრობ, ყველაზე ცუდი პერიოდი უკვე გადავლახე“.*

პრემიერლიგა. გამოტოვებული თამაში

ფულჰემი–ბოლტონი 3:0

ფულჰემი (4-5-1): შვარცერი - ბეირდი, ჰანგელანდი, ჰიუზი, სალისიდო - ს. დევისი, სიდუელი, მერფი (78. ეტუჰუ), გუდიონსენი (84. ა. ჯონსონი), დემბისი - დემბელე (68. ზამორა)

ბოლტონი (4-4-2): იაასკელაინენი - სტეინსონი (66. უიტერი), ნაითი, გ. კეჰილი, რობინსონი - ლი, კოენი, მუამბა (71. გარდნერი), ტეილორი - კ. დევისი (72. კლასნიჩი), ელმანდერი

გოლები: 1:0 დემბისი (15), 2:0 დემბისი (48), 3:0 ჰანგელანდი (65)

გაფრთხილება: ზამორა - კლასნიჩი

კუთხური: 10-7; **ჯარიმა:** 14-10; **კარში დარტყმა:** 19-14 (6-4); **თამაშგარე:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

მაყურებელი: 23 222

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. იუნაიტედი	34	21	10	3	71-32	73
2. ჩელსი	34	20	7	7	64-27	67
3. არსენალი	34	18	10	6	67-36	64
4. სიტი	33	17	8	8	51-30	59
5. ტოტენჰემი	33	14	13	6	49-41	55
6. ლივერპული	34	15	7	12	51-39	52
7. ევერტონი	34	11	14	9	47-42	47
8. ბოლტონი	34	12	10	12	48-47	46
9. ფულჰემი	34	9	15	10	40-36	42
10. სტოკი	34	12	6	16	43-43	42
11. ნიუკასლი	34	10	11	13	49-48	41
12. სანდერლენდი	34	10	11	13	39-49	41
13. ასტონ ვილა	34	10	11	13	43-55	41
14. ვესტ ბრომვიჩი	34	10	10	14	49-64	40
15. ბირმინგემი	34	8	14	12	34-51	38
16. ბლეკბერნი	34	9	8	17	40-55	35
17. ბლეკპული	34	9	7	18	48-70	34
18. უიგანი	34	7	13	14	34-57	34
19. ვულვზი	34	9	6	19	37-60	33
20. ვესტ ჰემი	34	7	11	16	39-61	32

ეროვნული

● კიოლნი

ფოლკერ ფინკემ გუშინ უკვე გუნდი ავარჯიშა

შეფერი გადადგა, ფინკე მწვრთნელია!

გუშინ, „კიოლნის" დამრიგებელმა **ფრანკ შეფერმა** თანამდებობა თავისი ნებით დატოვა და გუშინვე, გუნდის მწვრთნელად **ფოლკერ ფინკე** დაინიშნა - 63 წლის სპეციალისტი, რომელიც „კიოლნის" სპორტული დირექტორია და სეზონის ბოლომდე მთავარი მწვრთნელის ფუნქციებსაც შეითავსებს. ფოლკერის მიზანი დარჩენილ სამ ტურში „თხების" მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან გადარჩენა იქნება.

ორი კვირის წინ ფინკემ გადაწყვიტა, რომ შეფერი „კიოლნის" მწვრთნელის თანამდებობას სეზონის დასრულებისთანავე დატოვებდა და კვირას, „ვოლფსბურგთან" განცდილი მარცხის შემდეგაც გაიმეორა, რომ შეფერის ვადამდე გათავისუფლებას არ აპირებდა, მაგრამ გუშინ შეფერმა პოსტი თავისი ნებით დატოვა და წასვლა იმით ახსნა, რომ მასზე ზეწოლა ზედმეტად დიდი იყო. ფრანკი შეგირდებს გუშინ, დილის 9 საათზე დაემშვიდობა. უნდა აღინიშნოს, რომ შეფერი „კიოლნის" გულშემატკივრებში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, რადგან გუნდში 1982 წლიდან მუშაობდა.

ფაქტია, რომ „კიოლნს" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ჯერ კიდევ სერიოზულად ემუქრება. „თხებს" 35 ქულა აქვთ და სარელეგაციო მე-16 ადგილზე მყოფ „ვოლფსბურგს" მხოლოდ სამი ქულით უსწრებენ. თანაც, „კიოლნს" დარჩენილ სამ ტურში საკმაოდ რთული კალენდარი აქვს: „ლევერკუზენი" (შინ), „აინტრახტი" (სტუმრად) და „შალკე" (შინ).

გოტფრიდ ლენცი

● ლევერკუზენი



მიხაელ ბალაკი და კომპანია დორტმუნდელებს ხუთი ქულით ჩამორჩებიან

2002 წელს, ბუნდესლიგის 31-ე ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილს სათავეში „ლევერკუზენი" ედგა, რომელიც მდევარ დორტმუნდის „ბორუსიას" 5 ქულით უსწრებდა. დარჩენილ სამ ტურში პატარა სასწაული მოხდა: „ბორუსიამ" „ლევერკუზენს" გადაასწრო და გერმანიის ჩემპიონი გახდა.

„ვერცხლის სინისთვის" დღესაც „დორტმუნდი" და „ლევერკუზენი" იბრძვიან, პირველ და მეორეადგილოსანს შორის განსხვავება 31 ტურის შემდეგ ისევ ხუთი ქულაა, ოღონდ, ამჯერად როლები გაცვლილია: „დორტმუნდი" პირველზეა, „ლევერკუზენი" მეორეზე.

„ბაიერის" სპორტულ დირექტორ **რუდი ფიოლერს** მარტო ამ ამბის გახსენება და იმის წარმოდგენა უყენებს თმას ყალყზე, რომ „ლევერკუზენს" შეუძლია, „დორტმუნდს" იგივე გაუკეთოს, რაც „დორტმუნდმა" 2002-ში „ლევერკუზენს" გაუკეთა. და თუ შექმნილ ვითარებას ჩავუღრმავდებით, კიდევ არაერთ საინტერესო დამთხვევას აღმოვაჩენთ.

მაგალითად, „ლევერკუზენის" დარჩენილი სამი მეტოქიდან ორი ზუსტად ისაა, ვინც 2002-ში „დორტმუნდის" ბოლო სამ მეტოქეთა შორის იყო: „კიოლნი" და „ჰამბურგი". და პირიქით: „დორტმუნდი" დარჩენილ სამ ტურში „ნიურნბერგსა" და „ვერდერს" უნდა შეხვდეს - სწორედ იმ გუნდებს, რომლებიც 2002 წელს „ლევერკუზენს" ბოლო სამ ტურში დაუპირისპირდნენ.

„დაუჯერებელია! ამდენი დამთხვევა მართლაც წარმოუდგენელია, - აცხადებს ფიოლერი და იქვე დასძენს, - *კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ფეხბურთში ყოველგვარი წინასწარი კალკულაციები უადგილოა. დორტმუნდელები თავს უკვე ჩემპიონებად მიიჩნევენ, მიონხენგლადბახელები, შაბათამდე ფიქრობდნენ, რომ უკვე მეორე ბუნდესლიგაში არიან, ფაქტი კი ისაა, რომ „დორტმუნდი" ისევეა ჩემპიონი, როგორც „გლადბახია" გავარდნილი!"*

...და რას ნიშნავს ეს ყველაფერი „ლევერკუზენისთვის"? ფიოლერი ოპტიმისტურადაა განწყობილი და „ბაიერის" ფეხბურთელებს მაგრად აგულიანებს. *„დარჩენილ სამ ტურში ჩვენ მხოლოდ საკუთარ მატჩებზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულები, სამივე თამაში უნდა მოვიგოთ და თუ „დორტმუნდი" წაიფორხილებს, მზად უნდა ვიყოთ!* - აცხადებს „რუხი მგელი", მაგრამ „ლევერკუზენის" ფეხბურთელებს აფრთხილებს კიდეც, - *მაქსიმალური კონცენტრაცია გვმართებს, რადგან თავისუფლად შეიძლება, მაგალითად, „კიოლნთან" შეხვედრაში, ჩვენც დაგვემართოს ის, რაც „დორტმუნდს" მიონხენგლადბახში დაემართა. თუკი ვამბობ, რომ „ბორუსია" ჯერ კიდევ არ არის გერმანიის ჩემპიონი, იმასაც ვგულისხმობ, რომ „ლევერკუზენს" ჯერ კიდევ არ გაუნაღდებია ჩემპიონთა ლიგის საგზური."*

იმისათვის, რომ „ფარმაცევტებმა" ჩემპიონთა ლიგაში თამაში გაინაღდონ, რეალურად რომ ვიმსჯელოთ, „ჰოფენჰაიმთან" გამარჯვების (2:1) შემდეგ, დარჩენილ სამ თამაშში მხოლოდ ორი ქულის მოპოვება სჭირდებათ. ერთი შეხედვით ეს ძალიან მარტივია, მაგრამ ფიოლერი ფეხბურთელებს მოუწოდებს, ჩვენი მიზანი მხოლოდ ცხრა ქულის დაგროვება უნდა იყოს, რადგან არასდროს იცი, ბედი რა სიურპრიზს გიმზადებსო. „რუხი მგელი" სიურპრიზში, რა თქმა უნდა, „დორტმუნდის" წაფორხილებას გულისხმობს.

თუკი სასწაული არ მოხდება, ფიოლერს მეორე ადგილიც მაგრად გაახარებს: *„2000 და 2002 წლებში მეორე ადგილის დაკავება უდიდესი იმედგაცრუება იყო, შარშან კი მეოთხე ადგილის დაკავებით გაგვიცრუვდა იმედები, რადგან მესამე პოზიციაზე ვოცნებობდით. შესაბამისად, ამ სეზონში მეორე ადგილის დაკავება და ვიცე-ჩემპიონობა ძალიან კარგი მიღწევა იქნება."*

თანაც, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის გარანტია „ლევერკუზენს" უეფასგან მინიმუმ 20-მილიონიან შემოსავალს გაუნაღდებს, რაც ფიოლერს და მის თანამოაზრეებს იმის საშუალებას მისცემს, რომ ზაფხულში გუნდი გააძლიერონ. რაც ასევე მნიშვნელოვანია, მომდევნო სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში გერმანიიდან უკვე ოთხი გუნდი გავა და საკმარისია, „ლევერკუზენმა" გაისადაც მოიპოვოს ლიგის საგზური, რომ გუნდის შემოსავლები უკვე მნიშვნელოვნად გაიზრდება. ეს კი იმის წინაპირობა იქნება, რომ „ლევერკუზენი" ისევ ისეთი გუნდი გახდეს, როგორიც 1997-დან 2004 წლამდე იყო, როცა „ფარმაცევტები" რეგულარულად ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდნენ.

პროგრამა	XXXII ტური	XXXIII ტური	XXXIV ტური
ბორუსია (დ)	ნიურნბერგი (შ)	ვერდერი (ს)	აინტრახტი (შ)
ლევერკუზენი	კიოლნი (ს)	ჰამბურგი (შ)	ფრაიბურგი (ს)

შენიშვნა: ს - სტუმრად; შ - შინ

გოტფრიდ ლენცი

● ბაიერნი

ჰიონესი: ნოიერში ბევრ ფულს არ გადავიხდით!

„ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** „შალკეს" ხელმძღვანელებს შეუთვალა, **მანუელ ნოიერის** ტრანსფერით ჩვენს გაკოტრებას ნუ ეცდებით, ძალიან ბევრი ფულის გადახდას არ ვაპირებთ და იმასაც შეგახსენებთ, რომ თქვენ იძულებულები ხართ, მანუელი გაყიდოთო.

„დიახ, ჩვენ ნამდვილად გვინდა მანუელის ყიდვა და როცა სურვილი არსებობს, არსებობს გზაც. მაგრამ გელზენკირხენელებს ნოიერის ტრანსფერით გამდიდრების და ყველა ვალის გასტუმრების იმედი ნუ ექნებათ," - განუცხადა 59 წლის ულიმ „მიუნხენერ თაგესცაითუნგს" და ისიც თქვა, რომ „შალკეს" შეფებთან მოლაპარაკებები ჯერ არ წამოუწყია, თუმცა უკვე ისეთი განცდა აქვს, რომ გელზენკირხენელები ასტრონომიულ თანხას მოითხოვენ.

არადა, ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრაში, „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ გაკეთებული არაერთი სუპერსეივის შემდეგ მანუელის ფასმა კიდევ აიწია და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, უკვე 25 მილიონ ევროს შეადგენს.

გოტფრიდ ლენცი

● ვოლფსბურგი

მაგათი: რატომ გაყიდეთ ბარძალი?

„ვოლფსბურგმა" როგორც იქნა მოიგო (4:1 კიოლნთან) და ეს გახლდათ „მგლების" პირველი გამარჯვება მას მერე, რაც გუნდს ისევ **ფელიქს მაგათი** წვრთნის. მოგებული შეხვედრის შემდეგ, „დესპოტმა ფელიქსმა" ხმა აიმაღლა და წინამორბედების მიერ გატარებული სატრანსფერო პოლიტიკა გააკრიტიკა.

„არ ვიცი და ვერ ვხვდები, რატომ გაყიდა ყოფილმა მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა იანვარში ძალიან კარგი იტალიელი მცველი ანდრეა ბარძალი, რომელიც ახლა ტურინის „იუვენტუსის" ძირითადი შემადგენლობის წევრია, - ამბობს მაგათი „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *ასეთ დროს და ასეთ მომენტში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონის გასხვისება ძალიან დიდი რისკი იყო."*

შეგახსენებთ, რომ **ბარძალი** „ვოლფსბურგიდან" წასვლას არ გეგმავდა, ის ფაქტობრივად ძალით გაუშვეს - „იუვენტუსმა" ანდრეა ხელში სულ რაღაც 500 000 ევროდ ჩაიგდო. იმასაც გაგახსენებთ, რომ ბარძალი „ვოლფსბურგში" თავის დროზე სწორედ მაგათმა მიიყვანა და მაშინ „მგლებს" ეს ტრანსფერი (პალერმოდან იყიდეს) 8 მილიონი ევრო დაუჯდათ. სწორედ ბარძალი იყო იმ „ვოლფსბურგის" დაცვის ბურჯი, რომელიც 2009 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა. სამაგიეროდ, ფელიქსისთვის გასაგებია **ედინ ჯეკოს** გაყიდვა - მაგათი ამბობს, ბოსნიელს „ვოლფსბურგიდან" წასვლა ჯერ კიდევ 2009 წლის ზაფხულში, ანუ, ჩემპიონობის შემდეგ უნდოდაო.

გოტფრიდ ლენცი

● ამბები

უცნაური კონტრაქტი

ჰოლანდიურმა "ვენლომ" ამ ქვეყნის მცხოვრებ 1,5 წლის ბავშვის მშობლებს 10-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა. იუთუბიზე სულ რამდენიმე დღეში ვიდეო გავა **ბერკე ვან დერ მეის** მონაწილეობით, სადაც ბავშვი ასაკისთვის უჩვეულოდ ტექნიკურად უმკლავდება ბურთებს და სათამაშოების ყუთში ისე ყრის, უკვე მილიონმა ადამიანმა ნახა. "ვენლოს" ბოსებმა დრო იხელთეს და სავარაუდოდ ძალიან ნიჭიერ ბავშვთან დაკავშირებით გეგმა შეადგინეს. *"ერთადერთი, რისი თქმაც ამ ეტაპზე შეიძლება, ის არის, რომ ბავშვი დარტყმის უჩვეულო ნიჭსა და ტექნიკას ფლობს. ამასთან, როგორც გავიგეთ, ძალზე მონდომებული ყოფილა ამ საქმეში,"* – თქვა კლუბის წარმომადგენელმა.

ლოკომოტივი აიაქსის წინააღმდეგ?

სწორედ გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ "აიაქსს" "უტრეხტიდან" შემტევი ნახევარმცველის (ხან თავდამსხმელის), 23 წლის **დრის მარტენსის** გადაბირება უნდა. უკვე დღეს შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ ამსტერდამულ გრანდს მოსკოვის "ლოკომოტივის" სახით კონკურენტი გამოუჩნდა. "დე მორგენის" ცნობით, კლუბებს შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყო და მხარეები შეთანხმებასთან ახლოს დგანან. აღნიშნულ ფორმულირებას არ ეთანხმება "უტრეხტის" წარმომადგენლის კომენტარი. *"დიახ, ვადასტურებ, რომ "აიაქსი" და "ლოკომოტივი" უკვე შეგვეხმიანენ. მათთან მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი უკვე გაიმართა. ერთ ან მეორე მხარესთან რაიმე სახის შეთანხმებაზე ლაპარაკი ჯერ ზედმეტია. გარწმუნებთ, ჩვენ არსად გვეჩქარება და შემოთავაზებებს გულდასმით ავწონ-დავწონით,"* – განაცხადა "უტრეხტის" ტექნიკურმა დირექტორმა **ფუკე ბოიმ**.

ITV-მ და SKY SPORTS-მა შეთანხმება გააგრძელეს

უეფამ ტელეკომპანია ITV-სა და SKY Sports-თან ხელშეკრულებები გააგრძელა. მათ 2012-15 წლებში დიდ ბრიტანეთში ჩემპიონთა ლიგის ჩვენების ექსკლუზიური უფლება შეუნარჩუნდათ. პირველ ტელეკომპანიას სამშაბათს ჩატარებული 16 მატჩის ტრანსლაციის გარდა ლიგის ტურის სრულად მიმოხილვის უფლება აქვს მოპოვებული. ამას გარდა, უფლება აქვს ჩემპიონთა ლიგის ფინალი უჩვენოს საკუთარ მაყურებელს. კომპანია სწორედ ამ პირობებს შეინარჩუნებს ახალი კონტრაქტითაც. სამშაბათს SKY-ს უფლება აქვს აჩვენოს ის მატჩი, რომელსაც მისი კონკურენტი არ აირჩევს, ხოლო ოთხშაბათს არჩევანი აბსოლუტურად თავისუფალია. მიმოხილვის სრულად ჩვენებისა და ფინალური მატჩის ტრანსლაციის უფლებას ბუნებრივია ისიც ფლობს. უეფას მარკეტინგის დირექტორმა **გი-ლორან ეპშტაინმა** აღნიშნულ შეთანხმებას აღფრთოვანებული ტირადა მიუძღვნა, სადაც ხაზი ძირითადად იმას გაუსვა, რომ მაყურებელს სასურველ ფორმატსა და მისთვის ადვილად ხელმისაწვდომი საშუალებით ექნება ფეხბურთის ყურების საშუალება. გეტყვით, რომ აღნიშნული ტელევიზიები მაყურებელს ფეხბურთის ნახვას ტელევიზორის გარდა ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების დახმარებით სთავაზობენ.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იუვენტუსი

იუვე დიდი ცვლილებების მოლოდინში

ნედვედი ადასტურებს: მანჩინი კარგი იქნებოდა

"იუვენტუსის". კრიზისი ბევრისთვის პირადი ტრაგედიის ტოლფასია, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც ტურინელთა ძნელბედობა ძალიან ახარებთ. სწორედ ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნება ჩეხი სპეციალისტი **ზდენეკ ზემანი**, რომელიც არც კი მალავს კმაყოფილებას. ზდენეკი "კორიერე დელო სპორტს" გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

"ყველამ კარგად იცის როგორი ფეხბურთის მოყვარული ვარ და შესაბამისად, არავის უნდა უკვირდეს ის, რომ "იუვენტუსის" და მსგავსი გუნდების წარუმატებლობა ფეხბურთის წარმატებად მიმაჩნია. ზოგადად, "იუვეს" საწინააღმდეგო არაფერი მაქვს – პირიქით, "კალჩოპოლის" შემდეგ მსურდა კიდეც ამ გუნდისთვის მეგულშემატკივრა, მაგრამ არაფრით არ გამომივიდა. ლუიჯი დელ ნერის ტაქტიკა-სტრატეგია ზედმეტად პრაგმატულია, "იუვეს" თამაში კი საშინლად საყურებელი. ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან ფეხბურთს გულშემატკივრებისთვის თამაშობენ. ხშირად, როდესაც გუნდი არასანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებს, შედეგით იმართლებენ თავს, ამ შემთხვევაში კი შედეგიც უარყოფითია. არ დავმალავ, როდესაც ანტიფეხბურთს არა დადებითი შედეგი, არამედ კრიზისი მოაქვს, ეს ძალიან მახარებს".

აი ასეთი განცხადება გააკეთა ზდენეკ ზემანმა და ალბათ კიდევ უფრო გააღიზიანა ისედაც არცთუ კარგ ხასიათზე მყოფი "იუვეს" გულშემატკივრები. ამასობაში, "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს მეტად საინტერესო ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ტურინში უკვე ახალი მწვრთნელის ძიებაში არიან. **ჯანლუიჯი ბუფონის** თქმის არ იყოს, სასწაული უნდა მოხდეს, რომ დელ ნერიმ ადგილი შეინარჩუნოს, სასწაულების კი ტურინში უკვე აღარ სჯერათ. ამიტომ, "იუვეს" მესვეურებმა სენიორ ლუიჯის ჩანაცვლება საბოლოოდ გადაწყვიტეს და მოლაპარაკებები რამდენიმე ფრონტზე გაშალეს. ყველაზე ხშირად **რობერტო მანჩინის** შესახებ საუბრობენ, რომელიც ამჟამად "მანჩესტერ სიტის" უდგას სათავეში და დიდია შანსი, ზაფხულში კლუბის დატოვება მოუწიოს. შესაბამისად, მისთვისაც საინტერესოა თანამემამულეებთან მოლაპარაკების წარმოება და ამად იყო, რომ ლონდონში ერთი მეტად დამაინტრიგებელი საქმიანი ვახშამი შედგა. მაგიდას სამი ადამიანი მიუჯდა – "იუვენტუსის" სპორტული დირექტორის, **ჯუზეპე მაროტას** თანაშემწე **ფაბიო პარაჩიტი**, დირექტორთა საბჭოს წევრი და მწვრთნელის კონსულტანტი **პაველ ნედვედი** და მანჩინის პირადი აგენტი **ჯორჯო დი გეორგისი**. ბუნებრივია, თავად მანჩინიმ თავი შეიკავა შეხვედრაზე მისვლისგან, რადგან ინგლისის "პრემიერლიგაში" სეზონი გადამწყვეტ ფაზაშია შესული და ასეთ დროს, სხვა კლუბთან მოლაპარაკების პირადად წარმოება ვერავითარ ეტიკეტში ვერ ჩაჯდებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ პაველ ნედვედთან ერთად ინგლისში არა ჯუზეპე მაროტა, არამედ მისი თანაშემწე ჩავიდა. უკვე აქტიურად საუბრობენ იმის შესახებაც, რომ დელ ნერი და მაროტა როგორც მივიდნენ, ისევე წყვილად დატოვებენ ტურინს, ამ უკანასკნელის ადგილს კი სწორედ პარაჩიტი დაიკავებს – როგორც ვხედავთ, უკვე შეუდგა კიდეც მოვალეობების აქტიურად შესრულებას. რაც შეეხება ნედვედს, ჩეხის პოზიციები კლუბში აშკარად ძლიერდება, რასაც მისი პრესასთან გაკეთებული კომენტარი ადასტურებს:

"დასამალი არაა, რომ მიმდინარე სეზონში გუნდის ასპარეზობით ძალიან უკმაყოფილოები ვართ. შესაბამისად, მწვრთნელის პასუხისმგებლობის საკითხი დაყენებულია და სავარაუდოდ, დელ ნერისთან განშორება მოგვიწევს. რაც შეეხება ახალ კანდიდატურას, ჩემი სიმპათია რობერტო მანჩინისკენ იხრება, რომელმაც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე დიდი გამოცდილება დააგროვა და თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია. ფეხბურთში ხშირია უსამართლობა და ვფიქრობ, რომ საფეხბურთო საზოგადოების მანჩინისადმი დამოკიდებულებაც ამის ნათელი მაგალითია – ბევრს ეპარება მის შესაძლებლობებში ეჭვი, არადა, ჯერ კიდევ "ინტერში" მუშაობისას დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია. თანაც, რობერტო კლუბის პრეზიდენტის, ანდრეა ანიელის ძველი მეგობარია და საერთო ენის გამონახვა არ უნდა გაგვიჭირდეს".

ნედვედი პირდაპირ ამბობს, რომ ყველანაირად შეეცდება დელ ნერი მანჩინით ჩაანაცვლოს. თუმცა, ალბათ თავადაც კარგად ესმის, რომ ბევრი რამე სეზონის დარჩენილ შეხვედრებზე იქნება დამოკიდებული. თუ "მანჩესტერ სიტიმ" მოახერხა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, ინგლისური კლუბის არაბ მეპატრონეებს სავარაუდოდ მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების სურვილი გაუჩნდებათ – მათთან კონკურენცია კი იოლი საქმე ნამდვილად არ უნდა იყოს. ლონდონში გამართული შეხვედრის შესახებ ნედვედი შემდეგ კომენტარს აკეთებს:

ნედვედის პოზიციები ძლიერდება

"არ შეიძლება იმის თქმა, რომ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია, რადგან კონკრეტული წინადადებით მანჩინისთვის არ მიგვიმართავს. ეს უბრალოდ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იყო, რომელიც მეტწილად "იუვენტუსის" გეგმებსა და სტრატეგიულ მიმართულებებზე ლაპარაკს დაეთმო. თავის მხრივ, აგენტმაც გაგვაცნო მანჩინის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ მხოლოდ "მანჩესტერ სიტის" განვრთნაზეა კონცენტრირებული და სანამ სეზონი არ დასრულდება, სხვა ვერაფერზე იფიქრებს. ამ პოზიციას ველოდით კიდეც, რადგან რობერტო პროფესიონალია და შუა სეზონში სხვა საფიქრალი უბრალოდ ვერ ექნება".

მართალია, მოლაპარაკება აქტიურ ფაზაში არ შესულა, მაგრამ საქმე დაძრულია და ვნახოთ, რით დასრულდება ეს ყველაფერი. ზემოთ ვთქვით, რომ დელ ნერის მსგავსად, კლუბიდან წასვლის კანდიდატი ჯუზეპე მაროტაც გახლავთ – მის კიდევ ერთ შეცდომად საფეხბურთო ექსპერტებმა **კარვალიო ამაურის** "პარმაში" გაშვება მიიჩნიეს და ამის გამო, მკაცრადაც აკრიტიკებენ. მაშინ, როდესაც ტურინელებს ძალიან უჭირთ შეტევაში, ამაური გოლს გოლზე იტანს და ის, რომ ემილიური გუნდი დაშორდა გასავარდნ ზონას, დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღვის. ბუნებრივია, აპენინელი ჟურნალისტები ამაურისაც შეეხმიანენ და მისი აზრიც მოისმინეს:

"ბევრს ჰგონია, რომ ძალიან მახარებს "იუვენტუსის" წარუმატებლობა, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. პირიქით, ვგულშემატკივრობ გუნდს და მინდა, რომ ევროპის ლიგის საგზური მაინც მოიპოვოს. ჯერ ერთი, "პარმაში" იჯარის წესით ვასპარეზობ და ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა ტურინში დაბრუნებამ მომიწიოს, ამიტომ ამ გუნდს ჯერ კიდევ ჩემად ვთვლი. მეორე მხრივ, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ "პარმაში" გადასვლის გადაწყვეტილება მივიღე და დღეს, ამ გუნდში ვირიცხები. აქ შესანიშნავი ადამიანები დამხვდნენ, რომლებიც გვერდში ამომიდგნენ რთულ პერიოდში და კრიზისის დაძლევაში დამეხმარნენ. კლუბს ბრწყინვალე პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ფეხბურთელებმა თავი კარგად იგრძნონ – არაფერს ვამბობ გულშემატკივრებზე, რომლებიც სტადიონზე საოცარ ატმოსფეროს ქმნიან"

ლაშა ნიკლაური

● ვარსკვლავი

განგსტერი და ბალერონი

ზლატან იბრაჰიმოვიჩის რთული ხასიათის ამბავი საფეხბურთო სამყაროში ლამის ყველამ იცის. ის 1981 წლის 3 ოქტომბერს შვედეთში, მალმიოში დაიბადა. მამა **შეფიკ იბრაჰიმოვიჩი** ბოსნიელი მუსლიმანია, დედა **იურკა** - ბოსნიელი ხორვატი. მათ ქორწინება მხოლოდ შვედეთში გადასახლების შემდეგ გადაწყვიტეს. მათი ვაჟი 8 წლიდან "ბალკანის" ბავშვთა გუნდში დადიოდა ფეხბურთზე. როგორც დასახელებიდან მიხვდებოდით, ეს კლუბი მხოლოდ ბალკანეთიდან გადასახლებული ემიგრანტებით იყო დაკომპლექტებული. ზლატანი სულ რამდენიმე თვეში გადაიყვანეს უფროს ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა იქ ერთ-ერთ პირველივე შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე იმიტომ მოხვდა, რომ თამაშამდე ცუდად მოიქცა. 0:4-ზე მწვრთნელმა ის მინდორზე შეუშვა და იბრამ 8 გოლი გაიტანა, მისმა გუნდმა კი 8:4 მოიგო. სწორედ მაშინ მიხვდნენ მწვრთნელები, რომ საქმე განსაკუთრებული მონაცემების ფეხბურთელთან ჰქონდათ. 12 წლისა ის "მალმიომ" აიყვანა თავის ასაკობრივ გუნდში. 18-ისას მას უკვე პროფესიული დებიუტი ჰქონდა აღნიშნულ კლუბში. 2000 წელს ზლატანმა მეორე ლიგაში 12 გოლის გატანა შეძლო, რითაც გუნდს უმაღლესში დაბრუნების შესაძლებლობა მისცა. მისით უკვე მაშინ დაინტერესდნენ წამყვანი კლუბები, მათ შორის "არსენალი" და "აიაქსი". შვედმა არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა. "მალმიომ" 19 წლის ფეხბურთელში 7,8 მლნ ევრო მიიღო.

იბრაჰიმოვიჩისთვის უხეში მანერები უცხო არ არის

"აიაქსში" **კო ადრიაანსე** ფეხბურთელს დიდად არ სწყალობდა, თუმცა **რონალდ კუმანის** დანიშვნის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. 2002 წელს ახალგაზრდა შვედმა პირველად მოიპოვა ჰოლანდიის ჩემპიონის ტიტული. მომდევნო სეზონში ზლატანმა ჩემპიონთა ლიგაში გამოიჩინა თავი, რამაც ფეხბურთელის მიმართ ყურადღება გააათმაგა. 2004 წლის 22 აგვისტოს იბრამ "ბრედას" ისეთი გოლი გაიტანა, რომ "ევროსპორტის" მაყურებლებმა ის წლის საუკეთესო გოლად აღიარეს. აღფრთოვანებულმა "იუვენტუსმა" სულ რამდენიმე დღეში, 31 აგვისტოს, ბოლო სატრანსფერო დღეს მასში "აიაქსს" 19 მილიონი გადაუხადა. "ამსტერდამ არენაზე" მან 3 სეზონში 2 საჩემპიონო ტიტული და 38 გოლი დააგროვა და შვედეთის ნაკრების ძირითადი ფეხბურთელის სახელი დაიბევა. სერია A-ში პირველივე მატჩის შემდეგ იბრამ შვედ საგაზეთო ჟურნალისტს ინტერვიუზე კატეგორიული უარი უთხრა. ამ უკანასკნელმა ფეხბურთელთან ლაპარაკი ვიდეოკამერაზე ჩაწერა და ერთ-ერთ შვედურ ტელეკომპანიას მიჰყიდა. სამშობლოში ზლატანის ამგვარ საქციელს მკვეთრი უკურეაქცია მოჰყვა. თავის მხრივ ამან იბრას დიდი ხნით გაუფუჭა ურთიერთობა შვედურ მასმედიასთან.

"ზებერ ქალბატონთან" იბრაჰიმოვიჩის რომანიც თავიდან სათადარიგოთა სკამით დაიწყო. მოგვიანებით მან დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და სეზონი 16 გატანილი გოლით დაასრულა. შედეგად "ბიანკონერის" ფანებმა ის კლუბის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ზლატანმა 2005 წელსვე დაიმსახურა შვედეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი. "კალჩოპოლის" სკანდალისა და "იუვენტუსის" სერია B-ში დაქვეითების თემას აღარ შევეხებით. უბრალოდ გეტყვით, რომ იბრამ ქვედა ლიგაში თამაში არ ისურვა. "იუვემ" ის "ინტერს" 25 მილიონ ევროდ გადაულოცა, სადაც "ბიანკონერიში" მოპოვებული და შემდგომ ჩამორთმეული 2 ტიტულის ნაცვლად 3 სკუდეტო მოიგო. შეიძლება ითქვას, რომ "ნერაძურიში" მისი ტალანტი უფრო აკიაფდა. არასტაბილური მფეთქავი ვარსკვლავისგან იბრა კაშკაშა და სტაბილურ მოთამაშედ იქცა. "ინტერს" 2007/08 წლების საჩემპიონო რბოლაში გამარჯვება "პარმასთან" სწორედ მისმა დუბლმა მოუტანა. შვედი რამდენადაც ძლიერი იყო იტალიის პირველობაზე, იმდენად სუსტად გამოიყურებოდა ევროპულ არენაზე. განსაკუთრებით პლეი ოფის ეტაპზე. "ინტერი" მიიჩვია თამაშის იბრაზე აგებას, მას კი მსოფლიოს საუკეთესო კლუბების მცველები მინდორზე იმხელა ყურადღებას უთმობდნენ, რომ მინდვრიდან "აქრობდნენ". 2009 წლის ზაფხულზე ზლატანმა "ინტერში" დარჩენის სურვილი გამოთქვა, თუმცა "ბარსელონამ" მილანელებს ისეთი წინადადება შესთავაზა", რომელზეც უარს არ ამბობენ - 46 მილიონი ევრო, პლუს **სამუელ ეტოო**. 27 ივლისს იბრაჰიმოვიჩი "კამპ ნოუზე" 62 ათასი გულშემატკივრის წინაშე წარადგინეს.

ზლატანის ესპანური დებიუტი დიდებული გამოდგა - 5 მატჩი, 5 გოლი. თითქოს მეტი რაღა უნდა ინატროს ადამიანმა, არა? თურმე შეიძლება ინატრო. უკვე ვთქვით, რომ ნიჭთან ერთად შვედს მძიმე ხასიათი დაჰყვა. მას პირველივე თვეში მოახერხა "ბარსას" უმთავრეს ვარსკვლავ **ლიონელ მესისთან** წაჩხუბება. არგენტინელი მას ვარჯიშებზე გადამეტებული უხეშობისთვის გაუწყრა. გიგანტური აღნაგობის იბრამ (195 სმ) ტანმორჩილ თანაგუნდელს დაცინვა დაუწყო, რამაც მათ შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბა. ამბობენ, რომ შვედის იტალიაში დაბრუნების უმთავრესი მიზეზი სწორედ ეს გახდაო. 2010 წლის 28 აგვისტოს "მილანმა" "ბარსელონასთან" ერთწლიანი საიჯარო კონტრაქტი შეათანხმა. სეზონის დასრულებისთანავე "როსონერის" ფეხბურთელის ხელში ჩაგდება 24 მილიონ ევროდ შეეძლება. "მილანში" იბრას ფეხი ნორმალურად მოკიდებული ჯერ არ ჰქონდა, როცა პირველ სკანდალში გაეხვია. სატელევიზიო შოუში **არიკო საკის** უწყინარ ხუმრობაზე, იბრამ "ოსერთან" გოლი თავისი გრძელი ფეხების წყალობით გაიტანაო, შვედმა უზრდელად უპასუხა და ლეგენდარულ მწვრთნელს "მოკეტვა" ურჩია. ამას ჯერ **როდნი შტრასერთან** შემდეგ კი **ოგუჩი ონიევუსთან** ჩხუბი მოჰყვა.

გაუძლებს კი "მილანი" ამდენს? ამ შეკითხვაზე მხოლოდ დრო გაგვცემს პასუხს.

ლევან ბიბილაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

განსო თითქმის მილანელია

განსო "მილანს" უახლოვდება

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "მილანის" ოფისში გუშინ დიდი სტუმრიანობა იყო. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ჯერ "სანტოსის" ახალგაზრდა თავდამსხმელის, **პაულო ენრიკე განსოს** პირად აგენტს შეხვდა, შემდეგ კი **ჯეფერსონ ფარფანის** წარმომადგენელიც მიიღო. დიახ, "შალკეს" პერუელ ნახევარმცველს კლუბის გამოცვლა აქვს გადაწყვეტილი და ბუნებრივია, არ იქნება წინააღმდეგი თუ კარიერას "როსონერიში" გააგრძელებს. თავის მხრივ, გარკვეულ ინტერესს მილანელებიც იჩენენ და ეს შეხვედრაც ამის ნათელი დადასტურებაა. "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტმა ფარფანის პირად აგენტ **ჯაკომო პეტროლიტოს** კომენტარი ჩამოართვა:

"შეხვედრა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და მთლიანობაში, კმაყოფილი დავრჩი. "მილანის" მესვეურებს ძალიან მოსწონთ ფარფანის თამაშის მანერა და სიამოვნებით იხილავდნენ მას შავ-წითელი მაისურით. თუმცა, ისიც მითხრეს, რომ ეს საკითხი მთავარ მწვრთნელ, მასიმილიანო ალეგრისთან უნდა შეათანხმონ. ბუნებრივია, ჯერ ვერც იმაზე დავდებ თავს, რომ "შალკე" იოლად შეელევა ჩემს კლიენტს, ხელშეკრულებას კი მხოლოდ 2012 წლის ივნისში გასდის ვადა. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს".

გაცილებით დიდი რეზონანსი გამოიწვია განსოს აგენტის მილანში სტუმრობამ. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ორი კვირის წინ, ბრაზილიაში "როსონერის" დირექტორი **არიედო ბრაიდა** ჩავიდა და სწორედ განსოს ტრანსფერთან დაკავშირებით გამართა მოლაპარაკებები. მართალია, ჯერ სატრანსფერო ფასი არ ხმაურდება, მაგრამ ის კი გავიგეთ, რომ კლუბებმა შეთანხმებას მიაღწიეს. შესაბამისად, დარჩა მხოლოდ პირადი ხელშეკრულების დეტალების მოგვარება - **ტიაგო ფერა** სწორედ იმიტომ ჩავიდა "მილანში", რომ ხელშეკრულების დეტალები შეათანხმოს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მხარეები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ. "გაძეტას" ცნობით, მოლაპარაკების მეორე რაუნდი ორიოდე დღეში გაიმართება და ამის შემდეგ, განსოს გამილანელების შესახებ ოფიციალური განცხადება გაკეთდება.

ლაშა ნიკლაური

უცხოური ფეხბურთი

● არგენტინა. კლაუსურა. XI ტური

ბოლო გოლი კარიერაში?

რამონ დიასის დაბრუნება არ შედგა

ნიუელსი-ბანფილდი 0:1

გოლი: 0:1 აჩუკარო (58)

ინდიპენდენტე-ლან ბოისი 2:2

გოლები: 1:0 პარა (41), 2:0 ბატიონი (56) - 2:1 ერერასი (78), 2:2 გილიოტი (81)

ესტუდიანტესი-კილმესი 0:2

გოლები: 0:1 ფუერტესი (40), 0:2 დ. დიასი (90)

ველესი-კილმესი 2:3

გოლები: 1:0 კანტეროსი (38), 1:1 კანეო (64), 1:2 პ. ვასკესი (80), 1:3 პ. ვასკესი (81), 2:3 ვულეტიჩი (90)

გაძევება: გარნიერი (83. კილმესი)

რივერი-ბოლივი ქრუსი 1:2

გოლები: 1:0 მაიდანა (37), 1:1 ზ. გარსია (48), 1:2 დონდა (86)

არსენალი-ხიმნასია 1:1

გოლები: 1:0 ობოლო (33), 1:1 ბაროსი (67)

ბანფილდი-სან ლორენსო 1:0

გოლი: 1:0 ფერარი (5 ს.კ.)

ვალესი-ბოკა 0:3

გოლები: 0:1 ჩავესი (19), 0:2 კოლასო (46), 0:3 პაალერმო (83)

არხენტინოსი-რასინგი 2:1

გოლები: 0:1 გუტიერესი (17), 1:1 სალედო (58), 2:1 პროსპერი (77)

გაძევება: სუკულინი (60. რასინგი)

ლანუსი-ლანისი 1:1

გოლები: 1:0 რომერო (77), 1:1 კობო (89)

პიონი) ვერ შედგა. ასე რომ, მისი გადაწყვეტილება მართებულია. ბოლო ორი სეზონია, „სან ლორენსო“ კარგად იწყებს ჩემპიონატს და შემდეგ... ცხრილის მეორე ნახევარში ინაცვლებს. „ციკლონების“ გულშემატკივრებს რამონის ადგილზე **ალეხანდრო საბელას** ხილვა სურთ, მაგრამ უფრო რეალურია, რომ პოსტს **ნესტორ გოროსიტო** ჩაიბარებს.

ბოლოსწინა (სულ ახლახან, სულაც მაჩანჩალა) „კილმესმა“ სტუმრად 5-გოლიან თრილერში ერთპიროვნული ლიდერი „ველეს სარსფილდი“ დაამარცხა, თანაც მატჩი 10 კაცით ჩაამთავრა. რომ მოეგო, „ველესი“ წინ გაიჭრებოდა, არგენტინის ჩემპიონატში 4-ქულიანი უპირატესობაც ბევრს ნიშნავს, ახლა კი ინტრიგა კიდევ უფრო გახურდა.

„ნიუელს ოლდ ბოისში“ დებიუტი ჰქონდა ახალ თავკაც **ხავიერ ტორენტეს**, წარუმატებელი „კეთროვნებმა“ „ბანფილდთან“ 0:1 წააგეს.

გამოვარჩევთ ლეგენდების „დაბრუნებას“ - 37 წლის **გილერმე ბაროსმა** ბოლოს 14 წლის წინათ გაიტანა „ხიმნასიას“ მაისურით. გასაოცარი არაფერია, ის ხომ 1997 წლიდან 10 წელი „ბოკას“ ღირსებას იცავდა, მერე კი ამერიკულ მლს-ში, „კოლუმბუსში“ გამოდიოდა. გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ კლაუსურას წინ დაბრუნებულმა გოლიადორმა მერვე ცდიდან პირველად კვირას შეაგდო. გოლი გაიტანა მასზე ერთი წლით უმცროსმა **მარტინ პალერმომაც**, რომელიც მისთვის პირველია ამ ჩემპიონატში. კინაღამ ვიფიქრეთ, რომ მარტინი კარიერის დასრულებამდე (სეზონის მერე მიდის ფეხბურთიდან) გოლის გატანას ვეღარ შეძლებდა. *„ამ უგოლობის გამო ღამეები არ მეძინა, ახლა კი შვებით ამოვისუნთქე. სხვათა შორის, უფრო დიდი უგოლო სერიაც მქონია, „ვილიარეალში“ თამაშისას, მაშინ 12 შეხვედრაში ვერ გავიტანე. ამ ხნის განმავლობაში ბევრი მხარდამჭერი მესიჯი მივიღე. გოლმა ენით აუწერელი სიხარული მომგვარა, მზად ვიყავი, გ ზად ყველას გადავხვეოდი, მაგრამ ამხელა მკლავებიც არ მაქვს, რომ ყველას ჩავეხუტო“*, - ასე ახსნა თავისი გრძნობები თამაშის შემდეგ მარტინმა.

მარტინ პალერმო გოლს ზეიმობს

კლაუსურას დასრულებამდე 8 ტურით ადრე ლიდერთა ჯგუფში საოცარი სიმჭიდროვეა. საკმარისია ითქვას, რომ ჩემპიონობის შანსი თვით მე-14 ადგილზე ჩაძირულ „ბოკა ხუნიორსსაც“ კი არ დაუკარგავს, რომელიც ლიდერს სულ 7 ქულით ჩამორჩება. ახლა მთელი სამხრეთ ამერიკის ყურადღება ლიბერტადორესის თასისკენაა მიმართული, რომლის მერვედფინალში მხოლოდ ორი არგენტინული კლუბი გავიდა: „ველეს სარსფილდი“ და „ესტუდიანტესი“. პირველმა თითქმის გაინაღდა მეოთხედფინალი, მას მერე, რაც „კიტოს“ შინ 3:0 მოუგო

ტურის მოვლენები

„სან ლორენსოს“ მარცხი და **რამონ დიასის** გადადგომა ტურის მთავარი მოვლენაა. ვთქვათ პირდაპირ, მწვრთნელი რომ წავიდოდა, ამის წინა პირობა უკვე იყო შემზადებული. დიასი, რა თქმა უნდა, კარგი მწვრთნელია და, როგორც უნდა წარიმართოს მისი მომავალი კარიერა, აზრს არ შევიცვლით, ბოლო-ბოლო ის „რივერ პლეიტის“ რეკორდსმენი მწვრთნელია ჩემპიონის ტიტულების რაოდენობის მიხედვით (7), მაგრამ „ციკლონებში“ დაბრუნება (შეგახსენებთ, რომ მან ერთხელ უკვე გახადა „სან ლორენსო“ ჩემ-

ტურის ციფრები

ისევე როგორც, მე-10 ტურში, ახლაც 26 გოლი გავიდა 10 ტურში, მაგრამ ახლა სტუმრებმა გოლებით 16:10 აჯობეს მასპინძლებს. დუბლის შესრულება შეძლო ბევრისთვის უცნობმა **პაბლო ვასკესმა**, მაგრამ სწორედ მისმა გოლებმა გაამარჯვებინეს „კილმესს“ ლიდერზე.

ტურის მატჩი

არსენალი VS ხიმნასია

აუტსაიდერები კი არიან, მაგრამ ორივე გუნდი შინაარსიან ფეხბურთს თამაშობს და ეს მათ ახლაც დაამტკიცეს. ორმხრივი შეტევები, კარგი ტემპი, მომენტების ცვენა, ეს ამ დაპირისპირების დამახასიათებელი იყო. ბოლოს მოგება ნებისმიერ მხარეს შეეძლო. ყველაფერი კი სკანდალით დასრულდა, როცა მასპინძელ **გუსტავო ბლანკო ლეშუკს** აშკარა გოლი არ ჩაუთვალეს, თამაშგარე იყოო.

ტურის გუნდი

„ბოკა ხუნიორსი“

მორიგი ჩემპიონატი და მორიგი იმედგაცრუება „ბოკას“ ფანებისთვის, მაგრამ გუნდი ხანდახან საოცარ მატჩსაც გამოურევს ხოლმე, როგორც ახლა სტუმრად „ურაკანთან“. **ფალსიონის** გუნდმა ლამაზი, კომბინაციური ფეხბურთი აჩვენა, იქნება თუ არა გაგრძელება? ვინ იცის...

ტურის გმირი

პაბლო ვასკესი

27 წლის ფორვარდმა ბევრი სამხრეთამერიკული გუნდი მოიარა, ერთ ადგილას დიდხანს ვერსად ჩერდებოდა. ყველაზე მეტი გოლი არგენტინის ჩემპიონატში მან 2007 წლის „ნიუელს ოლდ ბოისში“ გაიტანა - 2. ზუსტად იმდენი, რამდენიც მან წუთ-ნახევრის განმავლობაში შეაგდო ლიდერის კარში.

ტურის გოლები

მარიანო დონდა (გოდოი კრუსი) „რივერის“ კარში.

ნიკოლას კოლასო (ბოკა) „ურაკანის“ კარში.

კრისტიან ჩავესი (ბოკა) „ურაკანის“ კარში.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ველესი	11	6	3	2	19-11	21
2. გოდოი კრუსი	11	6	2	3	20-16	20
3. რივერი	11	5	4	2	10-6	19
4. ოლიმპო	11	5	3	3	20-15	18
5. არხენტინოსი	11	4	6	1	10-5	18
6. ბანფილდი	11	5	3	3	12-11	18
7. ესტუდიანტესი	11	5	2	4	12-9	17
8. კილმესი	11	5	2	4	14-15	17
9. ლანუსი	11	4	4	3	15-11	16
10. რასინგი	11	5	1	5	16-14	16
11. სან ლორენსო	11	4	3	4	11-9	15
12. ტიგრე	11	4	3	4	13-14	15
13. ინდეპენდიენტე	11	3	5	3	15-13	14
14. ბოკა	11	4	2	5	11-14	14
15. ოლ ბოისი	11	3	3	5	8-14	12
16. არსენალი	11	2	5	4	13-15	11
17. ხიმნასია	11	2	5	4	10-14	11
18. ურაკანი	11	2	5	4	13-19	11
19. კილმესი	11	2	3	6	12-16	9
20. ნიუელსი	11	1	2	8	10-23	5

ბომბარდირები: 9 - სტრაკვალურსი (ტიგრე); 7 - გუტიერესი (რასინგი), კამპორა (ურაკანი); 6 - ფუერტესი (კოლონი); 5 - ნეირა (ხიმნასია), მაჯოლო (ოლიმპო), ვალერი (ლანუსი), ს. სილვა (ველესი).

● ამბები

ბარსელონადან დეპორტივოში

„ბარსელონას“ 24 წლის ნახევარმცველი **ვიქტორ ვასკესი** ზაფხულში კლუბს გამოიცვლის. ვასკესი „ლა მასიას“ აღზრდილია, მას დებიუტი პირველ გუნდში 2008 წელს ჰქონდა, მაგრამ ვასკესმა იქ დამკვიდრება ვერაფერით შეძლო და არც სარეზერვო გუნდში თამაშით სურს კარიერის დასრულება. მისით „დეპორტივოა“ დაინტერესებული, თუმცა გალისიური კლუბი ზაფხულში კატალონიაში ხვავრიელი მოსავლის აღებას აპირებს: ვასკესის გარდა 22 წლის მეკარე **რუბენ მინიო** და 19 წლის მცველი **ორიოლ რომეუ** სურს.

სილვიო ატლეტიკოში

პორტუგალიური მედიის ცნობით, მადრიდის „ატლეტიკომ“ უკვე დაიბევა „ბრაგას“ მცველი **სილვიო**. 23 წლის სილვიო „ვისენტე კალდერონზე“ ახალ სეზონში ითამაშებს. სილვიოს ხელში ჩაგდება „ბენფიკას“ და „პორტუსაც“ სურდათ, მაგრამ აბა, სად ლიგა საგრეშში თამაში და სად ესპანურ პრიმერაში. სილვიოს პორტუგალიის ნაკრებში სამი მატჩი აქვს გამართული.

● ევროპის ლიგა. 1/4 ნახევარფინალების წინ

ბენფიკას მატჩისწინა ვარჯიში

დღეს. 23:05

ბენფიკა (პორტუგალია) VS ბრაგა (პორტუგალია)

სავარაუდო შემადგენლობა

ბენფიკა (4-4-2): რობერტო - პერეირა, ჟარდელი, ლუიზაო, კოენტრაო - გარსია, მარტინში, აიმარი, აირტონი - სავიოლა, კარდოსო.

ბრაგა (4-3-3): არტური - პაულაო, გარსია, კუსტოდიო, სილვიო - ვიანა, ვანდინიო, სალინო - მეიონგი, ალანი, ლიმა.

დღეს. 23:05

პორტუ (პორტუგალია) VS ვილიარეალი (ესპანეთი)

სავარაუდო შემადგენლობა

პორტუ (4-3-3): ელტონი - სეპუნარუ, როლანდო, ოტამენდი, ა. პერეირა - გუარინი, ფერნანდო, მოუტინიო - კ. როდრიგესი, ფალკაო, ჰალკი.

ვილიარეალი (4-4-2): დ. ლოპესი - მარიო, მარჩენა, მუსაჩიო, კატალა - კასორლა, ბრუნო, მატილია, ბ. ვალერო - როსი, ნილმარი.

ბევრი პორტუგალია და ცოტაც ესპანეთი

ისტორია ბენფიკას მხარეს

დღეს საღამოს ევროპის ლიგის ეპიცენტრი პორტუგალიის ორი ქალაქია - ლისაბონი და პორტუ. დედაქალაქში „ბენფიკა“ პორტუს სატელიტი ქალაქის გუნდ „ბრაგას“ მასპინძლობს, ხოლო ჩრდილოეთში **ანდრე ვილას-ბოასის** „პორტუ“ ესპანურ „ვილიარეალს“ მასპინძლობს. მოკლედ, ევროპის რანგით მეორე თასის ბედი შიდაიბერიული საქმეა - ბევრი პორტუგალიური და ცოტაც ესპანური...

მართალია, „ვილიარეალი“ დიდებულად თამაშობს პრიმერადივიზიონში (თუ ბოლო დროის ჩავარდნას არ ჩავთვლით), მაგრამ მისი დღევანდელი მეტოქე ამ სეზონში თითქმის შეუჩერებელია - 33 წლის ვილას-ბოასმა ისეთი გუნდი ააწყო, რომელსაც ჩემპიონატში ჯერაც არ წაუგია და არც სხვა ტურნირებში ირცხვენს თავს. „პორტუმ“ ამ სეზონში სულ ორჯერ წააგო, ერთხელ „სევილიასთან“ და ერთხელ „ბენფიკასთან“.

ერთია, „პორტუს“ ძალიან ცუდი რეკორდი აქვს ესპანურ კლუბებთან ამ ათასწლეულში - 8-დან მხოლოდ 1 ევრომატჩი მოუგო მეზობელი ქვეყნის კლუბებს. ამ თამაშში ევროპის ლიგის ორი გამორჩეული ბომბარდირის დუელსაც ვნახავთ - პორტუელი **რადამელ ფალკაო** 11 გოლით პირველ ადგილზეა, მას კვალში მიჰყვება „ელ სუბმარინოს“ იტალიელი გოლეადორი **ჯუზეპე როსი** 10 გოლით.

„ვილიარეალს“ 8 მატჩია, რაც ევროპის ლიგაზე არ წაუგია (პაოკ-თან 0:1-ის შემდეგ). ასე რომ, ჩვენ ორი ფავორიტის შეხვედრა გველის.

ანდრე ვილას-ბოასი არც ამჯერად უღალატებს 4-3-3 ტაქტიკურ სქემას, სადაც დაცვის მარჯვენა ფლანგზე **კრიშტიან სპენუარუ** ითამაშებს, რადგან ურუგვაელი **ხორხე ფუსილე** ამ სეზონში მოედანზე ვეღარ გავა. პრინციპში მწვრთნელს მხოლოდ ერთი თავსატეხი აქვს სასტარტო შემადგენლობასთან დაკავშირებით - მან უნდა გადაწყვიტოს, დააბრუნოს თუ არა შუა ხაზში გამოჯანმრთელებული **ფრედი გუარინი**, თუ ისევ **რუბენ მიკაელს** ენდოს, რომელიც შესანიშნავად თამაშობს. „პორტუს“ შემტევი კვარტეტიდან ერთს სკამზე მოუწევს ყოფნა, სავარაუდოდ, ის **სილვესტრ ვარელა** იქნება, ხოლო **ჰალკისა** და **ფალკაოს** გვერდით **კრისტიან როდრიგესი** ითამაშებს.

„ვილიარეალს“ დისკვალიფიკაციის შემდეგ **ნილმარი** უბრუნდება. „ყვითელი წყალქვეშა ნავის“ სუპერდუეტი შეტევაში ისევ აღდგება - როსი-ნილმარის წყვილი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში დღეს. გუნდს პორტუგალიაში მიჰყვება გამოცდილი **მარკოს სენა**, მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონმა ითამაშოს. **ხუან კარლოს გარიდო** ალბათ მაინც **ბორხა ვალეროს** არჩევს ახალგაზრდა **ვაკასო მუბარაკს**.

პორტუგალიურ დერბიში კი სტატისტიკა „ბენფიკას“ სასტიკი მომხრეა - იცით, ბოლოს როდის მოიგო „ბრაგამ“ „და ლუზე“? 1954 წელს. ლისაბონური ურთიერთშეხვედრების თანაფარდობა კი ასეთია - 42 მოგება, 11 ფრე და 1 მარცხი დღევანდელი მასპინძლის სასარგებლოდ. წლეულს, „არწივებს“ ევროპის ლიგაზე არ წაუგიათ - 6-დან 4 მატჩი მოიგეს. და თუკი მაინც შეძლებს „ბრაგა“ გამარჯვებას, ეს „ბენფიკას“ მე-100 მარცხი იქნება ევროთასებზე.

„ბენფიკას“ დიდი ძალაა შუა ხაზში „რეალის“ ყოფილი წევრი **ხავი გარსია**. ძალიან სახიფათონი არიან ფლანგის მცველები **მაქსი პერეირა** და **ფაბიო კოენტრაო**. წინ მწვავედ მოქმედებენ **ხავიერ სავიოლა** და **ოსკარ კარდოსო**. „ბენფიკას“ არ ეყოლება **„ტოტო“ სალვიო**, რომელმაც „ეინდჰოვენთან“ ტრავმა მიიღო.

„ბრაგას“ დიდი დანაკარგი აქვს - შემტევი **პაულო სეზარი** დისკვალიფიცირებულია, ხოლო **კვიმი** და **ვინისიუსი** - ტრავმირებული.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

პორტუ ვილიარეალთან სათამაშოდ ემზადება

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი

MANU მაგარია, მანუც...

ის, რაც ისედაც ვიცოდით: ლონდონი მანჩესტერთან უფრო ახლოსაა, ვიდრე გელზენკირხენთან

1/2 ფინალი. პირველი მატჩი

შალკე (გერმანია) **0:2** **მანჩესტერი** (ინგლისი)

27 აპრილი. გელზენკირხენი. აუფ შალკე. 54 142 მაყურებელი

შალკე (4-4-2): ნოიერი - უჩიდა, მატიპი, მეტცელდერი, სარპეი (73. ესკუდერო) - ფარფანი, პაპადოპულოსი, ხურადი (83. დრაქსლერი), ბაუმიოჰანი (53. კლუგე) - რაული, ედუ.

მანჩესტერი (4-4-2): ვან დერ სარი - ფაბიო, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ვალენსია, ქერიკი, გიგზი, ჰარკი (73. სქოულზი) - რუნი (83. ნანი), ერნანდესი (73. ანდერსონი).

გოლები: 0:1 გიგზი (67), 0:2 რუნი (69)
არბიტრი: კარლოს ველასკო კარბალიო (ესპანეთი)

„მანჩესტერ იუნაიტედთან“ წარმატების მისაღწევად მარტო მანუელ ნოიერი და რაული არ კმარა. არც ის მონდომებაა საკმარისი, „შალკეს“ ფეხბურთელებს მთელი მატჩის განმავლობაში რომ ეტყობოდათ. მანჩესტერელებმა არაერთი თვალსაჩინო კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ ორი განსაკუთრებით კარგი, მეტიც, იდეალური იყო და ორივე გოლით დამთავრდა. გელზენკირხენში დაფიქსირებული 0:2 კი ის ანგარიშია, რომელიც საპასუხო მატჩის წინ, „შალკეს“ ფაქტობრივად უშანსოდ ტოვებს.



რიო ფერდინანდმა რაულს არაფერი გააბედვინა

მატჩის წინ

„შალკეს“ დაცვის მთავარმა ბურჯმა **ბენედიქტ ჰიოვედესმა** გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, რის გამოც, გელზენკირხენელთა დამრიგებელი **რალფ რანგნიკი** იძულებული გახდა, დაცვის ცენტრში, **კრისტოფ მეტცელდერის** გვერდით საყრდენი ნახევარმცველი **ჯოელ მატიპი** გაეშწესებინა. ნახევარდაცვაში კი, ამ უკანასკნელის ადგილი **ალექსანდერ ბაუმიოჰანმა** დაიკავა, რომელიც უფრო შემტევია, ვიდრე ჩამშლელი, რის გამოც, „შალკეს“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის კვალობაზე, შეტევაზე ზედმეტად ორიენტირებული რომბისებული 4-4-2 გამოუვიდა, რომელშიც ტიპური ჩამშლელი ნახევარმცველი მხოლოდ ერთი (**პაპადოპულოსი**) იყო.

„იუნაიტედის“ დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ფაბიო** ვიხილეთ, არადა, ძირითადში მის ტყუპისცალ **რაფაელს** ველოდით. **სერ ალექს ფერგიუსონმა ნანიც** სკამზე დატოვა და მის ნაცვლად, უპირატესობა მოლოდინისამებრ **ვალენსიას** მიანიჭა. **რაიან გიგზი** კი ისევ საყრდენი ნახევარმცველი და **ქერიკის** მეწყვილე გახლდათ.

მატჩი

„მანჩესტერმა“ პირველივე წუთებიდან აგრესიულად შეუტია და ნოიერსაც პირველივე წუთიდან ბევრი საქმე გამოუწნდა. მანუელმა მესამე წუთზე **რუნის** მოხდენილი დარტყმა სუპერსეივით მოიგერია, მე-6 წუთზე **პარკის** დარტყმის შემდეგ იხსნა „შალკეს“ კარი (მანამდე კორეელმა ორი გელზენკირხენელი მოატყუა), მე-14 წუთზე კი **ერნანდესსაც** აუღო რვა მეტრიდან.

26-ე წუთზე „ჩიჩარიტომ“ ვალენსიასგან მიიღო მშვენიერი პასი, მატიპი მიჰყვა, მაგრამ მექსიკელი ვერ შეაჩერა, დარტყმა კი არაზუსტი გამოვიდა. ზუსტად ორი წუთის შემდეგ, **ვიდიჩის** გადაგდებულ ბურთს, „შალკეს“ კარის შორეულ ძელთან **გიგზი** მისწვდა, მაგრამ ვეტერანი უელსელის თავური დარტყმა ნოიერმა ბრწყინვალე რეფლექსით მოიგერია. 36-ე წუთი და ნოიერის მორიგი, თქვენ დათვალეთ, მერამდენე გმირობა: **მეტცელდერმა** ერნანდესს ვერაფერი მოუხერხა, ამ უკანასკნელმა 12 მეტრიდან დაჰკრა და მანუმ კიდევ ერთხელ იყოჩაღა, დამატებაზე პარკმა სცადა ანგარიშის გახსნა და მას უკვე **უჩიდა** გადაეღობა.

45-ე წუთი: რუნის საოცნებო პასი ნახევარდაცვიდან, გიგზი ნოიერთან პირისპირ დარჩა, მანუმ კარი დროულად დატოვა და გიგზს მარცხენა ხელის ინსტინქტური მოძრაობით არ გაატანინა - ბრავო, ნოიერ!

მეორე ტაიმიც მანკუნიანელთა იერიშებით დაიწყო და უკვე 48-ე წუთზე ნოიერის კართან მორიგი მომენტი შეიქმნა: ვალენსიას ჩაწოდებას გიგზი გამოეხმაურა, მაგრამ კარს ააცილა. იმის თქმა და ახსნა, რომ „შალკეს“ კარში გოლი მწიფდებოდა, სასაცილო იქნება, ამიტომ, პირდაპირ გოლზე გადავიდეთ: უეინ რუნის ბრწყინვალე პასი ცენტრიდან, რომლითაც „იუნაიტედის“ ლიდერმა „შალკეს“ სამი უკანახაზელი გათიშა, გიგზი ნოიერთან ისევ პირისპირ დარჩა და ამჯერად ნერვებმა აღარ უმტყუნა, დარტყმაც იდეალური გამოუვიდა და გელზენკირხენელთა ტანჯული მეკარეც უკვე უძლური იყო.

სამ წუთში მანჩესტერელებმა მეორე გოლიც გაიტანეს და ვერ ვიტყვით, რომ ეს „შალკეს“ შოკში ჩავარდნის ბრალი იყო - უბრალოდ, ფერგის გუნდმა კიდევ ერთი იდეალური კომბინაცია გაითამაშა და დააგვირგვინა: ვალენსიამ მარჯვნიდან დაბალი პასით მოძებნა ერნანდესი, რომელმაც ბურთს მიმართულება რუნისკენ შეუცვალა, უეინმა კი ნოიერი ათი მეტრიდან უშანსოდ დატოვა. ეს იყო სრულყოფილი დარტყმა, თავდამსხმელი შეტევას სწორედ ასეთი ჭკვიანური დარტყმით უნდა აგვირგვინებდეს!

88-ე წუთზე მანკუნიანელებს მესამე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ **ევრას** დარტყმა არაზუსტი იყო.

დასკვნა: სად იყო „შალკე“? არსად, უფრო სწორად, ვერსად! ხოლო ის ფაქტი, რომ „მანჩესტერმა“ უფრო დიდი ანგარიშით არ მოიგო, ფენომენალური ნოიერის დამსახურებაა.

რეაქციები

კრისტოფ მეტცელდერი (შალკე): „უნდა ვაღიაროთ, რომ „მანჩესტერი“ ჩვენზე გაცილებით ძლიერია. მთელი მატჩის განმავლობაში, მეტოქეს ერთი შეცდომაც ვერ დავაშვებინეთ. ასეთ დროს, თუნდაც 20 კილომეტრი რომ ირბინო, მაინც წყლის ნაყვაა.“

რალფ რანგნიკი (შალკეს მწვრთნელი): „პირველ 15 წუთში კარგად ვთამაშობდით, მერე კი ველარაფერი მოვახერხეთ. სამწუხაროდ, რისკზე წასვლა გვიჭირდა, ბიჭებს ეტყობოდათ, რომ მეტოქეს ზედმეტად დიდ პატივს სცემდნენ.“

ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერი): „ასეთი კარგი ანგარიშით იმიტომ მოვიგეთ, რომ ვიცოდით, „შალკე“ ხელნამოსაკრავი გუნდი არ არის და შესაბამისად, თითოეული ჩვენგანი მაქსიმალურად კონცენტრირებული იყო. ერთი სიტყვით, „ინტერის“ შეცდომები არ გავიმეორეთ.“

TOP ფეხბურთელი

მანუელ ნოიერი (შალკე)

„შალკეს“ მეკარის საქებად სიტყვები არ გვყოფნის - მანუელი მხოლოდ საუკეთესო ეპითეტებს იმსახურებს. საბოლოო ჯამში, მანუმ „შალკე“ აშკარა გოლისგან 6-ჯერ (!) იხსნა და მისთვის ძალიან სამწუხაროა ის, რომ მიუხედავად ამისა, გელზენკირხენელებმა მაინც ორი გოლი გაუშვეს. მატჩის წინ ჟურნალისტებმა ფერგიუსონს ჰკითხეს, მართალია, თუ არა, რომ ნოიერის ყიდვა გინდათო, რაზეც სერ ალექსმა, ისე თქვა, არაო, რომ ფაქტია, ეს არ იყო სერიოზული უარყოფა.

FLOP ფეხბურთელი

ჰანს სარპეი (შალკე)

„შალკეს“ მარცხენა მცველისთვის ნამდვილი კატასტროფა იყო ის, რომ რანგნიკმა რომბისებული 4-4-2-ით თამაში გადაწყვიტა, რადგან ასეთი სქემის გამო, **სარპეი** დაცვის მარცხენა ფლანგზე, თავდაცვის დროს უმეტესად მარტო იყო და რა გასაკვირია, რომ ვალენსიასთან ჭიდილი ძალიან უჭირდა. მართალია, მერე დასტაბილურდა, მაგრამ არა იმდენად, რომ მანჩესტერელებს მისი ფლანგიდან ხიფათი ვერ შეექმნათ. სარპეის ზონა „შალკესთვის“ ყველაზე სახიფათო, „მანჩესტერისთვის“ კი ყველაზე ხელსაყრელი იყო.

მსაჯი

ესპანელი **კარლოს ველასკო კარბალიო** საქმეს ძალიან ბრიტანულად მიუდგა: ორთაბრძოლებისას მხოლოდ მაშინ უსტვენდა, როცა ჯარიმა აშკარა და აგრესიული იყო და მისი ასეთი მიდგომის დამსახურებაცაა ის, რომ მატჩი მაღალ ტემპში წარიმართა. რაც მთავარია, შეცდომები არ დაუშვია და ობიექტურად იმსაჯა.

ანალიზი

„შალკემ“ თამაში „მანჩესტერთანაც“ ისე დაიწყო, როგორც „ინტერთან“ - აგრესიულად, სწრაფ ტემპში და შეტევებით, მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ ასეთი ტაქტიკა გელზენკირხენული კლუბის დაცვის სისუსტეს ამჯერად ვერ დამალავდა. „ინტერთან“ პაექრობებისგან განსხვავებით, რანგნიკი ნამდვილად შეცდა იმაში, რომ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ნომინალური საყრდენი გაამწესა - პაპადოპულოსი მოედნის ცენტრში ბრძოლას ვერ აუდიოდა, **ხურადს**, ბაუმიოჰანს და **ფარფანს** კი მეტოქე გუნდის შეტევების ჩაშლის ნიჭი არ აქვთ.

შედეგად, რუნი ძალიან თავისუფლად იხევდა უკან, ბურთს ნახევარდაცვაში თავისუფლად იღებდა და შეტევებს მეტწილად თვითონვე უძღვებოდა. რანგნიკი მალე მიხვდა, რომ ზემოთ ხსენებული ტაქტიკური სქემა არ იყო გამართლებული და პირველ ტაიმში ხშირად ცვლიდა სქემას (გუნდი ხან 4-3-3-ზე გადაჰყავდა, ხანაც კლასიკურ 4-4-2-ზე), მაგრამ „შალკეს“ მაინც არაფერი ეშველა. 37 წლის გიგზმა და შესანიშნავმა ქერიკმა მოედნის ცენტრში იბატონეს - ამ უკანასკნელის ტაქტიკური სიმწიფე კი ყველა ცენტრალური ნახევარმცველისთვის სამაგალითოა.

გოტფრიდ ლენცი

ერთმანეთს

1/2 ფინალი. პირველი მატჩი

რეალი (ესპანეთი) **0:2** **ბარსელონა** (ესპანეთი)

27 აპრილი. მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ. 71 567 მაყურებელი

რეალი (4-4-2): კასილიასი - არბელოა, რამოსი, ალბიოლი, მარსელო - ჩაბი ალონსო, პეპე, იოზილი (46. ადებაიორი), ლ. დიარა - რონალდო, დი მარია.

ბარსელონა (4-3-3): ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, პუიოლი - ჩავი, ბუსკეტსი, კეიტა - პედრო (71. აფელაი), მესი, ვილია (90. სერხი).

გოლები: 0:1 მესი (76), 0:2 მესი (87)
გაძევება: პინტო (45. სათადარიგო სკამიდან), პეპე (61), მოურინიო (63)

სტატისტიკა

	მატჩი დაიწყო:	რეალი
	პირველი კუთხური:	რეალი
	პირველი ჯარიმა:	ბარსელონა
	პირველი გაფრთხილება:	რეალი
11 (3)	დარტყმა	14 (8)
28	ჯარიმა	36
1	კუთხური	1
5	გაფრთხილება	3
22%	ბურთის ფლობა	78%

არბიტრი: შტარკი (გერმანია)

ჯადოქარმა, ბარსა-მანჩესტერიო...

მოურინიო: ფეხბურთია, თუ UNICEF?

ჰორიზონტზე გამოჩნდა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ფინალის კონტურები - პირთამდე სავსე „უემბლი“ და იქით სერ **ალექს ფერგიუსონის** „ნითელი ეშმაკუნები“ და აქეთ „მანჩესტერში“ მისი შესაძლო (ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ) შემცვლელის, **ხოსეპ გვარდიოლას** „ბარსა“. ყოველ შემთხვევაში, ასე რომ არ მოხდეს, რაიმე განსაკუთრებული სასწაული უნდა ვიხილოთ ერთ კვირაში „ოლდ ტრეფორდსა“ და „კამპ ნოუზე“, მაგრამ „შალკეს“ თავკაცი **რალფ რანგნიკი** ოდენ პროფესორია, ხოლო „რეალის“ ბოსი **ჟოზე მოურინიო** - განსაკუთრებული. არც ერთია ჯადოქარი და არც - მეორე. აი, ნამდვილი თუ არა, საფეხბურთო ჯადოქარი კი ჰყავს „ბარსას“. მისი სახელია **ლიონელ მესი**, ის მხოლოდ 23 წლისაა, მაგრამ შეუძლია ასეთ დაძაბულ შეხვედრაში ოთხ მეურვეს იოლად გასცდეს და დიდებული გოლი გაიტანოს.

გაზაფხულის „კლასიკოების“ III სერია ყველაზე „ჩაკეტილი“ გამოდგა - „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ამ ორი ტრადიციული მეტოქის დაპირისპირებამ დუღილის ტემპერატურას მიაღწია და აკი, ვეღარც გაუძლო ზოგიერთი ფეხბურთელის ტვინმაც - იქით, **ხოსე პინტომ** შესვენებაზე ხელჩართული ბრძოლა მოაწყო და პეპი საკმარისზე მეტი იყო), ბურთი კი, რა თქმა უნდა, უმთავრესად „ბარსელონას“ ეჭირა.

პირველი ნაწილი პეპეს გაძევებით დასრულდა - 61-ე წუთზე პეპე უტევდა, როცა მეტისმეტი მოინდომა და გაშლილი ფეხით წავიდა **დანიელ ალვეშზე**. ჩვენი აზრია და არავის თავს არ ვახვევთ, მაგრამ ვფიქრობთ, ამ გაძევებით **ვოლფგანგ შტარკმა** „მესის თავგადაკლულმა ფანმა და ბუნდესლიგის ყველაზე სუსტმა არბიტრმა“, როგორც მას მოურინიომ უწოდა, თავი ზედმეტად გამოიდო - პეპეს ყვითელიც ეყოფოდა. ამით გერმანელმა თამაში (უფრო სწორად კი ის ომი, რაც მინდორზე მიმდინარეობდა) „გააფუჭა“. ისედაც უკეთესმა „ბარსელონამ“ ამის მერე გაილაღა, წარმატებას კი მაშინ მიაღწია, როცა დასვენებული და სწრაფი **იბრაჰიმ აფელაი** ვიხილეთ მოედანზე - ჰოლანდიელი იოლად გასცდა **მარსელოს** და მესის საჯარიმოში ჩაუწოდა, არგენტინელმა კი ფეხებს შორის გაუტანა **იკერ კასილიასს**. ამის შემდეგ მოურინიოს გუნდის ამოცანა დამძიმდა, ზუსტად 11 წუთში კი მესიმ თავისი ჯადოქრობა მოიშველია, „რეალის“ „ჩაძინებულ“ ფეხბურთელებს ერთმანეთის მიყოლებით გასცდა და ამ დაპირისპირებაში ინტრიგა მოკლა ან თითქმის მოკლა...

თამაშის შემდეგ სკანდალური განცხადებები გააკეთა ჟოზე მოურინიომ: „არასდეს მეთაკილება იმის თქმა, რომ „ბარსელონა“ ფანტასტიკური გუნდია და დღეს ამ გუნდმა გაგვაგდო ჩემპიონთა ლიგიდან. მაგრამ არ მესმის, რა უნდოდა არბიტრს, რომელსაც, წესით, ევალება კიდევაც თანასწორობისა და სამართლიანობის დაცვა. და რა გააკეთა მან? ბარსელონაში არ გვეყოლება პეპე, არაფრის გამო! არ გვეყოლება რამოსი, ასევე არაფრის გამო! და არ ვიქნები არც მე. დღევანდელმა თამაშმა გვანახა, რომ „ბარსელონასთან“ შანსი არა გვაქვს, რადგან ასე სურს უეფას. ისინი არ აძლევენ სხვა გუნდებს მასთან თამაშის საშუალებას. არ ვიცი, რას მივაწერო ეს? ნუთუ, UNICEF-ის რეკლამისთვის სჭირდებათ? გვარდიოლა შესანიშნავი მწვრთნელი და პიროვნებაა და მე მას ვუსურვებ, ერთხელაც ყოველგვარი სკანდალის გარეშე მოიგოს ლიგა. ყველაფერი, რომ ვთქვა, რისი განცხადებაც ახლა ძალიან მინდა, ჩემი კარიერა აქვე დასრულდება“, - განაცხადა დამარცხებულთა გაცოფებულმა თავკაცმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ძიუდო. პრესკონფერენცია

მთავარი მსოფლიოა, ევროპამ დაგვაიმედა

კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მიიწვიეს ქართველი მსაჯი ვლადიმერ ნუცუბიძე, რომელსაც მიზეზთა გამო, ბოლო წლებში საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამგზავრების საშუალება არ ეძლეოდა

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც სტამბოლში გამართულ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს მიეძღვნა. შეგახსენებთ, თურქეთში ქართველმა ძიუდოისტებმა ვერცხლისა და ბრინჯაოს ორ-ორი მედალი მოიპოვეს, რასაც ჩემპიონატის ბოლო დღეს გუნდური ბრინჯაოც მიაყოლეს.

მასმედიის წინაშე სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი,** საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ალექსიძე,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **ზურაბ ზვიადაური** და სამი მედალოსანი – **ლომერ ჟორჟოლიანი,** ბეთქილ შუკვანი და ვარლამ ლიპარტელიანი წარსდგნენ. პრესკონფერენციას ვერ დაესწრნენ ჩვენი ნაკრების ავსტრიელი მთავარი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერი** და ევროპის ჩემპიონატის კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალოსანი **ირაკლი ცირეკიძე.**

გია ნაცვლიშვილი:

- შეიძლება, ეს არ იყოს ბრწყინვალე შედეგი, მაგრამ იმის უფლება ნამდვილად გვაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა დადებითად შევაფასოთ. მოგეხსენებათ, ნაკრების სამწვრთნელო შტაბი აქცენტს მსოფლიოს ჩემპიონატზე აკეთებს და კონტინენტის პირველობას მზადების ერთ-ერთ ეტაპად განიხილავდა. ამის ფონზე ოთხი მედლის მოპოვება უდავოდ სასიამოვნოა.

ჩვენი ძიუდოისტები პირობითად A და B ნაკრებებად არიან დაყოფილნი, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეორე ნაკრების წევრებისა არ გვეიმედება. პირიქით, ჟორჟოლიანი და შუკვანი, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ, სწორედ მეორე ნაკრების შემადგენლობაში ემზადებიან.

ჟორჟოლიანის, შუკვანისა და ცირეკიძის მედლებმა ძალიან გაგვახარა, ლიპარტელიანისგან კი, რომელმაც ევროპის წინა ჩემპიონატებზე ნაჩვენები შედეგი გააუარესა, ყველანი მეტს ველით. თუმცა მთავარი მაინც მსოფლიოს ჩემპიონატია და გვჯერა, ისიც და სხვა რამდენიმე ძიუდოისტიც მაღალი შედეგებისთვის იბრძოლებენ.

თვალი გადავავლე საქართველოს ნაკრების გამოსვლას ევროპის ჩემპიონატებზე და ვნახე, რომ ბოლო ათწლეულში იქ მხოლოდ სამი ოქრო გვაქვს მოპოვებული – ჩემპიონი სამივეჯერ ზაზა კედელაშვილი გახდა. ოთხი მედლით კი ჩვენი ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონატიდან არცთუ ხშირად ბრუნდებოდნენ.

კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მიიწვიეს ქართველი მსაჯი ვლადიმერ ნუცუბიძე, რომელსაც მიზეზთა გამო, ბოლო წლებში საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამგზავრების საშუალება არ ეძლეოდა. ნუცუბიძეს სტამბოლში ყველაზე პრესტიჟული, მძიმე წონის ფინალი ამსაჯეს და აქაც და სხვა ბრძოლებშიც დაკისრებული მოვალეობას თავი შესანიშნავად გაართვა.

ისევე, როგორც ძიუდოისტებს, მსაჯებსაც საკუთარი რეიტინგი აქვთ, ნუცუბიძე კი სატურნირო პრაქტიკის არქონის გამო რეიტინგში საერთოდ არ იყო შეყვანილი და ევროპის ჩემპიონატზე ისე მიიწვიეს, რაც უპრეცედენტო ფაქტია. მისი სტამბოლში ყოფნა ჩვენი ძიუდოისტებისთვისაც სასიკეთო აღმოჩნდა. როცა ძიუდოისტთა ამა თუ იმ შეჯიბრებაზე შენს ქვეყანას მსაჯი ჰყავს მივლენილი, ნაკლებად გვჩაგრავენ და ასე იყო თურქეთშიც – ჩვენების ყველა ბრძოლა სამართლიანად განსაჯეს, სადავო ეპიზოდში სწორ გადაწყვეტილებას იღებდნენ.

ევროპიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ათ მსაჯს მიიწვევენ და ყველანაირად ვეცდებით, ამ ათეულში ნუცუბიძეც იყოს. თუ ეს შევძელით, მას ოლიმპიადაზე მოხვედრის რეალური შანსიც გაუჩნდება.

მოხარული ვარ, რომ 66 კილოგრამის გარდა, ყველა წონით კატეგორიაში დიდი კონკურენცია გვაქვს და მსოფლიოს ჩემპიონატსა და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა არავის აქვს დაბეჭდილი. ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება ყველაზე მეტად 66 კილოგრამში გაგვიჭირდება და ვეცდებით, ეს პრობლემა დადებითად გადავჭრათ.

ზურაბ ზვიადაური:

- ევროპის ჩემპიონატზე დამაკმაყოფილებელ შედეგებს მივაღწიეთ. ყველა მედალოსანმა მაღალ დონეზე იასპარეზა, თუმცა ლიპარტელიანსა და ცირეკიძეს მეტიც შეეძლოთ.

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გუნდში გარკვეულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ. მაგალითად, იქ მოხვედრის კარგი შანსი აქვს ავთანდილ ჭრიკიშვილს, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე არ უასპარეზია. ლაშა გუჯეჯიანი ამჟამად ნაკრებთან ერთად არ ვარჯიშობს, მაგრამ გუნდში დაბრუნების შანსი მასაც აქვს.

ლევან ჯანეზაშვილი

ავტორის ფოტო

მილოცვა

საქართველოს ჭოგბურთის ფედერაცია დაბადებიდან 65 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს **არტემ მალოიანცს**.

ქადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთმა მოიგო, ორმა კი წაიფორხილა

ნახიჩევანში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც, როგორც გაუწყეთ, საქართველოს შვიდი წარმომადგენელი მონაწილეობს. გუშინ მე-5 ტურში **მიხეილ მჭედლიშვილმა** შავი ფიგურებით აზერბაიჯანელ **ვუგარ რასულოვს** აჯობა, **მერაბ გაგუნაშვილმაც** მასპინძელ **ხაიალა აბდულას** სძლია, **სოფიკო გურამიშვილმა** შავებით შავი დღე აყარა უკრაინელ დიდოსტატ **სერგეი ფედორჩუკს**, რომელიც ტურნირზე მე-5 ნომრადაა განთესილი. წარმატებას მიაღწია **კონსტანტინე შანავამაც**. მან აზერბაიჯანელი **შაჰრიარ რახმანოვი** დაამარცხა, **აკაკი შალამბერიძემ** მასპინძელ დიდოსტატ მანდილოსანს — **ზეინაბ მამედიაროვას** მოუგო. ჩვენებურთა ხუთეულს მხარი ვერ აუბეს ლიდერთა ჯგუფში მყოფმა **დავით ბენიძემ** და **ალექსანდრე ყაშაშვილმა**. ისინი თეთრი ფიგურებით, შესაბამისად, ანტონ კორობოვსა (უკრაინა) და ანტონ ფილიპოვს (უზბეკეთი) დანებდნენ.

ქართველთა მონაგარი 5 ტურის შემდეგ: გაგუნაშვილი, მჭედლიშვილი-3,5-3,5, ბენიძე, შანავა, გურამიშვილი-3-3, ყაშაშვილი-2, შალამბერიძე-1,5 ქულა.

შეჯიბრებას 4,5 ქულით ერთპიროვნულად უნგრელი ზოლტან ალმაში ლიდერობს. გუშინ იგი სერგეი ვოლკოვს (რუსეთი) იოლად გაუსწორდა. დაზავდნენ: ივან სოკოლოვი (ჰოლანდია)-ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი), კონსტანტინ ლანდა (რუსეთი)-ვან იუე (ჩინეთი). ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ვალეხო, ანტონ კორობოვი (უკრაინა), გადირ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი), სოკოლოვი და ილია სმირინი (ისრაელი) ჩამორჩებიან. 8 მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა აქვს. დღეს, მე-6 ტურში, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მჭედლიშვილი და გაგუნაშვილი. დანარჩენი ჩვენებურები ასე დაწყვილდნენ: სოფიკო გურამიშვილი-ელთაჯ საფარლი (აზერბაიჯანი), ალექსანდრ იპატოვი (ესპანეთი)-კონსტანტინე შანავა, ფარიდ აბასოვი (აზერბაიჯანი)-დავით ბენიძე, ნიჯათ აბასოვი (აზერბაიჯანი)-ალექსანდრე ყაშაშვილი, შუჯით ორუჯოვი (აზერბაიჯანი)-აკაკი შალამბერიძე.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი



მეტრეველი იტალიაში ყოჩაღობს

ძალზე იოლად მოუგო - 6:2, 6:1. ჩვენებური მერვედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ტურნირის პირველი ჩოგანი შვეიცარიელი **დიმიტრი ბრეტინგია** (29).

17 წლის **ნიკა დოლიძე**, რომელიც ასევე ეროვნული გუნდის წევრია, მალტაში მე-5 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში თამაშობს. ნიკამ პირველ წრეში იტალიელი **მარიანო ესპოზიტო** დაამარცხა - 2:6, 6:3, 7:5. მეორე წრეში მისი მეტოქე ბელგიელი **ქარიმ ტურმუსია** (497).

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდულ ასპარეზზე ჩვენთვის მძიმე სიტუაციაა - მეტრეველის გარდა მოწინავე ხუთასეულებში ერთი ქართველი ჩოგბურთელიც არ არის, ნიკა დოლიძე 597-ეა, **ბაბილინა მაჩაიძე** - 560-ე, სხვები კიდევ უფრო შორს არიან ელიტისგან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო

გაგამარუ – ზუსტად ორი ცენტნერი

8-დან 22 მაისის ჩათვლით სუმოს მექა „კოკუგიკანი“ მაისის ბაშოს უმასპინძლებს. გაუთავებელი სკანდალებისა და იაპონიას თავსდამტყდარი ტრაგედიის შემდეგ, როგორც იქნა, სუმო ბრუნდება. შეგახსენებთ, რომ მაისის ანუ ზაფხულის ბაშო, წესით, ტოკიოში არ უნდა გამართულიყო, თუმცა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა იაპონიაში ბევრი რამ თავდაყირა დააყენა და ისეთ ტრადიციულ სახეობაში, როგორიც სუმოა, წლეულს იმდენი წესი დაირღვა, რაც წინა საუკუნეში ერთად არ მომხდარა. მაგრამ გუშინ იაპონელებმა ერთ-ერთი წესი მკაცრად შეასრულეს - სუმოს კანონის თანახმად, სპორტსმენებმა ოფიციალური ანონვა სამ თვეში ერთხელ უნდა გაიარონ - იანვრის, მაისის და სექტემბრის ბაშოების წინ. უმაღლესში მონაწილე 35 რიკიშიდან 22-ს წონაში დაუკლია ბოლო ოთხი თვის განმავლობაში.

ყველაზე მეტად გახდა ორი სუმოისტი - 32 წლის **ამინიშიკი** და 23 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**. ჩვენებურმა 10 კილო დაიკლო და ახლა „მხოლოდ“ 156-ს იწონის. სამაგიეროდ, უმცირესობაშია **თეიმურაზ ჯულელი (გაგამარუ)**, რომელმაც კიდევ 2 კილოგრამი მოიმატა და ახლა ზუსტად ორ ცენტნერს იწონის. გაგამარუ ისედაც ელიტის ყველაზე მძიმე სპორტსმენი იყო და ის ასეთადაც დარჩა. საერთოდაც, გაგამარუ პლანეტაზე დღეს მოქმედ პროფესიონალ სპორტსმენთა შორის უმძიმესია.

ანონვამდე უძლიერეს სუმოისტთა საბჭო დიდი ჩემპიონი **ჰაკუშოს** ინიციატივით შეიკრიბა (რიკიში-კაი) და დაადგინა, რომ უმაღლესი დივიზიონის სუმოისტები ამიერიდან 10 წლის განმავლობაში თავიანთი ხელფასიდან ყოველთვიურად 10 ათას იენს (დაახლოებით 120 დოლარი) გადარიცხავენ მინისძვრის და ცუნამისგან დაობლებულ ბავშვების დასახმარებლად.

ნიკოლოზ ნეფარიძე

აწონვის წინ. მე-2 მერხზე სხედან კოკაი და ტოჩინოშინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

ხეირად ქცეული შარი

სერიაში 3:1 დაწინაურების შემდეგ „ატლანტა ჰოქსის“ ქომაგს იმედი ჰქონდა, რომ სერია მეხუთე მატჩში დასრულდებოდა, მით უმეტეს, რომ ჯორჯიელებს „ორლანდო“ მისსავე მოედანზე მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში დამარცხებული ჰყავდა. ...მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა - „ორლანდომ“ პირველივე ტაიმში ისეთი „მახე“ დააგო, ვერც ერთმა „ქორმა“ თავი ვერ დააღწია. თუ წინა მატჩებში „ჯადოქრებს“ სამქულიანი ტყორცნები სათანადოდ არ გამოსდიოდათ, ამჯერად სწორედ პერიმეტრიდან გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

ყველაფერი პირველ პერიოდში დაიწყო: მეექვსე წუთზე **ჯოშ სმიტთან** ორთაბრძოლისას მეორე ფოლი მიიღო „ორლანდოს“ იმედმა **დუაით ჰოვარდმა** და მწვრთნელი იძულებული გახდა იგი შეეცვალა. როგორც იტყვიან, „ორლანდოს“ შარი ხეირად ექცა - ერთ წუთში მოედანზე **რედიკი** გამოვიდა, თამაშის ტემპმა იმატა და „ატლანტას“ ნახევარზე „ტორნადო გამძვინვარდა“: ჯორჯიელთა რიგებში ვერ მოიძებნა რედიკის შემჩერებელი, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით 11 ქულა ჩააგდო და პირველი პერიოდი „ორლანდოს“ ორმაგი სხვაობით, 26:13 მოაგებინა.

მეორე პერიოდის საწყის სამ წუთში მასპინძლებმა სამი სამქულიანი ჩააგდეს და 36:17. ამის შემდეგ „ატლანტას“ მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** შემადგენლობა არაერთხელ გადააჯგუფა, მაგრამ „ორლანდოს“ დაცვის გასარღვევი ხერხი მაინც ვერ მოძებნა. ჯორჯიელთა მწვრთნელი სირენამდე 7 წუთით ადრე მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო და ძირითადი ხუთეულის კალათბურთელები ისეთი სათადარიგოებით შეცვალა, რომლებსაც პლეი ოფში თამაში თითქმის არ უწევდათ. მათ შორის არ იყო **ზაზა ფაჩულია**, რომელიც „ორლანდოსთან“ ორთაბრძოლებში „ატლანტას“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა.

მან ორლანდოში 20 წუთი ითამაშა და ბურთის ყოველი მიღებისას გულშემატკივრების ბუუ ისმოდა. ამას ლოგიკური ახსნა აქვს: სერიის მესამე მატჩში აგრესორ **რიჩარდსონს** თავი ჩაარტყა და დისკვალიფიკაციის გამო ორივემ მეოთხე შეხვედრა გამოტოვა. ზაზას და **კოლინზის** ვიზავიმ, დუაით ჰოვარდმა (რომელიც წლევანდელი პლეი ოფების ბომბარდირია) 8 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა.

„ორლანდომ“ სტუმრებს რეალიზებულ სამქულიანებში საგრძნობლად აჯობა - 11:4, შეცდომებში კი აბსოლუტური საპლეიოფო რეკორდი დაამყარა - ყველაზე ცოტა, 6 შეცდომა დაუშვა.

- ნაგების მიუხედავად, კარგ სიტუაციაში ვართ. მომდევნო მატჩი ატლანტაში გველის და ადგილობრივი პუბლიკის მხარდაჭერით წარმატების შანსი გვაქვს. მეტოქეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევუტიოთ, - ამ სიტყვებით დატოვა „ატლანტას“ მწვრთნელმა ლარი დრიუმ ორლანდო. ჯორჯიელთა ბომბარდირმა ჯოშ სმიტმა (22 ქულა) ბრძნულად დაასკვნა:

- ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა.

სერიაში (ოთხ მოგებამდეა) წინ „ჰოქსია“ - 3:2. მეექვსე მატჩი „პეპსი არენაზე“ 28 აპრილს გაიმართება.

ორლანდო-ატლანტა 101:76

ზაზა ფაჩულია: 20:01 წუთი, 4 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 1 მოხსნა, 2 პასი, 2 ფოლი, 1 შეცდომა

ქრონოლოგია

I პერიოდი	
04:36	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
04:16	ფოლი: 1
01:25	საჯარიმოები: 2/2 (2ძ, 11:21)
00:29	შეცდომა: 1
II პერიოდი	
10:17	კოლინზმა ზაზა შეცვალა
07:59	ზაზამ კოლინზი შეცვალა
04:24	პასი: 1 (ჯონსონი 3ძ, 26:46)
01:47	ორქულიანი: 4ძ (32:52)
01:32	მოხსნა: შეტ-0, დაც-1
III პერიოდი	
04:16	ზაზამ ჰაინრიხი შეცვალა
03:55	პასი: 2 (სმიტი 2ძ, 47:73)
00:24	ფოლი: 2
IV პერიოდი	
10:33	ჯონსონმა ზაზამ შეცვალა

ბუუ... ზაზასთვის ორლანდო მაინც თბილია

იყო დრო, გაზეთ „ორლანდო სენტინელის“ გვერდებზე **ზაზა ფაჩულია** ხშირი სტუმარი იყო. იგი 2003 წლის დრაფტზე „ორლანდო მეჯიქმა“ აიყვანა და ერთი სეზონი ფლორიდაზე გაატარა.

„მეჯიქიდან“ ზაზა „მილუოკიში“ გადავიდა და პირველივე მატჩში ორლანდოური პუბლიკა მას დიდი ოვაციებით შეხვდა. ეს იყო 2004 წელს. მას მერე ქართველმა ცენტრმა „ატლანტაში“ მოიკიდა ფეხი... გუშინდელ საპლეიოფო მატჩში „ორლანდოს“ დარბაზში შეკრებილი გულშემატკივარი მას კვლავ შეძახილით შეხვდა...

თუმცა, უარყოფითი შეძახილით - ბუუ! სწორედ ამან გადააწყვეტინა გაზეთ „ორლანდო სენტინელის“ ჟურნალისტ **ჯოშ რობინსს** ზაზას შესახებ მცირე სტატიის მომზადება. სათაური მეტად გრძელია: „მეჯიქის“ ფანების ბუუს მიუხედავად, ზაზა ფაჩულია ორლანდოს თბილად იხსენებს“.

ქვემოთ ვკითხულობთ: „სერიის მეხუთე მატჩში ფაჩულია მოედანზე პირველი პერიოდის დასრულებამდე 4:36 წუთით ადრე შევიდა. მის გამოჩენას გულშემატკივრები ბუუთი შეხვდნენ. მათ არ დავიწყებიათ სერიის მესამე მატჩში ფაჩულიასა და **ჯეისონ რიჩარდსონის** შეხლა-შემოხლა, რომლის შედეგადაც ორივე კალათბურთელი თითო თამაშის გამოტოვებით დასაჯეს.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ზაზა „ორლანდოს“ ქომაგზე მაინც თბილად საუბრობს. მან NBA-ში სადებიუტო, 2003-04 წლების სეზონი სწორედ „მეჯიქში“ გაატარა (59 მატჩი, 2 სასტარტოში) და სეზონის ბოლოს ფანების ფავორიტადაც დასახელდა. თუმცა, „ორლანდოს“ ხელმძღვანელობამ სეზონის ბოლოს სპეციალურ დრაფტზე ფაჩულია „შარლოტ ბობქეთსს“ დაუთმო.

- ნებისმიერ საქმეში დასაწყისს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. NBA-ში „ორლანდოდან“ შევაბიჯე და დიდებული სტარტი გამომივიდა - ფანების ფავორიტი გავხდი. არადა, იმ გუნდში არაერთი ვარსკვლავი იყო, ლიდერი კი ტრეისი მაკგრეიდი გახლდათ. ამან NBA კიდევ უფრო შემაყვარა, - ამბობს ფაჩულია.

როგორც ჩანს, გულშემატკივრის შეძახილი მწვრთნელ **ლარი დრიუსაც** აღელვებს:

- მინახავს ზოგიერთი კალათბურთელი, რომელზეც მეტოქე გუნდის ქომაგის ყვირილი დამთრგუნველად მოქმედებს, მწყობრიდან გამოჰყავს. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებზეც შეძახილი დადებით გავლენას ახდენს. ასეთთა კატეგორიას განეკუთვნება ზაზა ფაჩულია, რომელზეც ემოცია დადებითად მოქმედებს. მის კარიერაში აქამდეც იყო მსგავსი შემთხვევები და ზაზა მხოლოდ პოზიტიურ მუხტს იღებდა.

ქართველი ცენტრი სიტუაციას რეალურად აფასებს:

- შეიძლება „ორლანდოს“ ქომაგისთვის ყველაზე საძულველი კალათბურთელი ვარ, მაგრამ ვერაფერს შევცვლით. ეს კალათბურთის ნაწილია.

ქართული ოლ სტარი

10 ვარსკვლავი ქუთაისის ცაზე

ლევან მოსეშვილის გუნდი

უკანახაზელები
1280 გივი ბაქრაძე
1181 კოტე ტულუში
1087 ლაშა ფარღალავა
1063 ბუბა ბერიშვილი
888 იუჯინ ჰარისი
888 ბესიკ ლეჟავა
745 დავით არწივიძე
685 მალხაზ აბაიშვილი
661 რევაზ ჩაჩანიძე
650 ტროი კოტონი
626 დავით საყვარელიძე
557 ირაკლი ბერიშვილი
489 გიორგი ნიკოლაძე
ფორვარდები
2083 ანატოლი ბოისა
1148 დავით ბარბაქაძე
949 გიორგი მარკოიშვილი
856 ზვიად ბაბიაშვილი
736 რიჩარდ დამუსი
720 დავით ხანიაშვილი
655 ზურა მაჭავარიანი
597 გიორგი პირველაშვილი
593 ზვიად ანთაძე
582 ვახტანგ მინაშვილი
580 კოკა ტომარაძე
404 კახა შუღლაძე
383 ლუკა შანიძე
282 ლეძსო ლაფანაშვილი
ცენტრები
1638 გიორგი შარაბიძე
933 კარლ დამუსი
780 რევაზ ათანელიშვილი
737 სამუელ ლამუ
632 სოსო შერმადინი
622 სერგო ათუაშვილი



გუშინ, საღამოს 6 საათზე დასრულდა სუპერლიგის ვარსკვლავთა მატჩის მონაწილეთა გამოსავლენი გამოკითხვა. სულ 53420 ხმა დაფიქსირდა და გაირკვა ხუთეულები. **ლევან მოსეშვილის** გუნდში „არმიიდან“ 4 მოთამაშე მოხვდა: **გივი ბაქრაძე, კოტე ტულუში, ანატოლი ბოისა** და **გიორგი შარაბიძე. დავით ბარბაქაძე** შსს-დანაა.

ნუგზარ ჭეიშვილის გუნდში მისივე თსუ-დან 2 კალათბურთელი ითამაშებს: **გიორგი გაფრინდაშვილი** და **რიჩარდ მათიაშვილი**. დანარჩენი 3 ადგილი ბათუმელმა **დუდა სანაძემ** და ქუთაისელებმა - **გიგი ბარბაქაძემ** და **ბუბა კვიმსაძემ** შეავსეს.

გამოკითხვაში ყველაზე მეტი, 2083 ხმა არმიელმა ანატოლი ბოისამ მიიღო, რომელსაც მთელი 445 ხმით ჩამორჩა მეორეზე გასული მისივე თანაგუნდელი გიორგი შარაბიძე. ქვემოთ გთავაზობთ გამოკითხვის სრულ შედეგებს. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ თითო გუნდის კიდევ 7-7 კალათბურთელს ხვალ მწვრთნელები დაასახელებენ.

„ოლ სტარი“ 29 აპრილს, ქუთაისის სპორტის სასახლეში, 14 საათზე გაიმართება.

ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი

უკანახაზელები
1357 გიორგი გაფრინდაშვილი
1350 ბუბა კვიმსაძე
1336 ჯეფრი როჯერსი
1290 ბექა ჩიკვილაძე
1162 ლევან ცეკვავა
923 ირაკლი გულისაბედაშვილი
786 ირაკლი მიძელაძე
702 ტარიელ თავართქილაძე
697 გიორგი მარხვაშვილი
551 მიხეილ ჩიტაშვილი
530 შალვა კოხრეიძე
ფორვარდები
1357 გიორგი ბარბაქაძე
1311 დუდა სანაძე
1210 მიხეილ ბერიშვილი
976 მიხეილ ფანჩულიძე
944 რევაზ დიდია
799 აკაკი ლომოური
766 მიხეილ ჭოჭუა
751 ვასილ ბერუაშვილი
726 ლაშა კეშელავა
662 ავთანდილ ლომინაშვილი
636 ზურაბ კორკოტაძე
546 ნიკოლოზ ჩხატარაშვილი
ცენტრები
1067 რიჩარდ მათიაშვილი
829 აკაკი დვალიშვილი
758 ბექა ბექაური
680 მამუკა ბოლქვაძე
632 ილია ლონდარიძე
488 გიორგი ყველაშვილი
442 პლასიდე როდუმტა
268 ირაკლი ალხანაიძე
178 თეიმურაზ თავამაიშვილი



ცინცაძე როკს ფინალში შეუძლევა

ესტონეთის ჩემპიონატის ნახევარფინალური დაპირისპირებები გეგმიურად წარიმართა: „კალევმა“ და „როკმა“ მეტოქეები სერიაში მშრალი ანგარიშით დაამარცხეს (3:0) და ბოლო წლების ტრადიციისამებრ ერთმანეთს ფინალში შეერკინებიან.

ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩი „ტარტუ როკმა“ შინ გუშინ ღამით ჩაატარა და ტტუ 75:66 დაამარცხა.

პირველი ტაიმი „როკერებმა“ მინიმალური სხვაობით მოიგეს, რის შემდეგაც აამოქმედეს საკალათბურთო „თეზისი“ - ვინც იგებს მესამე პერიოდს, იგებს თამაშს. მესამე ათწუთეულში მასპინძლებმა 20:12 იმარჯვეს...

მართალია, „როკში“ ბომბარდირები **სოკი** და **დორონინი** გახდნენ (17-17 ქულა), მაგრამ მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით საუკეთესო **გიორგი ცინცაძე** იყო. მან 28 წუთში 12 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა მიითვალა. მეტოქეებს წესები 6-ჯერ დაარღვევინა, ხოლო პასივში 3 ფოლი და 2 შეცდომა ჩაიწერა. 10 ტყორცნიდან გიორგიმ სამი ააცილა: 6-დან 5 ორქულიანი, 2-დან 0 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო.

ესტონეთის ჩემპიონატის ფინალური მატჩები 4 მაისს ტალინში დაიწყება. სერია 4 მოგებამდეა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს ანთოლოგიიდან

ქართული სპორტული ქრონიკები

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

როსტომ აბაშიძე

დაიბადა 23. 02. 1935, ბათუმი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (87, 97, 100 კგ). მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1958, 62, 63), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1957, 60, 62), სსრკ ხალხთა I სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1956), ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული (1964), მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი (1957). 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილე (V ადგილი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

თარიღი 28 აპრილი – 4 მაისი

28. 04. 1964 წ. დაიბადა **გია გალდავა** - თავისუფალი ჭიდაობა
28. 04. 1944 წ. დაიბადა **გურამ გოგოლაური** - სამბო, ძიუდო
28. 04. 1969 წ. დაიბადა **კახა წაქაძე** - ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა
28. 04. 1946 წ. დაიბადა **ჯიბილო ნიჟარაძე** - ძიუდო
28. 04. 1983 წ. დაიბადა **კონსტანტინე კუპატაძე** - კრივი
30. 04. 1991 წ. დაფუძნდა საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია
30. 04. 1959 წ. დაიბადა **ნიკოლოზ დერიუგინი** - კალათბურთი
01. 05. 1914 წ. დაიბადა **ვახტანგ კუხიანიძე** - თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. გარდაიცვალა 1985 წელს
01. 05. 1927 წ. დაიბადა **კარლო ყრუაშვილი** - ფეხბურთი (მსაჯი). გარდაიცვალა 2002 წელს.
01. 05. 1931 წ. დაიბადა **ნოე ლობჟანიძე** - მძლეოსნობა. დაბადებიდან 80 წელი
02. 05. 1962. ქუთაისის „ტორპედომ" ჩაატარა პირველი მატჩი უმაღლეს ლიგაში
03. 05. 1941 წ. დაიბადა **ნონა გაფრინდაშვილი** - ჭადრაკი
03. 05. 1982 წ. დაიბადა **ირაკლი ცირეკიძე** - ძიუდო

ირაკლი ცირეკიძე

თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

1. საქართველოს სპორტსმენებიდან პირველმა ვინ დაიმსახურა სსრ კავშირის №1 სპორტსმენის სახელი?
ა — გივი კარტოზია
ბ — რაფაელ ჩიმიშკიანმა
გ — ომარ ფხაკაძემ

2. სსრ კავშირის რამდენგზის ჩემპიონია საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა გუნდი?
ა — სამგზის
ბ — ექვსგზის
გ — შვიდგზის

3. მოსკოვში ბაქოს ფეხბურთელების სტუმრობისას 1937 წელს საკავშირო ნაკრებში თბილისის „დინამოს" რომელი ორი ფეხბურთელი თამაშობდა?
ა — პაიჭაძე და შავგულიძე
ბ — პაიჭაძე და დოროხოვი
გ — დოროხოვი და შავგულიძე

4. რომელ წელს შედგა გივი ჩოხელის დებიუტი სსრ კავშირის ნაკრებში?
ა — 1958 წელს
ბ — 1960 წელს
გ — 1962 წელს

5. ჩამოთვლილთაგან რომელია სპორტის ოლიმპიური სახეობა?
ა — ძიუდო
ბ — სამბო
გ — ჭადრაკი

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ბ, 5-ა.

შეკითხვა ლელოს...

შეკითხვა: გამიგია, რომ ფარიკაობა 1940-იანი წლებიდან მოყოლებული ძალიან პოპულარული გახდა თბილისში, ძირითადად ვერის უბანში და ვაკეში. მაინტერესებს, რატომ მხოლოდ დედაქალაქის ამ ორ ნაწილში?

ნიკა ბერიძე
თბილისი

პასუხი: ვფიქრობ, თქვენს შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს მიიღებთ წარსულში ცნობილი სპეციალისტის, მოფარიკავეთა თაობების აღმზრდელის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის **ტრიფონ (ბიჭიკო) მესხის** მოგონებიდან:



გოგი გოგელია

„რალა მაინცდამაინც ვერისა და ვაკის უბნებში გახდა ფარიკაობა ასეთი პოპულარული?

ვერის უბანში, ჯავახიშვილის ქუჩის ერთ პატარა ჩიხში ცხოვრობდა გოგელიების ოჯახი, რომელთა ხელისგულისოდენა ეზო მაშინ ფარიკაობის ღია დარბაზი გეგონებოდათ... იქ იკრიბებოდნენ ბიჭები, ვარჯიშობდნენ, თითქმის დამოუკიდებლად ეუფლებოდნენ ფარიკაობის ილეთებს. ყველაფრის მოთავე გოგი გოგელია გახლდათ. გოგი იყო იმ ბიჭებში პირველთაგანი, რომელმაც პიონერთა სასახლის გამოცდილი მწვრთნელის ანატოლი ფეოდოროვის ხელმძღვანელობით სერიოზული ვარჯიში დაიწყო და საქართველოდან პირველმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული ჭაბუკებში. მალე მის მაგალითს დანარჩენმა ბიჭებმაც მიჰბაძეს და მათ შორის გოგის მომდევნო ძმამ კოტემ. მოფარიკავე გახდა სულ უმცროსი - არჩილიც. შემდგომში ძმები შესანიშნავი ქართველი მწვრთნელის შოთა დარასელიას მოწაფეები იყვნენ და საკავშირო სარბიელზე ბევრ მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს.

მანამდეც იყვნენ ვერაზე ბიჭები - ოთარ ყვანია, ლონია გორბაჩოვი, მერე კი თენგიზ ცქიტიშვილი და, რაც მთავარია, რევაზ ცირეკიძე, რომელმაც ქართველი მუშკეტერებიდან პირველმა მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და ასევე პირველი გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე - მსოფლიო პირველობის ფინალამდე გაიკვლია გზა. მაგრამ ერთგვარი მაგალითის მიმცემი და პირველი პოპულარიზატორი მაინც გოგი გოგელია გახლდათ."

შეხვედრა წარსულთან...

ლელოს ვეტერანი ჟურნალისტი თენგიზ გიორგაძე იგონებს

უკანასკნელი საუბარი

როცა კი შევხვედრივარ გამოჩენილ ქართველ მოჭადრაკეს ვიქტორ გოგლიძეს, იქნებოდა ეს კიროვის სახელობის პარკში, სადაც მას დასვენება უყვარდა, თუ ოჯახში, სიამოვნებით მიყვებოდა თავისი საჭადრაკო ცხოვრების ამბებს. დაუფარავი ინტერესით ვუსმენდი მას და ვცდილობდი ყველაფერი დამემახსოვრებინა.

1964 წლის ცხელი აგვისტო იდგა, როცა ღვაწლმოსილი ოსტატის სანახავად მივედი. იგი ავად იყო, მაღალი წნევა ჰქონდა, გულიც აწუხებდა. შევატყვე, ესიამოვნა ჩემი სტუმრობა, გახალისდა და, ჩვეულებისამებრ, საუბარი გამიბა. სამწუხაროდ, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა აღმოჩნდა.

იაკობ ნიკოლაძის სიტყვა

1930 წელს სახელგანთქმულ რუს ოსტატ ვლადიმერ ნენაროკოვთან მატჩის მოგებით (7,5:4,5) ვიქტორ გოგლიძეს ქართველ მოჭადრაკეთა შორის პირველს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. საზოგადოებრიობა სიხარულით შეეგება ამ ღირსშესანიშნავ ამბავს.

ოსტატად საზეიმოდ „კურთხევის" შემდეგ პაოლო იაშვილმა და მისმა მეგობრებმა - ტიციან ტაბიძემ, იაკობ ნიკოლაძემ და სანდრო ყანჩელმა, რომლებიც ჭადრაკის დიდი თაყვანისმცემლები იყვნენ, ვიქტორი ვახშამზე მიიწვიეს რესტორანში.

- სუფრასთან თავს უხერხულად ვგრძნობდი, - მიყვებოდა პირველი ოსტატი. - საშა ფალავანდიშვილი უფრო თავისუფლად იყო და მეც გულს მიმაგრებდა.

როგორც ყოველთვის, სახელდახელო თავშეყრას თურმე ტკბილმოუბარი პაოლო იაშვილი თამადობდა. მეგობრებს ბევრი კარგი სადღეგრძელო წარმოუთქვამთ, მაგრამ ვიქტორს ყველაზე მეტად სასიქადულო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის სიტყვა ჩასწვდომია გულში.

- მოგეხსენებათ, პირველ მოქანდაკედ მთელიან საქართველოში, - ასე დაუწყია თავისი სიტყვა იაკობს, - ვიქტორიც ჭადრაკის პირველი ოსტატია. ეს საამაყოცაა და საძნელოც. პირველს ყველაზე მეტი მოეთხოვება. ვერც თვითონ მოისვენებს, თუ ჭეშმარიტი ხელოვანია, რომ ყველაფერი არ გააკეთოს საყვარელი საქმის წინსვლისთვის. მინდა ვიქტორს ვურჩიო, არ დაიშუროს ძალ-ღონე ქართული ჭადრაკის წარმატებისა და ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის აღზრდისათვის.

ამ სიტყვებმა ვიქტორ გოგლიძეს ცხოვრების გეზი მისცეს.

- სწორედ მაშინ მივეცი სიტყვა საკუთარ თავს, დაუღალავად მეშრომა საქართველოში ჭადრაკის განვითარებისთვის, - იგონებს ამაგდარი ოსტატი. - თუ რამდენად შევძელი, ეს შთამომავლობამ განსაჯოს. მე კი არასოდეს დამავიწყდება იაკობის მართალი სიტყვები!

გოგლიძისა და ნენაროკოვის (მარჯვნივ) შეხვედრა

ფოტო კომენტარით

საქართველოში სპორტის ახალი სახეობები ყოველთვის წარმატებით ინერგებოდა და ენერგიულად ვითარდებოდა, რადგან მრავალსაუკუნოვანი ფიზიკური და სულიერი წრთობა თვით ქართველი ერის გენშია გამჯდარი. გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ჩვენში ასევე ნოყიერი ნიადაგი დახვდა ძიუდოს. იაპონური და საერთაშორისო სახეობად ქცეული ორთაბრძოლის ეს სახეობა არათუ იუცხოვა, პირიქით, გაამდიდრა კიდეც მსოფლიოს ორთაბრძოლებს შორის რაინდული სულით და ფანდების ხიუხვით გამორჩეულმა ფენომენმა - ქართულმა ჭიდაობამ.

თბილისში **ქრისტეფორე ნინიაშვილმა** და **ბიძინა მაზიაშვილმა**, გორში **გურამ პაპიტაშვილმა** და **გივი ზაუტაშვილმა** წარმატებით დაიწყეს მადლიანი ქართული ჭიდაობით შემზადებული ახალგაზრდების დაოსტატება ძიუდოში. შედეგიც მალე მოვიდა: პირველებმა მაღალი მწვერვალები დალაშქრეს **ანზორ კიკნაძემ, ანზორ ქიბროწაშვილმა** და **ფარნაოზ ჩიკვილაძემ.**

სურათი რომელსაც დღეს გთავაზობთ 60-იან წლებშია გადაღებული.

მარცხნიდან: ანზორ კიკნაძე, ბიძინა მაზიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი.

გურამ სალარაძე
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

კროსვორდი



თარაზულად: 1. ჯანო ანანიძის კლუბი; 5. თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის ყოფილი მწვრთნელი, გერმან...; 8. ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი; 9. 90-იანი წლების თბილისის "დინამოს" ფეხბურთელი, დიმიტრი...; 10. საქართველოს ავტოფედერაციის ყოფილი ხელმძღვანელი; 11. წარსულში ცნობილი ხელბურთელი და მწვრთნელი; 14. ფეხბურთელ კაკილაშვილის სახელი; 16. სიმფეროპოლის "ტავრიას" ქართველი ლეგიონერი; 18. ჩრდილო კავკასიაში კარგი ცხენოსანის სახელი; 21. აღმოსავლური ორთაბრძოლის სახეობა; 23. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ხორვატი მწვრთნელი; 24. სათამაშო სახეობებში მთავარი ინვენტარი; 25. თბილისის კალათბურთის ყოფილი გუნდი; 26. ცხენის დასაჭედი; 27. 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 28. შსს-ის გუნდის კალათბურთელი.

შვეულად: 1. ცურვის სახეობა მუსიკის თანხლებით; 2. ჰორმონთა ჯგუფი, რომელიც ასტიმულირებს კუნთების ზრდას; 3. სასროლეთი; 4. ძველებური კონსტრუქციის სპორტული გემი; 6. სამაგიდო სპორტული თამაში; 7. რინგის გეომეტრიული ფორმა; 12. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი; 13. ქართველ ჩოგბურთელთა ერთ-ერთი დინასტიის გვარი; 15. კობიაშვილის მეტსახელი; 17. საერთაშორისო პირადი პირველობა დიდი საპრიზო ფონდით; 18. იაპონელი სამურაების ფიზიკური და საბრძოლო მომზადების სისტემა; 19. გროზნოს „ტერეკის" ქართველი ფეხბურთელი, ლევან...; 20. ალპინისტის ფეხსაცმელი; 22. ნადირობაში: ძაღლის შედგომა და განაბვა მსხვერპლზე თავდასხმის წინ.

შეადგინა ლალი ქიქინაძემ

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

● U-20

ფრანგული გაკვეთილები ქართველებისთვის, ქართული – ფრანგებისთვის

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

ხვიჩა ბუჯიაშვილის ღელო

საქართველო 36

კლერმონი 22

საქართველო (15-8) კობახიძე (მჭედლიშვილი 41), გაბროშვილი, ლოსაბერიძე, მარგიანი, აბრამიძე (ძნელაძე 41), ჭინჭარაული (კვარაცხელია 51), ღამბაშიძე (მისრიაშვილი 41). (1-8) ჟვანია (ერისთავი 41), მატკავა (ნავროზაშვილი 70), ჩილაჩავა, ბინაძე, მიქაუტაძე, თხილაიშვილი (ბ.კოლელიშვილი 41), ტყეშელიაძე, თხელიძე (ბუჯიაშვილი 61)

3ლ: თხელიძე, ბუჯიაშვილი, ერისთავი. **3გ:** მჭედლიშვილი (2), კობახიძე. **4ს:** კობახიძე (), მჭედლიშვილი (2), ა: ჭინჭარაული

სინბაი: ჩილაჩავა

კლერმონი: (15-9) სონკოლიე, დიუკორტი, მოზე, ჯიმშელაძე, ერი, ბოლდი , რიკი. (1-8) კორდელი, ბარდი, მონი, შიმტი, მალე, ლაზარდი, დიკონგი, ბოსტიდი.

ლ: დიუკორტი. 4ს,ა,გ: ბოლდი

მსაჯი: გ.ამირხანაშვილი (საქართველო)

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფასთვის“ მოსამზადებლად საქართველოს 20-ნლამდელთა ნაკრები ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთ-ერთი ფრანგული გრანდის, „კლერმონის“ ახალგაზრდულ გუნდს დაუპირისპირდა და 36:22 მოუგო.

პაატა ნარიმანაშვილისა და **ზურაბ ამონაშვილის** ხელმძღვანელობით ჩვენი ნაკრები „ალაფასთვის“ ინტენსიურად ემზადება და კლერმონელებთან თამაშს უნდა ეჩვენებინა, დღეისათვის რამდენადაა დამაკმაყოფილებელი გუნდის თამაშის დონე.

„მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე“ ჩვენი მეტოქეების თამაშს არ ვიცნობთ, თუმცა მათი სხვადასხვა ასაკის ნაკრებების თამაში გვინახავს და ვიცით, დაახლოებით რა სტილს ანიჭებენ უპირატესობას.

იაპონიისა და სამოას ნაკრებები სწრაფი რაგბის მიმდევრები არიან. „კლერმონმაც“ დღეს ივივე მანერით ითამაშა, მაგრამ ჩვენმა გუნდმა უპირატესობის მოპოვების საშუალება არ მისცა. დაახლოებით ასე უნდა ვითამაშოთ „მსოფლიო ალაფაზეც“.

მზადების ამ ეტაპზე გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა სამუშაო ბევრი გვაქვს. ვეცდებით, „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფას“ დაწყებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ“ - თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმა.

თამაში სტუმრებმა საკმაოდ აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-2 წუთზე „კლერმონის“ მგეზავმა **ჟულიენ ბოლდმა**, რომელიც გუნდში საუკეთესო იყო, არეკნით ანგარიში გახსნა - 3:0.

„პატარა ბორჯღალოსნებმა“ მოწინააღმდეგის თამაშის სტილს, ბურთის სწრაფად გათამაშებას და იერიშის მიმართულების ხშირ ცვლას, ალღო მალე აუღეს. ექვს წუთში საქართველოს ნაკრების ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** ანგარიში გაათანაბრა - 3:3. შვიდი წუთის შემდეგ კი მგეზავმა **გოდერძი ჭინჭარაულმა** სტუმრებს საპასუხო არეკნი გაუტანა - 6:3.

ტაიმის 30-ე წუთამდე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. კობახიძის ერთ საჯარიმოს ბოლდმა ორით უპასუხა და ანგარიში გაათანაბრა - 9:9. სამ წუთში ჩვენმა მორაგბეებმა პირველი ლელო გაიტანეს. ცხრა ნომერმა **ჯიმი ღამბაშიძემ** დაცვის ხაზი მეტოქის 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან გაჭრა. თხუთმეტიოდე მეტრი გაიარა, მერე მარცხნივ, მოკლე ფრთაზე იქვე მიმყოლ პირველხაზელ **ზურაბ ჟვანიას** გადააწოდა, რომელიც ზედ ჩათვლის მოედანთან შებოჭეს. წარმოქმნილ რაკში თამაშისას სტუმრები დაჯარიმდნენ.

„პატარა ბორჯღალოსნებმა“ საჯარიმოს ნაცვლად შერკინება მოითხოვეს. მეტოქეს ორი მეტრით უკან დაახევინეს და ბურთი „აიას“ მესამეხაზელმა **ლევან თხელიძემ** აიტაცა, მისი შეჩერება ორმა კლერმონელმა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. კობახიძემ გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 16:9.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ფრანგებმა, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული, საქართველოს A ნაკრების წევრი, შუამარბი **გიორგი ჯიმშელაძე** იყო, სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა მაინც შეძლო ერთი სახიფათო შეტევის ორგანიზება, მაგრამ მოლში თამაშისას, რომლითაც თითქმის 20 მეტრიაერეს, თამაშის წესი დაარღვიეს. „კლერმონმა“ ბოლო წუთზე მაინც შეძლო ანგარიშის შემცირება. ბოლდმა საჯარიმო 48 მეტრიდან გაიტანა - 12:16, ასე დასრულდა მატჩის პირველი ნახევარი.

შესვენებისას პაატა ნარიმანაშვილმა რამდენიმე ცვლილება განახორციელა. მან, ცხადია, გუნდის თამაშში გარკვეული დისონანსი შეიტანა, ისე რომ, „კლერმონმა“ 68-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

მანამდე კი, 44-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ფულბეკმა **უჩა მჭედლიშვილმა** საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა შვიდ ქულამდე გაზარდა, მერე კი 13 წუთის შემდეგ, მანვე 50 მეტრიდან კიდევ ერთხელ მიუმატა სამი ქულა გუნდის მონაგარს - 22:12.

ამან სტუმრები საგრძნობლად გამოაცოცხლა. შვიდ წუთში მათ შესანიშნავი იერიში წამოიწყეს და ეფექტური ლელო გაიტანეს. კლერმონელებმა დერეფანი შეტევის მარცხენა ფრთაზე, ჩვენი ჩათვლის მოედნიდან 15 მეტრში მოიგეს, მოლი შეკრეს, მიაწვნენ, მერე ბურთი სწრაფად გამოიტანეს და მგეზავმა ჟულიენ ბოლდმა ფეხით მოპირდაპირე მხარეს, ჩვენს ლელოში დაჰკიდა. იქ ყველას სტუმართა გარემარბმა **ფრანსუა დიუკორტმა** დაასწრო. გარდასახვა ბოლდმა გაიტანა - 19:22.

ოთხ წუთში ფრანგებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, ბოლდმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა - 22:22. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საქართველოს ნაკრების თამაშში რაღაც მოიშალა და სტუმრები შეხვედრაში გარდატეხის შეტანას შეძლებდნენ. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ჩვენმა ბიჭებმა ძალების კონცენტრირება მოახერხეს და მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს, კლერმონელებს კი მონაგარის გაზრდის საშუალება არ მისცეს.

71-ე წუთზე შერკინება ჩვენს სასარგებლოდ მეტოქის ლელოდან 30 მეტრში დაინიშნა. იქიდან ბურთი შეცვლაზე შესულმა რვა ნომერმა, თბილისის „ივერიას“ აღზრდილმა **ხვიჩა ბუჯიაშვილმა** აიტაცა, ოცი მეტრი გაირბინა და შებოჭეს. თამაში რაკში გადავიდა. მორკინალების რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ, ისევ ბუჯიაშვილმა იყოჩაღა. მისი მიძალება მეტოქემ ვეღარ შეაჩერა. მჭედლიშვილმა გარდასახა - 29:22.

თამაშის დასრულებამდე დარჩენილ დროში ჩვენი მორაგბეები დაცვაში ყურადღებით ირჯებოდნენ, შეცდომებსაც ნაკლებად უშვებდნენ და მეტოქეს ანგარიშის შემცირების საშუალება არ მისცეს. მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე, კი მორიგი, მესამე ლელო მიითვალეს.

„პატარა ბორჯღალოსნებმა“ დერეფანი კლერმონელთა ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში მოიგეს, მოლი ააგორეს, მეტოქე ლელოში შეათრიეს და ბოლოს ბურთით ხელში, შეცვლაზე შესული შერკინების ბურჯი **ზაზა ნავროზაშვილი** იყო. კიდიდან გარდასახვა მჭედლიშვილმა გაიტანა - 36:22.

თამაშმა გვიჩვენა, რომ ნაკრების მწვრთნელებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო. ჩვენი მორაგბეები ხშირად სცოდავდნენ. მიწაზე, რაკში თამაშისას, ირღვეოდა თამაშგარეს წესი, ვერ მოახერხეს შერკინებისა და უკანა ხაზის თამაშის მონაცვლეობა. ერთი სიტყვით, ხარვეზების აღმოსაფხვრელად, „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფას“ დაწყებამდე, დრო კიდევ არის. ბოლო, ტურნირისწინა საწვრთნელ შეკრებას საქართველოს 20-ნლამდელთა ნაკრები 10 მაისს დაიწყებს. მანამდე კი „კლერმონთან“ ერთობლივი წვრთნებია დაგეგმილი.

ახალგაზრდული ალაფა

24 სექტემბერი

საქართველო-კანადა, იაპონია-ზიმბაბვე, სამოა-აშშ, რუსეთი-ურუგვაი

28 სექტემბერი

საქართველო-ზიმბაბვე, იაპონია-კანადა, სამოა-ურუგვაი, რუსეთი-აშშ

1 ოქტომბერი

საქართველო-იაპონია, კანადა-ზიმბაბვე, ურუგვაი-აშშ, სამოა-რუსეთი

5 ოქტომბერი

ფინალი

ჯიმი ღამბაშიძის შეტევა

● სკანდალური ჟურნალისტიკის ბიბლიოთეკა

შაბალს მსაჯების კრიტიკისთვის დასჯიან

ფრანგულ რაგბიში სერიოზული სკანდალი აგორდა. საფრანგეთის რაგბის ფედერაციისა და ამ ქვეყნის რაგბის ნაციონალური ლიგის თავკაცები, პარიზული „მეტრო რასინგისა“ და ეროვნული ნაკრების მესამეხაზელ **სებასტიან შაბალს** უჩივიან.

ექსტრავაგანტური გარეგნობის ფრანგმა მორაგბემ, ახლახან გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი მინიატურული ვარსკვლავი“, ფრანგი არბიტრები მიწასთან გაასწორა.

„ელიტური, პირველი დივიზიონის მსაჯები უვარგისნი არიან. მათ შეძლიათ ჭკუიდან გადაგიყვანონ“ - წერს ის. მოგვიანებით, ერთ-ერთ ფრანგულ გამოცემასთან ინტერვიუში მან არაკეთილსინდისიერებაში „კასტრი“ და „ბიარიცი“ დაადანაშაულა. შაბალი ამტკიცებდა, რომ „კასტრს“ მისი ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის (LNR) დირექტორი **პიერ ივ-რევოლი** ლობირებს. ბასკური „ბიარიცის“ მფარველი კი მისი წინამორბედი, ლეგენდარული ფრანგი მორაგბე **სერჟ ბლანკოა.**

ამ ფაქტმა, ცხადია, ფრანგული რაგბის მამების აღშფოთება გამოიწვია. საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ ოფიციალურად მიმართა რაგბის ნაციონალურ ლიგას სებასტიან შაბალის საკითხი სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე გაიტანოს. ფედერაციის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ეს შეურაცხყოფა შაბალს ძვირად უნდა დაუჯდეს.

ყოველივე ამას, ცხადია, პარიზული კლუბის ხელმძღვანელების რეაქციაც მოჰყვა.

„გაოცებული ვარ. ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება ასეთი განცხადების გაკეთება. სებასტიან შაბალს ვერაფერით დავეთანხმები. არასერიოზულია რაიმე შეთქმულებაზე ლაპარაკი. ჩვენი მსაჯები, შესაძლოა, იდეალურნი არ არიან, მაგრამ ისინი ურთულეს საქმეს ემსახურებიან. რაგბის თამაშის განსჯა, სხვა სახეობებთან შედარებით, ბევრად უფრო ძნელია“ - თქვა „მეტრო რასინგის“ პრეზიდენტმა **რენე ბუსკატელმა.**

ძნელი სათქმელია, შაბალი შეშინდა, თუ სხვა რამე მიზეზია, მაგრამ ექსტრავაგანტურმა მორაგბემ ბოდიში მოიხადა, თუმცა თავისი სიტყვები უკან არ ნაუღია.

„ვწუხვარ, რომ ეს პოლემიკის მიზეზი გახდა. ვწუხვარ, რომ ადამიანებს გული ვატკინე. ბოდიშს ვიხდი, იმიტომ, რომ, როცა ამას ვამბობდი, ყველას არ ვგულისხმობდი. თანაც, ჩემს წიგნში ამ ამბავს ძალიან ცოტა ადგილი უჭირავს. მასში უამრავი გვერდია, რომლებზეც ბევრად საინტერესო რამაა მოთხრობილი“ - თქვა სებასტიან შაბალმა.

ცნობილი გახდა, რომ „მეტრო რასინგის“ ხელმძღვანელებმა შაბალი გუნდიდან დროებით მოკვეთეს. ის 11 მაისამდე არ ითამაშებს. თუმცა ეს ვადა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს და სებასტიანმა მანამდე არ ითამაშოს, სანამ სადისციპლინო კომიტეტის სხდომა არ გაიმართება.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

კობი ბრაიანტი

ხარები ზაზას ელიან

მეორე გუნდი, რომელმაც პლეი ოფის მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „ჩიკაგო ბულზია“. გარდა ამისა, ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა შემდეგ ეტაპს მოქმედი ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“.

აღმოსავლეთი

ჩიკაგო–ინდიანა 116:89

36:25, 18:21, 30:19, 32:24

ჩ: როუზი (25+6 პასი), დენგი (24+7 პასი+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბოგანსი (15), ნოა (14+8 მოხსნა+4 დაფარება), კორვერი (13), გიბსონი (10+7 მოხსნა), უოტსონი (6+7 პასი), ბატლერი (3), ბუზერი (2+5 მოხსნა), აშიქი (2+5 მოხსნა), ბრიუერი (2).

ი: გრეინჯერი (20+6 მოხსნა), ჰენსბრო (14+11 მოხსნა), ჰიბერტი (11+5 მოხსნა), ჯონსი (10), კოლისონი (7+5 პასი), ჯორჯი (7), რაში (7), პრაისი (7), დანლივი (4), ფორდი (2).

სერია: 4-1

„ჩიკაგომ“, როგორც იქნა, ისე ითამაშა, როგორც რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდს შეჰფერის. „ხარები“ განვლილ ოთხ შეხვედრაში ცუდად არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ არ ჰქონიათ აღმოსავლეთის მერვე გუნდთან შესამჩნევი უპირატესობა. ახლა კი მათ რეალურად დაანახვეს მეტოქეს თავიანთი მაღალი კლასი.

ამ მატჩის წინ ეჭვქვეშ იყო „ჩიკაგოს“ ლიდერის **დერიკ როუზის** თამაში. გამთამაშებელმა წინა დღეს ფეხი დაიზიანა და ბოლო მომენტამდე არ იცოდნენ დართავდნენ თუ არა ექიმები მას მოედანზე გასვლის ნებას. საბოლოოდ, როუზმა ითამაშა მეხუთე მატჩში და დებიუტში საუკეთესოც იყო მოედანზე.

მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა - სხვაობა იზრდებოდა, მეტოქე შოკირებული იყო, „ბულზის“ სნაიპერები კი შესანიშნავ ფორმას აჩვენებდნენ. და აქ მოულოდნელად „ჩიკაგოს“ პრობლემები შეექმნა: მის ლიდერებს პერსონალურები დაუგროვდათ. როუზი, **ბუზერი** და **ნოა** ოთხ-ოთხი პერსონალურით სათადარიგოთა სკამისკენ გაიმართნენ. „პეისერსს“ შანსი გაუჩნდა და სტუმარმა მისი გამოყენება სცადა.

მესამე მეოთხედის შუა ნაწილისთვის მასპინძლების სოლიდური უპირატესობა ოთხ ქულამდე დავიდა. **ტომ თიბოდოს** როუზის მოედანზე დაბრუნებამ მოუწია. დერიკმაც შეძლო სტუმრების დაშოშმინება - მეოთხედის დასრულებამდე დარჩენილ 6 წუთში 10 ქულა დააგროვა, მისმა გუნდმა კი დროის ეს მონაკვეთი 23:8 გაქცევით დაასრულა.

თამაშის ბედის კიდევ ერთხელ შემოტრიალება „ინდიანამ“ ვერ შეძლო. მხოლოდ **ჯოშ მაკრობერტსმა** „გამოიჩინა“ თავი - უმწეობისგან ჯერ ზურგში ჰკრა ხელი ნოას, შემდეგ კი იდაყვის ჩარტყმა სცადა. მსაჯებმა მაკრობერტსი მოედნიდან მიაბრძანეს.

„ჩიკაგომ“ მოიგო მატჩი და სერია და ახლა, „ორლანდოსა“ და „ატლანტას“ წყვილში გამარჯვებულს დაელოდება.

ორლანდო–ატლანტა 101:76

26:13, 32:22, 21:18, 22:23

ო: ჯ. რიჩარდსონი (17), რედიკი (14), ანდერსონი (11+7 მოხსნა), თურქოგლუ (9), ბასი (9+7 მოხსნა), ნელსონი (9+5 პასი+3 ჩაჭრა), არენასი (9+4 პასი), ჰოვარდი (8+8 მოხსნა), კ. რიჩარდსონი (7+6 მოხსნა), დუპონი (5), კლარკი (2), ალენი (1).

ა: სმიტი (22+11 მოხსნა), უილიამსი (12+5 მოხსნა), ჰორფორდი (9+14 მოხსნა+6 პასი), კროუფორდი (8), ჰაინრიხი (6), ჯონსონი (5), ტიგი (5), ფაჩულია (4), უილკინსი (2), პაუელი (2), არმსტრონგი (1).

სერია: 2-3

დასავლეთი

ლეიკერსი–ნიუ ორლეანი 106:90

23:32, 31:19, 25:21, 27:18

ლ: ბრაიანტი (19), ბინუმი (18+10 მოხსნა), ჰ. გასოლი (16+8 მოხსნა), ფიშერი (13), ოდომი (13+7 მოხსნა), არტესტი (11), ბრაუნი (8), ბარნსი (5), ბლეიკი (3).

ნ-ო: არიზა (22), ბელინელი (21), პოლი (20+12 პასი), ლენდრი (8), გრინი (8), ოკაფორი (5+5 მოხსნა), იუნგი (3), სმიტი (2), ჯეკი (1).

სერია: 3-2

NBA-ის მოქმედ ჩემპიონს აუცილებლად სჭირდებოდა გამარჯვება მეხუთე მატჩში და მან მიზანს მიაღწია. თანაც დამაჯერებლად. აქაც ეჭვქვეშ იყო ფავორიტი გუნდის ლიდერის თამაში - **კობი ბრაიანტმა** წინა მატჩში ტერფი დაიზიანა. მაგრამ კობი მოედანზე გავიდა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო. ლიგაში დაფარებების ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, „ნიუ ორლეანის“ ცენტრი **ემეკა ოკაფორი** ვერაფერს უხერხებდა ბრაიანტის გარღვევებს - კალიფორნიელი ვარსკვლავი ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ხელით ტენიდა ბურთს ფარში.

მასპინძლებს მხოლოდ სასტარტო მეოთხედში ჰქონდათ პრობლემები. „ლეიკერსის“ ყოფილმა მოთამაშემ **ტრევორ არიზამ** პირველ 12 წუთში 10 ქულა დააგროვა, **კრის პოლმა** კი 8 შედეგიანი პასი მიითვალა. მაგრამ ამით ყველაფერი დასრულდა - კალიფორიელებმა უკვე მეორე მეოთხედში გაათანაბრეს ანგარიში. იმ დღეს „ლეიკერსში“ ყველა კარგად თამაშობდა - სასტარტო ხუთეულის ყველა წევრმა და **ოდომმა** 10-ქულიან ზღვარს გადააჭარბეს. მოხსნებში კი მასპინძლების უპირატესობა უდიდესი იყო - 42:25 (შეტევაში: 15:3).

მესამე მეოთხედში ასე თუ ისე თანაბარი თამაში იყო, მაგრამ ბოლოსკენ ჩემპიონმა წალეკა **კრის პოლის** გუნდი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჩოგბურთი. ტურნირები

ფერნანდო დაბრუნდა

მორიგი სათამაშო დღის მიმოხილვა აუცილებლად ბელგრადის ტურნირით უნდა დავიწყოთ. აქ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - პროფესიულ ტურს დაუბრუნდა ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**, რომელმაც ბოლოს ATP-ის ტურნირზე მატჩი 11 თვის წინ მოიგო. ეს შარშანდელი როლან გაროსის პირველ წრეში მოხდა.

შეგახსენებთ, რომ ჩილელმა ტრავმირებულ ბარძაყზე ოპერაცია გაიკეთა და მხოლოდ ახლა დაუბრუნდა აქტიურ სპორტს. პირველ წრეში მას იოლი მეტოქე ერგო სლოვაკი **კლიჟანის** სახით და ყოველგვარი გართულების გარეშე გაიარა ეს ბარიერი. კლიჟანი ბოლო დროს მყარად დაფუძნდა რეიტინგის მეორე ასეულში და თანდათან პირველ ასეულს უახლოვდება.

ისე კი, ბელგრადში განთესილ ჩოგბურთელებს არც ისე წარმატებული დღე ჰქონდათ. ტურნირის მეხუთე ნომერმა **ჯონ ისნერმა** სულ რაღაც 75 წუთში ნააგო **რიკარდო მელოსთან**, არადა, ამერიკელმა 18 ეისი ჩაანოდა. ორივე მეტოქეს 5-5 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ბრაზილიელმა ორი შანსი გამოიყენა, ისნერმა - მხოლოდ ერთი.

ასევე დამარცხდა მერვე ნომრად განთესილი **ხუან მონაკო** - მან თავის ესპანელ მეგობართან **ფელისიანო ლოპესთან** ნააგო. არგენტინელს გრუნტზე საქმეები ცუდად მისდის - ოთხი შეხვედრიდან ჯერ მხოლოდ ერთი მოგება აქვს.

■ ■ ■

მიუნხენში სერიოზული სენსაცია მოხდა - განთესვის ერთერთმა ლიდერმა **სტანისლას ვავრინკამ** პირველ წრეში დაასრულა ბრძოლა. თანაც შვეიცარიელს გზა გადაუღობა ბევრისთვის უცნობმა იამაიკელმა **დასტინ ბრაუნმა**. ამ უკანასკნელმა კარიერაში პირველად დაამარცხა TOP15-ის წარმომადგენელი, თანაც პირველად მოიგო ATP-ის დონეზე მატჩი გრუნტის საფარზე. ასევე საინტერესოა ისიც, რომ ვავრინკამ 2005 წლის შემდეგ პირველად წააგო შეხვედრა რეიტინგის მეორე ასეულში მყოფ ჩოგბურთელთან.

ბრაუნმა ორსაათიან და სამსეტიან მატჩში ათი ეისი ჩააწოდა, ვავრინკა კი ზედიზედ მეორე ტურნირის პირველ წრეში გამოეთიშა ბრძოლას.

წარმატებული დღე ჰქონდათ ადგილობრივ ჩოგბურთელებს. გერმანელთა მთავარმა იმედმა **ფლორიან მაიერმა სტივ დარცისის** დამარცხებას საათზე ნაკლები დრო მოანდომა. გამარჯვებულს ბრეიკ-პოინტების რეალიზაციის მაღალი პროცენტი ჰქონდა - ათიდან შვიდი შანსი გამოიყენა.

ამ ტურნირის 2007 წლის გამარჯვებულმა **ფილიპ კოლშრაიბერმა** ასევე ორ სეტში მოუგო **რობერტ ფარას**. **ფილიპ პეტცშნერმა** ბოლო მომძლავრებული **ივან დოდიგი** დაამარცხა. ასევე გავიდნენ მეორე წრეში **დენის გრემელმაიერი** და **ჯულიან რაისტერი**. მხოლოდ **რაინერ შუტლერმა** ვერ გაამართლა გერმანული პუბლიკის იმედები - ვეტერანმა სამ სეტში წააგო რუს **თეიმურაზ გაბაშვილთან**.

■ ■ ■

პირველი წრე დასრულდა ეშტორილშიც. აქ პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ხუან მარტინ დელ პოტროს მოგება **პედრო სოუზასთან** მატჩში. არგენტინელმა გრუნტზე პირველად ითამაშა 2009 წლის როლან გაროსზე **როჯერ ფედერერთან** ცნობილი ნახევარფინალის შემდეგ. თავის მხრივ, სოუზა კარიერაში პირველად დაუპირისპირდა საუკეთესო ორმოცდაათეულის წარმომადგენელს და შესაბამისად, მის მიერ მოგებული სეტიც პირველი იყო კარიერაში. თუმცა დანარჩენ ორ პარტიაში უფრო გამოცდილი დელ პოტრო გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

მილოშ რაონიჩმა მხოლოდ ოთხი ეისი ჩაანოდა პირველი წრის მატჩში, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა რუსი **იგორ ანდრეევის** დასამარცხებლად. ამ უკანასკნელმა რვა ბრეიკ-პოინტი დააგროვა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ აიღო მეტოქის გეიმი.

ATP

BMW Open

მიუნხენი (გერმანია). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 398 500 ევრო

I წრე

მარინ ჩილიჩი (ხორ, 3)-სიმონე ბოლელი (იტა) 7:5, 7:6; **დასტინ ბრაუნი (იამ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 2) 6:7, 6:4, 7:5; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:1, 4:6, 6:3; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:1, 6:4; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-რაინერ შუტლერი (გერ) 3:6, 6:4, 6:3; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 3:6, 6:4, 6:0; **ფლორიან მაიერი (გერ, 5)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:1, 6:2; **ჯულიან რაისტერი (გერ)**-დენიელ ბრანდსი (გერ) 7:6, 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 8)**-რობერტ ფარა (კოლ) 6:3, 6:1; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 7)**-ანდრეი კუზნეცოვი (რუს) 6:1, 7:6.

Serbia Open

ბელგრადი (სერბეთი). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 373 200 ევრო

I წრე

ფელისიანო ლოპესი (ესპ)-ხუან მონაკო (არგ) 6:4, 7:5; **ილია მარჩენკო (უკრ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:2, 6:4; **რიკარდო მელო (ბრა)**-ჯონ ისნერი (აშშ) 6:4, 7:6; **სომდევ დევარმანი (ინდ)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 1:6, 6:4, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-დუშან ლაჯოვიჩი (სერ) 6:1, 6:4; **ადრიან უნგური (რუმ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:7, 6:3, 6:4; **მიხაელ ბერერი (გერ)**-ალექსანდერ პეია (ავსტრია) 4:6, 6:3, 6:4; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ფრანკო შუგორი (ხორ) 7:5, 6:1; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ)**-მარტინ კლიჟანი (სლოვაკ) 6:2, 6:4.

Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

I წრე

მილოშ რაონიჩი (კან)-იგორ ანდრეევი (რუს) 6:4, 6:4; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:4, 6:3; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 4:6, 6:1, 4:4 ანდუხარის უარი; **ტომას ბელუჩი (ბრა)**-ფრედერიკ ნილსენი (დან) 7:5, 6:1; **ედუარდ როჟე ვასელენი (საფ)**-მარკოს დანიელი (ბრა) 6:3, 6:1; **ფრედერიკო ჟილი (პორ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:3, 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-პედრო სოუზა (პორ) 6:2, 3:6, 6:3.

ფერნანდო გონსალესი

ფავორიტები ისევ აგებენ

სლოუნ სტივენსი

ქალებს შორის ეშტორილის ტურნირზე მორიგ სათამაშო დღეს მოულოდნელობების გარეშე არ ჩაუვლია. ბრძოლას გამოეთიშა მეოთხე ნომერი **ანასტასია სევასტოვა**. ლატვიელი ჩოგბურთელი **ურსულა რადვანსკას** ხვდებოდა. თამაში ორსათნახევარი გაგრძელდა და სევასტოვამ ფიზიკურად ვერ გაუძლო ამ მარათონს. ორი უმძიმესი სეტის შემდეგ ბალტიისპირელმა ფაქტობრივად უბრძოლველად დაუთმო მესამე სეტი პოლონელს - უმცროსმა რადვანსკამ მიღებაზე მხოლოდ ექვსი ქულა წააგო.

დღის იუბილარმა **იარმილა გაიდოშოვამ** (24 წელი შეუსრულდა) სევასტოვასგან განსხვავებით დაადასტურა ფავორიტის სტატუსი. ტურნირის მეორე ნომერმა ზედიზედ ცხრა გეიმი მოუგო **რენატა ვორაკოვას** და მეორე სეტში „მშრალი“ ანგარიში დააფიქსირა.

გაიმარჯვა კიდევ ორმა განთესილმა - **გრეტა არნმა** და **კლარა ზაკოპალოვამ**. ყველაზე სწრაფი გამარჯვება **კრისტინა ბაროისს** ჰქონდა, რომელმაც **სოფია არვიდსონის** წინააღმდეგობა დაძლია. ანგარიშის მიხედვით კი ყველაზე იოლად **სლოუნ სტივენსმა** მოიგო - ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილმა ამერიკელმა მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო თანამემამულე **მელანი ოუდინს**.

■ ■ ■

ბარსელონაში პირველი ნომრის - **მარიონ ბარტოლის** წაგების შემდეგ, არც სხვა ფავორიტებს დაადგათ კარგი დღე. განთესილი ჩოგბურთელებიდან შემდეგ წრეში მხოლოდ **სარა ერანმა** გააღწია. ტურნირის მეხუთე ჩოგანმა ძალიან იოლად დაამარცხა **მარია-ტერეზა ტორო-ფლორი**.

ცვეტანა პირონკოვა დაამარცხა **ალბერტა ბრიანტიმ**, ვინც წინა კვირას კარიერაში პირველი ტიტული მოიგო. **ივეტა ბენეშოვამ** ჩეხურ დერბიში **ლუსი ჰრადეცკასთან** წააგო, **ეკატერინა მაკაროვა მირიან ლუჩიჩთან** დამარცხდა, **ბარბორა ზახვალოვა** - ლაურა პოუსტიოსთან.

დღის ცენტრალურ მატჩში **ხისელა დულკომ** იაპონელი **კიმიკო დატე** გაამგზავრა შინ. არგენტინელმა იაპონელ ვეტერანთან რვიდან შვიდი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა.

WTA

Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

I წრე

იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 2)-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 6:4, 6:0; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 3)**-ბეატრის გარსია ვიდაგანი (ესპ) 6:4, 7:6(3); **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ, 4) 5:7, 7:6(5), 6:1; **გრეტა არნი (უნგ, 8)**-მარიო ჟოაო კოლერი (პორ) 6:2, 3:6, 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 7:6(5), 7:6(5); **კრისტინა ბაროისი (გერ)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:3, 6:1; **ანასტასია იაკიმოვა (ბლრ)**-გამირა პაჩეკი (ავსტრია) 5:7, 4:0 პაჩეკის უარი; **სლოუნ სტივენსი (აშშ)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:2, 6:1.

Barcelona Ladies Open

ბარსელონა (ესპანეთი). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

I წრე

ალბერტა ბრიანტი (იტა)-ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 3) 6:1, 6:2; **მირიანა ლუჩიჩი (ხორ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს, 4) 7:6(4), 6:3; **სარა ერანი (იტა, 5)**-მარია ტერეზა ტორო-ფლორი (ესპ) 6:1, 6:0; **ლუსი პრადეცკა (ჩეხ)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ, 7) 6:4, 6:4; **ლაურა პოუს-ტიო (ესპ)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ, 9) 6:3, 6:3; **ხისელა დულკო (არგ)**-კიმიკო დატე (იაპ) 7:5, 6:4; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-ჯეიმი ჰემპტონი (აშშ) 6:4, 7:5; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)**-ელენა ლეპჩენკო (ბრიტ) 6:7(3), 6:1, 6:2; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 7:5, 6:4.

ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

ჩიკაგომ ჩემპიონობა დათმო

ვანკუვერი-ჩიკაგო

სტენლის თასის გათამაშებას ახალ ჩემპიონი ეყოლება. „ჩიკაგოს“ სასწაულამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა - 0:3-დან სერიის გათანაბრების შემდეგ „ბლეკჰოქსმა“ ვანკუვერში ოვერტაიმში წააგო მეშვიდე მატჩი.

აღმოსავლეთი

ფილადელფია-ბაფალო 5:2

1:0, 2:0, 2:2

გოლები: 1:0 ქობურნი-1 (ბრაიერი-1), 2:0 ბრაიერი-6 (მ. რიჩარდსი-5, ჟირუ-7), 3:0 ვან რიმსდიკი-4 (ჟირუ-8, პრონგერი-1), 4:0 ლეინო-3 (მ. კარლი-4), 4:1 მიერსი-1 (სტეფორდი-2, ჰეხტი-1), 5:1 კარჩილო-2 (ვერსტეგი-5, ტიმონენი-3), 5:2 ბოიესი-1 (როი-1, მიერსი-5).

სერია: 4-3

მეორე მეოთხედფინალისტი გაირკვა აღმოსავლეთში - „ფილადელფიამ“ სერიის მეშვიდე მატჩში 5:2 დაამარცხა „ბაფალო“ და ისტორიაში მეოცედ გავიდა პლეი ოფის მეორე ეტაპზე. 2005-06 და 2008-09 წლების სეზონებში ამ გუნდმა ვერ შეძლო პირველი რაუნდის გავლა, 2006-07 წლების სეზონში კი საერთოდ ვერ მოხვდა პლეი ოფში.

მიმდინარე გათამაშებაში „ფლაიერზის“ ლიდერები არიან **კლოდ ჟირუ** (გოლი და 8 შედეგიანი პასი), **დანიელ ბრაიერი** (6+1) და მცველი **ანდრეი მეზაროში** (1+4). მეკარეებს შორის მეტოქეთა დარტყმების მოგერიების საუკეთესო პროცენტი აქვს **ბრაიან ბუშეს** - 93.5. მაგრამ მეკარე ამ გუნდში მაინც ყველაზე სუსტი რგოლია. „ფილადელფიას“ მწვრთნელმა **პიტერ ლავიოლეტმა** სასტარტო მეკარედ უკვე სამი გოლკიპერი გამოიყენა - **სერგეი ბობროვსკი**, ბრაიან ბუშე და **მაიკლ ლეიტონი**. ასეთი რამ კლუბის ისტორიაში არ მომხდარა.

ამ მატჩში „ბაფალოს“ შემადგენლობაში ვიხილეთ ფორვარდი **დერეკ როი**, რომელმაც ბარძაყის ტრავმის გამო ოთხი თვე გამოტოვა. არადა, ამ დაზიანებამდე როის 35 მატჩში 35 ქულა ჰქონდა. დერეკის დაბრუნებამ „სეიბრზს“ ვერ უშველა. მატჩის პირველი ვარსკვლავი კი „ფლაიერზის“ თავდამსხმელი **დენი ბრიერი** გახდა, რომელმაც გოლი და შედეგიანი პასი მიითვალა.

მონრეალი-ბოსტონი 2:1

1:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 კამალერი-3 (სუბანი-2, პლეკანეცი-2), 1:1 საიდენბერგი-1 (კელი-3, პეევერლი-3), 2:1 ჯონსტა-3 (გომესი-4, კამალერი-6).

სერია: 3-3

ამ სერიაში, ისევე როგორც „პიტსბურგისა“ და „ტამპა ბეის“ დაპირისპირებაში, ყველაფერს მეშვიდე შეხვედრა გადაწყვეტს. როგორც მოსალოდნელი იყო, „მონრეალსა“ და „ბოსტონს“ შორის დიდი ბრძოლა გაჩაღდა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე. გულშემატკივარმა ამ მატჩისგან დიდი სიამოვნება მიიღო. ერთადერთი მინუსი იყო **მილან ლუჩიჩის** მოქმედება, რომელმაც **იაროსლავ შპაჩეკს** კინაღამ მძიმე ტრავმა მიაყენა. ჩეხი მცველი პარტნიორების დახმარებით გავიდა მოედნიდან.

„კანადიენსმა“ „დათვები“ ხშირი გაძევებების გამო დასაჯა. **მაიკ კამალერისა** (1+1) და **ბრაიან ჯონტას** მონდომებით მასპინძელმა ორჯერ გამოიყენა ორკაციანი უპირატესობა. ამ ეპიზოდებში სერიის ერთ-ერთი გმირი **ტიმ ტომასიც** უძლური იყო. სტუმრებმა ამ გოლებს შორის ერთხელ გამოიჩინეს თავი - გოლი გაიტანა **დენის ზაიდენბერგმა**, მაგრამ „ბოსტონს“ მეტის გაკეთება საშუალება „მონრეალის“ დაცვამ და მეკარე **კორი პრაისმა** არ მისცეს.

დასავლეთი

ვანკუვერი-ჩიკაგო 2:1 (ო)

1:0, 0:0, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 ბაროუზი-2 (კესლერი-4, რეიმონდი-3), 1:1 ტეუვზი-1 (მარიან ჰოსა-4, სიბრუკი-1), 2:1 ბაროუზი-3.

სერია: 4-3

ყველაზე დიდ ინტერესს, რა თქმა უნდა, „ვანკუვერისა“ და „ჩიკაგოს“ მეშვიდე მატჩი იწვევდა. სერიაში 3:0 დაწინაურების შემდეგ რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა ზედიზედ სამი მატჩი წააგო და ფსიქოლოგიური უპირატესობა „ჩიკაგოს“ მხარეს გადავიდა. სხვათა შორის, „ბლეკჰოქსი“ მეშვიდე გუნდი გახდა ისტორიაში, რომელმაც ასეთი ჩამორჩენის შემდეგ შეძლო სერიაში ანგარიშის გათანაბრება. თუმცა წინა ექვსი შემთხვევიდან მხოლოდ სამმა გუნდმა შეძლო საბოლოო გამარჯვების მოპოვება.

ვერც „ჩიკაგომ“ შეძლო მსგავსი გმირობის ჩადენა და სტენლის თასის მფლობელი პირველი წრიდან გამოეთიშა ბრძოლას. არადა, ამერიკელებს სულ მცირედი დააკლდათ სასწაულის მოხდენამდე. „ვანკუვერის“ რიგებში ჩაადეს თამაში ძმებმა **სედინებმა** - ისინი საერთოდ არ ჩანდნენ მოედანზე. სამაგიეროდ, ბრწყინავდა „ჩიკაგოს“ ლიდერი **ჯონათან ტეუზი**. სხვა თუ არაფერი, მან რიცხობრივ უმცირესობაში შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

თუმცა ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო იყო მასპინძელთა ფორვარდი **ალექსანდრ ბაროუზი** (2+0). მსაჯების მიერ დანიშნული ბულიტი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, ოვერტაიმში გატანილი შაიბა აღმოჩნდა ტრიუმფალური.

მეოთხედფინალში „კენაქსი“ „კერკეტ კაკალ“ „ნეშვილს“ შეხვდება, რომელმაც „ანაჰაიმი“ გამოთიშა ბრძოლას. თითქოს ფავორიტი აშკარაა, მაგრამ „მტაცებლებისგან“ ყველანაირი სიურპრიზია მოსალოდნელი.

მსოფლიოს ჩემპიონატი

სლოვაკეთი ძლიერი იქნება

სლოვაკეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე შვედეთის ნაკრებს ვერ დაეხმარება „ნიუ იორკ რეინჯერსის“ მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტი**. ბოლო ორი ოლიმპიადის მონაწილეს პლანეტის პირველობაზე თამაში აუკრძალა „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობამ.

ლუნდკვისტმა განაცხადა, რომ ის პატივს სცემს კლუბის გადაწყვეტილებას. 29 წლის გოლკიპერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ შვედეთის ნაკრებს სამი კარგი მეკარე ჰყავს და „ტრე კრუნური“ მის გარეშეც გავა ფონს.

„რეინჯერსი“ პირველი რაუნდიდან გამოეთიშა პლეი ოფს - მან „მშრალი“ ანგარიშით წააგო სერია „ვაშინგტონთან“. სხვათა შორის, ლუნდკვისტი ერთადერთი ჰოკეისტი არ არის, ვინც ნიუიორკულმა კლუბმა სლოვაკეთში არ გაუშვა. მან ასევე აუკრძალა რუსეთის ნაკრებში თამაში ფორვარდ **არტიომ ანისიმოვს**.

■ ■ ■

მსოფლიოს ჩემპიონატზე ძლიერი შემადგენლობა ეყოლება სლოვაკეთის ნაკრებს. მასპინძლების გენერალურმა მენეჯერმა **პიტერ ბონდრამ** განაცხადა, რომ სავარაუდოდ, პირველობაზე ითამაშებენ „ჩიკაგოს“ ფორვარდი **მარიან ჰოსა** და „ბაფალოს“ მცველი **ანდრეი სეკერა**. ეს ჰოკეისტები გუშინ გამოეთიშნენ სტენლის თასის გათამაშებას.

შეგახსენებთ, რომ სლოვაკეთის ნაკრებმა უკვე დაიმატა NHL-ის სამი ლეგიონერი - **მარიან გაბორიკი, ლუბომირ ვიშნოვსკი** და **მიხალ ჰანძუში**.



■ ■ ■

მატებაა ამერიკის ნაკრებშიც. ამ გუნდის რიგებში ითამაშებს პლეი ოფის პირველი წრიდან გამოვარდნილი სამი ჰოკეისტი - მცველები **კემ ფაულერი** („ანაჰაიმი“) და **რაიან მაკდონაჰი**, აგრეთვე ფორვარდი **დერეკ სტეპანი** (ორივე - „რეინჯერსი“).

წელს სამივე ჰოკეისტს დებიუტი ჰქონდა NHL-ში, ამასთან, ფაულერმა და სტეპანმა შარშან ამერიკის ნაკრებში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგეს.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ფულჰემი-ბოლტონი	3:0

საფრანგეთი

ლიონი-მონპელიე	3:2
მარსელი-ნიცა	4:2

დანიის თასი

მიდტიულანდი-ესბერგი	1:2

შეხვედრის თასი

ალმჰულტსი-ოსტერი	0:2

ჩეხეთის თასი

იაბლონეცი-სიგმა	2:1

სლოვაკეთი

კოშიცე-ტრნავა	1:3

უნგრეთი

ჟოლნოკი-ვაშაში	0:1
კაპოშვარი-ფერენცვაროში	2:1
ზალაეგერშეგი-შიოფოკი	2:1
დებრეცენი-მტკ	3:1

რუმინეთი

ვასლუი-უნივერსიტატეა (კრ)	2:1

ლატვია

მეტალურგსი-ვენტსპილსი	0:0
დაუგავა-სკონტო	1:1

კალათბურთი

იტალია

მონტეპასკი-ბენეტონი	81:64

რუსეთი

ენისეი-უნიქსი	76:101
ტრიუმფი-ცსკა	83:87

ტენისი

ATP. ბელგრადი

კავჩიჩი-მელო	7:5, 6:3
ფ. ლოპესი-გონსალესი	6:4, 7:6
ჯოკოვიჩი-უნგური	6:2, 6:3

ATP. ეშტორილი

როჟე ვასელენი-ბელუჩი	3:6, 7:5, 5:7
სიოდერლინგი-შარდი	6:1, 6:7, 6:1
ცონგა-კუევასი	2:6, 6:7
ფალა-დელ პოტრო	2:6, 1:6

ATP. მიუნხენი

ბაღდატისი-დიმიტროვი	6:3, 6:7, 2:6
სტარაჩე-სტახოვსკი	6:4, 6:2
იუნი-პეტცშნერი	6:7, 6:3, 2:6

WTA. ბარსელონა

დულგერუ-კაბესა	5:7, 3:6
ჰერცოგი-ლუჩიჩი	6:1, 6:2
ერანი-კამერინი	6:4, 6:1
ბრიანტი-ლეპჩენკო	6:0, 5:7, 6:2
ვინჩი-შვედოვა	6:1, 6:4
პოუს ტიო-კრეიბასი	6:1, 6:1
ჰრადეცკა-დულკო	6:4, 6:3
რიბარიკოვა-რაზანო	6:7, 6:1, 2:6

WTA. ეშტორილი

კლეიბანოვა-იოჰანსონი	5:7, 6:3, 6:2
ოპრანდი-კუდრიავცევა	4:6, 6:7
ზაკოპალოვა-იაკიმოვა	2:6, 6:4, 6:1
მედინა გარიგესი-არნი	6:2, 6:0
ვესნინა-ბარონისი	4:6, 3:6
ნიკულესკუ-სტივენსი	6:4, 6:4
ლარსონი-უ. რადვანსკა	6:4, 6:4

TV პროგრამა

28 აპრილი. ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონპელიე.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ნიცა.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბინგრაბეი-ბაიერნი.
18:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლორიანი-ლილი.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვილიარეალი.
00:00 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ჩიკაგო-ინდიანა. V მატჩი.
14:25 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კასტრი-ბეარიცი.
16:05 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
16:30 ჩოგბურთი. ATP. მასტერსი. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი.
19:20 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:20 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი. III მატჩი.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. დენვერი-ოკლაჰომა. IV მატჩი.
05:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი. VI მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:50 ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. ბენფიკა-ბრაგა. პირველი მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

22:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. პორტუ-ვილიარეალი. პირველი მატჩი (LIVE).
02:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. პენიაროლი-ინტერნასიონალი. I მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიუნხენი. გერმანია (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

03:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. ატლანტა-ორლანდო. VI მატჩი (LIVE).

SPORT+

20:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ნიცა (LIVE).

EUROSPORT

15:30 ველოსპორტი. თურქეთის ტური. V ეტაპი (LIVE).
17:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:10 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

EUROSPORT-2

16:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი (LIVE).

ჰოკეი

შვედეთი მოლაშია, ევროპა არა

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ევროპელთა რაოდენობა მცირდება და დღეისთვის ბოლო 11 წლის განმავლობაში „ბებერი კონტინენტიდან“ ლეგიონერთა ყველაზე დაბალი რიცხვი დაფიქსირდა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ამ ტენდენციას არ ექვემდებარება, შვედეთი გახლავთ. მიმდინარე სეზონში NHL-ში ამ ქვეყნის 63 წარმომადგენელი თამაშობდა, რაც მისთვის სარეკორდო მაჩვენებელია.

წელს რეგულარულ ჩემპიონატში მინიმუმ ერთი მატჩი ჩაატარა 978-მა ჰოკეისტმა. აქედან 224 ევროპელი იყო, რაც საერთო რიცხვის 22.9 პროცენტია. ლოკაუტის შემდეგ პირველ სეზონში (2005-06) NHL-ში 300 ევროპელი თამაშობდა (30 პროცენტი) და მას შემდეგ ლეგიონერთა რიცხვი მუდმივად იკლებდა (263-259-242-242-228-224).

139 მოთამაშეს შორის, რომლებიც პირველ სეზონს ატარებდნენ NHL-ში, 36 წარმოადგენდა ევროპას (25.9 პროცენტი). მათ შორის ერთი სლოვაკი იყო, ორ-ორი ჩეხი და ფინელი, ექვსი რუსი და 16 - შვედი.

გამოკვლევის შედეგად ევროპელთა რიცხვის შემცირება სამი მიზეზით აიხსნება: ჰოკეისტთა დონის დაქვეითება ჩეხეთსა და სლოვაკეთში, NHL-ის კლუბების მხრიდან დაბალი მოთხოვნილება რუს იუნიორებზე, აგრეთვე კჰლ-ის ლიგის გამოჩენა, სადაც ბევრი ევროპელი ლეგიონერი თამაშობს.

რაც შეეხება NHL-ში ევროპელი მოთამაშეების პიკს, ჩეხებისთვის ეს იყო 2002-03 წლების სეზონი (80 მოთამაშე, დღეს - 42), სლოვაკებისთვის 2003-04 წლების სეზონი (35 მოთამაშე, დღეს - 15), რუსებისთვის 2000-01 წლების სეზონი (71 მოთამაშე, დღეს - 33). რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომლებმაც გაზარდეს თავიანთი წარმომადგენლობა NHL-ში, შვედეთის გარდა ესენი არიან - დანია, შვეიცარია და გერმანია.

ევროპელები NHL-ში: შვედეთი - 63, ჩეხეთი - 42, რუსეთი - 33, ფინეთი - 30, სლოვაკეთი - 15, გერმანია - 9, დანია - 6, შვეიცარია - 6, ბელარუსი - 4, ლატვია - 4, ავსტრია - 3, ნორვეგია - 2, სლოვენია - 2, უკრაინა - 2, საფრანგეთი - 1, ყაზახეთი - 1, ლიტვა - 1.

ევროპელები NHL-ში დებიუტანტებს შორის: შვედეთი - 16, რუსეთი - 6, გერმანია - 3 , ჩეხეთი - 2, ფინეთი - 2, ნორვეგია - 2, შვეიცარია - 2, საფრანგეთი - 1, სლოვაკეთი - 1, სლოვენია -1.

გვერდი მოამზადა
გაია თვალაგეიშვილმა

ფორმულა 1

ფეტელის რაში

ფეტელის მონსტრ-ბაიკი

ფორმულა 1-ის მოქმედმა ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** თავისთვის 70 ათას ევროდ ღირებული უნიკალური მოტოციკლი შეუკვეთა. გერმანელი არასოდეს ყოფილა შემჩნეული ორბორბლიანი ტექნიკისადმი სიყვარულში, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, „რედ ბულის“ პილოტი უბრალოდ საიდუმლოდ ინახავდა ამ გატაცებას. ჩინეთისა და თურქეთის ეტაპებს შორის შესვენებისას ფეტელი ქალაქ ჰოკენჰაიმს ეწვია. სწორედ აქ მდებარეობს ქვეყანაში ყველაზე ცნობილი ატელიე, სადაც შეკვეთით ამზადებენ ბაიკებს.

მისმა მფლობელმა **მარკუს ვალცმა** ამასწინ წარადგინა მორიგი მოდელი - Avalanche, რომელსაც მძლავრი ძრავა და ექვსსიჩქარიანი გადაცემათა კოლოფი აქვს. სწორედ ამ მოტომ მიიპყრო ფეტელის ყურადღება. ამის შემდეგ ატელიეში დაიწყეს გერმანელი ავტომრბოლის შეკვეთაზე მუშაობა. ის სექტემბრისთვის იქნება მზად.

მარკუს ვალცის კომპანიაში ფორმულა 1-ის პილოტის სტუმრობა პირველი არ არის - რამდენიმე წლის წინ აქ ააწყვეს მონსტრ-ბრაიკი ფინელი **კიმი რაიკონენისთვის**.

ამბები

ჩოგბურთი

ნალბანდიანი რომში დაბრუნდება

არგენტინელი ჩოგბურთელის **დავიდ ნალბანდიანის** წარმომადგენელმა **ბერნარდო ბალიერომ** განაცხადა, მსოფლიოს ყოფილი მესამე ჩოგანი სწრაფად გადის სარეაბილიტაციო კურსს და ემზადება რომის მასტერსზე გამოსასვლელად, რომელიც 8 მაისს დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ამ წლის 10 მარტს ნალბანდიანს ერთბაშად ორი ოპერაცია გაუკეთეს ბუენოს აირესის ერთ-ერთ კლინიკაში. თავიდან დავიდს საზარდული უმკურნალეს, შემდეგ კი კუნთი მოიყვანეს წესრიგში, რომელიც დევისის თასის პირველი რაუნდის მატჩისას დაზიანდა.

აეროსპორტი

ინტერლაგუშზე ახალი ასფალტია

ერთი წლის წინ ბრაზილიის გრანპრის მონაწილეები ინტერლაგუშის ტრასის საფარის გამო ჩიოდნენ - ბოქსების პარალელურად სწორ მონაკვეთზე ახალი ასფალტი იყო დაგებული, რომლის მახასიათებლები განსხვავებული იყო სხვა ადგილებისგან. გარდა ამისა, ამ ყველაფერმა ჰაერში დიდი რაოდენობით ბეტონის მტვერი წარმოშვა.

სიტუაციის გამოსასწორებლად სან პაულუს ავტოდრომის მფლობელებმა ასფალტის საფარის მთლიანად გამოცვლა გადაწყვიტეს, აგრეთვე ინტერლაგუშზე სხვა სამუშაოებიც ჩატარდა. მაგალითად, პირველი მოსახვევი ორი მეტრით ფართო გახდა.

თუმცა მოდერნიზაცია არ შეეძლოთ ტრასის ორი ყველაზე სახიფათო ადგილის. კერძოდ, „კურვა დო სოლის“ ვირაჟს, სადაც ცოტა ხნის წინ დაილუპა **პაულო კუნცი**. აგრეთვე Subida dox Boxes-ის მოსახვევს - იქ ამ თვის დასაწყისში ავარიაში მოხვდა **გუსტავო სონდერმანი**, რომლის გადარჩენა ასევე ვერ შეძლეს ექიმებმა.

ველოსპორტი

კონტადორს ივნისში განსჯიან

ესპანელი **ალბერტო კონტადორის** საქმის განხილვა უშუალოდ წლევანდელი ტურ დე ფრანსის წინ შედგება. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ტურის სამგზის ჩემპიონი ზედ ფრანგული ველომარათონის წინ გაამართლონ. შეგახსენებთ, რომ ალბერტო კონტადორს დოპინგის მიღებაში ადანაშაულებენ. მართალია, კონტადორი გაამართლა ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციამ, მაგრამ ველომრბოლს საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივის ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო. ისინი სპორტსმენის დასჯას ითხოვენ.

„ამ საქმის განხილვა 2011 წლის ივნისში შედგება“, - წერია სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს ოფიციალურ განცხადებაში.

კალათბურთი

გოლდენ სტეიტს მწვრთნელი აღარ ჰყავს

„გოლდენ სტეიტის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **კეიტ სმარტის** განთავისუფლება გადაწყვიტა. ამ სპეციალისტის კონტრაქტი, რომელიც სეზონის წინ იყო გაფორმებული, ურთიერთობის ერთი წლით გახანგრძლივებას ითვალისწინებდა, მაგრამ კლუბში ამ პუნქტის გამოყენებაზე უარი თქვეს.

რეგულარულ ჩემპიონატში „უორიორზმა“ 36 მატჩი მოიგო. გუნდმა გაუმჯობესა შარშანდელი შედეგი, მაგრამ მაინც პლეი ოფის მიღმა დარჩა.

ნიქსმა ბილაპსი დაიტოვა

„ნიუ იორკ ნიქსმა“ მომავალი სეზონისთვის დაიტოვა გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი**. მხარეებმა უკვე გააფორმეს შესაბამისი კონტრაქტი. ახალ სეზონში 34 წლის კალათბურთელი 14.2 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

„ჩვენ გადავწყვიტეთ მომავალი სეზონისთვის ბილაპსის შენარჩუნება, - ამბობს „ნიუ იორკის“ პრეზიდენტი **დონი უოლში**. *- ჩონსი, ამარე და კარმელო შესანიშნავი კალათბურთელები არიან. გვინდა პროგრესი გავაგრძელოთ და ამისთვის მათი დონის მოთამაშეები გვჭირდება“.*

სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი

რვიანი დარჩნენ

მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. გუშინდელი დღის მთავარი მოვლენა **რონი ო'სალივანისა** და **შონ მერფის** მატჩის დასასრული იყო, მაგრამ იმ საღამოს ნამდვილი მშვენება გახდა მატჩი **სტიუარტ ბინემსა** და **დინ ჯუნჰუს** შორის.

საინტერესოა, რომ არც ინგლისელსა და არც ჩინელს ადრე მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში არ უთამაშიათ, რაც დამატებით ელფერს მატებდა მათ ორთაბრძოლას. უფრო მეტიც, ბინემი გამარჯვების შემთხვევაში მომავალი სეზონისთვის TOP16-ში ინაღდებდა ადგილს.

მაგრამ ინგლისელმა შანსი ხელიდან გაუშვა. არადა, ის პირველივე ფრეიმიდან დაწინაურდა, დიდი უპირატესობა ჰქონდა და ბოლო სესიის მსვლელობისას 12:9-ს იგებდა (მერვედფინალში მატჩი 13 ფრეიმის მოგებამდე გრძელდება). თანაც სტიუარტმა ერთხელ ასიანი ბრეიკიც გააკეთა.

ჯუნჰუს ადგილზე სხვა უბრალოდ დანებდებოდა, მაგრამ ჩინელმა ოსტატმა ბოლომდე იბრძოლა. „დრაკონმა“ ზედიზედ ოთხი ფრეიმი აიღო, რომელთაგანაც ერთ-ერთში 114-ქულიანი „სენჩური-ბრეიკი“ გააკეთა. ბოლო პარტიაში აზიელმა გაუძლო ბინემის შეტევას და პირველად გააღწია მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში.

რაც შეეხება ო'სალივანისა და მერფის შეხვედრას, იქ თითქოს ყველაფერი მარტივად უნდა დასრულებულიყო. ო'სალივანმა 12:8 წაიყვანა ანგარიში და ერთი ფრეიმის მოგება სჭირდებოდა. მომდევნო პარტიაში რონს მარტივი ბურთი ჰქონდა ჩასაგდები, რაც მას ფრეიმბოლს მოუტანდა, მაგრამ ის ფრეიმი საშინლად მოთამაშე მერფიმ მოიგო, შემდეგ კიდევ ერთი დაუმატა და ცოტა დააკლდა ზედიზედ მესამე პარტიის მოგებამდე. მაგრამ, საბოლოოდ, ო'სალივანმა თამაში გამარჯვებამდე მიიყვანა.

მეოთხედფინალში რონი **ჯონ ჰიგინსს** შეხვდება, რომელმაც ძალიან რთული მატჩი მოუგო **რორი მაკლაუდს**. ამ უკანასკნელთან დაპირისპირება ყოველთვის დამღლელია. ასე იყო ამჯერადაც. არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ჰიგინსი გაივლიდა აფრიკულ-კარიბული წარმოშობის ინგლისელს, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ რვასაათიანმა ბრძოლამ ჰიგინსი ძალიან დაღალა. ერთ-ერთმა ექსპერტმა ჰიგინსისა და მაკლაუდის მატჩს სნუკერში ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი შეხვედრა უწოდა.

მარკ სელბიმ კი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა წინა დღეს დაწყებული საქმე. მესამე სესია მხოლოდ ერთი ფრეიმისგან შედგებოდა, რომელიც სელბიმ **სტივენ ჰენდრის** მოუგო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 13:4.

გუშინ საღამოს მეოთხედფინალური ეტაპი უნდა დაწყებულიყო. ამ ეტაპზე რვა საუკეთესო ასე დაწყვილდა:

ტრამპი (ინგ)-დოტი (შოტ, 9)

ჯუნჰუ (ჩინ, 5)-სელბი (ინგ, 4)

უილიამსი (უელ, 3)-ალენი (ჩრ. ირლ, 11)

ო'სალივანი (ინგ, 10)-ჰიგინსი (შოტ, 2)

ისევე როგორც მერვედფინალში, ამ ეტაპზეც მატჩის მოსაგებად 13 ფრეიმის აღება იქნება საჭირო.

დინ ჯუნჰუ

მძლეოსნობა

ლუისს პოლიტიკოსობა აუკრძალეს

ნიუ ჯერსის შტატის სახელმწიფო მდივანმა აუკრძალა ლეგენდარულ მძლეოსან **კარლ ლუისს** ადგილობრივი სენატის არჩევნებში მონაწილეობა, რადგან სახელოვანი სპორტსმენი ბოლო ოთხი წელი არ ცხოვრობდა შტატის ტერიტორიაზე. ამის შესახებ გუშინ სააგენტო „როიტერმა“ დაწერა.

კარლ ლუისს პოლიტიკოსობა არ აცალეს

კიმბერლი გუადანიომ განაცხადა, რომ ლუისს ოთხი წელი არ გააჩნდა უძრავი ქონება ნიუ ჯერსიში, არ ცხოვრობდა ამ შტატში, არ იხდიდა გადასახადებს ადგილობრივ ბიუჯეტში, არ იყო რეგისტრირებული საარჩევნო სიაში და არ აწარმოებდა ბიზნესს.

49 წლის ლუისის ადვოკატის თქმით, მძლეოსანი გუადანიოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. უფრო ადრე ნიუ ჯერსის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ლუისს უფლება მისცა კენჭი ეყარა სენატორობაზე დემოკრატიული პარტიიდან.

ლუისს 7 ივლისს დემოკრატების პრაიმერიზში მონაწილეობა ჰქონდა დაგეგმილი და ფილადელფიადან 40 კილომეტრში მდებარე ბერლინგტონის ოლქიდან აპირებდა თავისი კანდიდატურის წამოყენებას.

კარლ ლუისი ცხრაჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი და რვაჯერ - მსოფლიოს ჩემპიონი. მან პოლიტიკური კარიერის დაწყების შესახებ 2011 წლის აპრილში გამოაცხადა. ამასთან, ზოგიერთი ანალიტიკოსი ამტკიცებდა, რომ კარლს ბერლინგტონში რესპულიკური პარტიის კანდიდატის დამარცხების მინიმალური შანსი ჰქონდა, რადგან ამ ოლქში ტრადიციულად უფრო აქტიურები რესპუბლიკელთა მხარდამჭერები არიან.

ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

რეკორდი მოსკოვში

მოსკოვში მიმდინარე პლანეტის პირველობაზე მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა კანადელმა მოციგურავემ **პატრიკ ჩანმა**. მოკლე პროგრამაში მისი შედეგი 93.02 ქულა იყო, რაც შესამჩნევად აღემატება წინა რეკორდსმენის, რუსი **ევგენი პლიუშჩენკოს** მაჩვენებელს. ამ უკანასკნელმა 2010 წელს ტალინში ევროპის ჩემპიონატზე მოკლე პროგრამისთვის 91.30 ქულა მიიღო.

მეორე ადგილზეა იაპონელი **ნობუნარი ოდა** 81.81 ქულით, მესამეზე ამ ქვეყნის კიდევ ერთი წარმომადგენელი, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **დაისუკე ტაკაჰასი**. მისი შედეგია 80.25 ქულა.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული, ამერიკელი **ევან ლაისაჩეკი** ეთხოვება სამოყვარულო სპორტს. ამის შესახებ მოციგურავის მწვრთნელმა **ფრენკ კეროლმა** განაცხადა. მისი თქმით, ერთი წლის წინ ლაისაჩეკი ფიქრობდა აქტიურ სპორტში დაბრუნებას, მაგრამ ახლა გადაიფიქრა.

კეროლმა ჟურნალისტებს მოუყვა, რომ ოლიმპიადის გამარჯვებული რეგულარულად აცდენს ვარჯიშებს და თავს არიდებს ყოველდღიურ მძიმე სამუშაოს. *„მას აღარ შეუძლია ძველი გრაფიკით მუშაობა“*, - აღნიშნა მწვრთნელმა.

მანვე ისიც დაამატა, რომ მხარს უჭერს ლაისაჩეკის გადაწყვეტილებას. მწვრთნელმა ყველას შეახსენა, რომ ამერიკელმა ოლიმპიადამდე მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგო, ასე რომ, არავისთვის არაფერი აქვს დასამტკიცებელი.

ოლიმპიადაზე ლაისაჩეკმა პლიუშჩენკოს 1.31 ქულით აჯობა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

პატრიკ ჩანი